სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 26 ნოემბერი 1996 №125 (349) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



...ინგლისთან მარცხი იგივეა, რომ ჩვენს კალათბურთელებს ნბა-ს გუნდებთან წაეგოთ...

ამის მთქმელი ჩვენს ფეხბურთის მაგრად ახეირებს!

10 ნოემბერს, საქართველო — ინგლისის მატჩის მეორე დღეს ლონდონში საკმაოდ ციოდა. შეიძლება, ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს ეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ, მაგრამ სწორედ წინა დღით განცდილი მარცხის, და არა სიცივის გამო ინგლისის მშვენიერ დედაქალაქში სეირნობისა თუ სხვა გართობის ნებისმიერი სურვილი დაკარგული მქონდა. შინ ვიჯექი და რადიოთი BBC-ის ერთ-ერთ არხს ვუსმენდი. საფეხბურთო გადაცემა იყო. შეკრებილიყვნენ მავანი სპეციალისტები და გუშინდელ თამაშს არჩევდნენ. ზოგი მათგანი კარგა ხანს ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ საქართველოს ნაკრების ასეთი უსუსური, მათთვის მოულოდნელი თამაში... ჩვენი ეროვნული სტადიონის უხარისხო მოედნის ბრალი ყოფილა. იკამათეს, იკამათეს (ეს კრიტიკას მხოლოდ ზემოდან უკვეთდნენ და მხოლოდ ეს იყო. ახლა იმის მოყოლა და დასაბუთება, რას წარმოადგენს თანამედროვე პრესა, ერთობ შორს წაგვიყვანს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას — მოუხედავად იმისა, რომ კარზე XXI საუკუნე მოგვდგომია (ისე, ჩვენში ნამეტანი არც იგრძნობა, მაგრამ ხომ ვიცით), „სოფლის ცხოვრებისა“ თუ „პიონერის“ დროინდელი დამოკიდებულება პრესის მიმართ მაინც შემოგვრჩა. რატომღაც სიამოვნებით ვაქართულებთ რუსული თუ დასავლური გაზეთების (აქ და ქვემოთაც სპორტული პრესაზე მოგახსენებთ. პოლიტიკური, ცხადია, უარეს დღეშია) წერილებს — იმან საკის გადადგომა ითხოვა, ამან კი კოლოსკოვს გამოუწვრიკა ძველი ცოდვებიო, მაგრამ აქ რომ მსგავსი რამ მოხდეს, მტრისას.

მართლაც რომელი წელია?

ჩვენ, ქართველებს, არც უნდა გვეოცნება თურმე, რომ ინგლისთან მოგება შეგვეძლო, თორემ თავად ინგლისელები ამას შესაძლებლად თვლიდნენ) და ბოლოს მაინც იმ აზრზე მოდგნენ, ჰოდლმა აჯობა პირწმინდად თავის ქართველ კოლეგასო. მერე წამყვანმა უცებ, ერთი ქართველის ტელეფონის ნომერი ვიცი, დავურეკოთ და იმათი გულშემატკივრის აზრიც გავიგოთო, თქვა. დაურეკა ვინმე ავთოს (ლონდონში 400-მდე ქართველია და, ცხადია, ყველას არ ვიცნობ) და ჰკითხა — როგორ გგონია, რა არის თქვენების წაგების მთავარი მიზეზიო. იმანაც არც აცია, არც აცხელა — ჩავაგეო — უპასუხა. თანაც დასძინა — სანამ ეგ იქნება ნაკრების მწვრთნელი, საქართველოს ანგარიშგასაწევ ძალად ნუღარ ჩათვლითო, ეგ ვინ ყოფილა, ფეხბურთელობისას მახსოვდა, ახლა კი ნამეტნავად გასუქებულა და მთელი მატჩი მონუსხულივით იჯდა, მგონი, არც უცდია თამაშში რაიმე კორექტივების შეტანაო. არ ვიცი, უსიამოვნო ეპითეტების გამო იყო თუ რა, მაგრამ წამყვანმა ავთოს უცებვე გააწყვეტინა, მადლობა გადაუხადა და... გააფრთხილა — მგონი, მართალი ხარ, მაგრამ შენთვისვე აჯობებს, ეგ სიტყვები, საქართველოში რომ ჩახვალ, საჯაროდ არ თქვაო...

მართალი გითხრათ, დღესაც მაოცებს, რა უცბად აუღეს ალღო ინგლისელმა ჟურნალისტებმა ჩვენს რეალობას. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მათი წერილები თუ რეპორტაჟები ობიექტურობისა და პროფესიონალიზმის მაგალითები იყო (აი, სწორედ ასეთთა პროფესიონალიზმი მწამს და არა იმათი, ვისაც ახლა ყოველდღე მაგალითად გვისახავენ). ამიტომაც გამიკვირდა, ზემოხსენებული გადაცემის წამყვანმა ჩვენებური ავთო სერიოზულად რომ გააფრთხილა. ვიფიქრე, ეს კაცი, ალბათ, თბილისში არ ყოფილა, არ იცის, რომ საკუთარი აზრის გამოთქმა დანაშაულად აღარ აღიქმება-მეთქი და პირველად მეწყინა, ჩემი საშობლო რომ გააქილიკეს (ზოგს, ცხელი წყალი არ არის და სახლები ნაცრისფერიაო, ესაც სწყინს. მაგათ ვინ ეკითხება, მე იქნებ ნაგავში ვჯდომა მირჩევნიაო). მაგრამ... სამწუხაროდ, მართალი BBC-ის სტუდიაში მჯდარი კაცი გამოდგა.

საბედნიეროდ, „კომუნისტისა“ და „პრავდის“ ეპოქის კარგა ხანია ჩაიარა. წავიდა ის დროც, როცა არადა, რა დაწერა ქართულმა სპორტულმა პრესამ (თავისუფალ პრესას ვგულისხმობ და არა უწყებრივ გაზეთებს, იმ ორგანიზაციათა სადიდებლად რომ გამოდის, რომლებსაც ემსახურებიან) 9 ნოემბრის მატჩის შემდეგ ისეთი, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები, მათი დამქაშები თუ მათი „დამსახურებული“ მეგობრები ლამის ამოძირკვას რომ მოითხოვენ. მე თუ მკითხავთ, სწორედ ის, რაც უნდა დაეწერა! ჩვენს დროში ფეხბურთის ბევრ მოყვარულს ყველა გაზეთის ყიდვის საშუალება არა აქვს, ამიტომაც მოგახსენებთ, რომ იმ გაზეთებმა, რომელთა აზრითაც ამ სამარცხვინო წაგებაში უპირველესი ბრალი ჩავაძეს მიუძღოდა, ასე დაასათაურეს წერილები: „მეხუთე მარცხი ზედიზედ“, „ახალკაცო, მოიყვანე ახალი კაცი“, „მშვიდობით, საშა“, „ჩავაძის ხელში ნაკრებს პერსპექტივა არ გააჩნია“, „ნაკრების მწვრთნელი უნდა შეიცვალოს“ და დაახლოებით მისთანები. და რა მოჰყვა ამას (ცხადია, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცების, მათი დამქაშების და მათი „დამსახურებული“ მეგობრების მხრიდან)? თურმე მწვრთნელის გადადგომის მოთხოვნა ყოფილა:

უნიჭიერესი კაცის ტალახში ამოსვრა
უმადურობა
ზურგში დანის ჩაცემა
ფურთხება
ბოლმის ნთხევა
ხელის გაწვდენის ნაცვლად წიხლებით შედგომა
საქმეში ჩაუხედაობა
არაკომპეტენტურობა
ამბიციურობა
უაზროდ ატეხილი აჟიოტაჟი
ამორალობა
ტრაგედიის შექმნა
ლანძღვა-გინება
დაუნახაობა

და ბოლოს, ეს ყოფილა

შავბნელი წლების ანარეკლი (ანუ 1937 წლის განმეორების სურვილი)

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

სჯობს გვიან, ვიდრე დროულად

დაპირებისამებრ, ორშაბათს კახი გოგიჩაიშვილს ამბავი კიდევ ერთხელ უნდა მოგვეკითხა და თქვენთვის გვეცნობებინა. ვისაც წინა „სარბიელი“ ხელში არ ჩავარდნია, ვფიქრობთ, უკვე შეიტყობდა გოგიჩას ამბავს, რომელიც „ბათუმთან“ მატჩის ბოლო წუთზე საკუთარ მკლავზე დაეცა და თირკმლის სუბკაფსულარული დაზიანება მიიღო. საბედნიეროდ, მკურნალობისას ოპერაციული ჩარევა საჭირო არ გამოდგა, თორემ ვინ იცის, კახი გოგიჩაიშვილის საფეხბურთო კარიერას იქნებ წერტილიც დასმოდა.

გუშინ, როცა „არამიანცის“ საავადმყოფოს ვესტუმრეთ, უროლოგიის განყოფილების იმ პალატაში შეღწევა, სადაც კახი გოგიჩაიშვილია მოთავსებული, ვერ მოხერხდა. გოგიჩას დედამ დაგვამშვიდა, კახი თავს უკეთ გრძნობსო და მისი სიტყვების დასადასტურებლად ექიმთან მივგასწავლა გზა. განყოფილების გამგემ ზურაბ ზამბახიძემ თავაზიანად აგვიხსნა, პალატაში შესვლა არ შეიძლებაო და, ჩვენც აღარ გამოგვიდია თავი, რადგან კახის შეწუხება სულაც არ გვსურდა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც უფრო ამომწურავი პასუხი თავად ექიმისგან მოვისმინეთ.

— კახის საქმე კარგადაა. ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. თირკმელშიდა ჭრილობის შეხორცების პროცესი კარგად მიმდინარეობს და იარაც თანდათან მცირდება. შარდი დაიწმინდა, თვითონ თირკმელშიც სისხლის კოლტები თითქმის აღარ დარჩა. ბოლო ეხოსკოპიური გამოკვლევით მხოლოდ ერთი, მცირე ზომის კოლტი მოჩანს.

ერთადერთი, რაც კახას ახლა აწუხებს, შებერილობაა, რაც მკაცრმა წოლითმა რეჟიმმა გამოიწვია, მაგრამ ნაწლავების შედარებითი მოღუნება დროებითია და მალე გაუვლის.

ასე რომ, გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიმდინარეობს და თუ აქამდე ოპერაციის შანსი 50 პროცენტი იყო, ახლა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ბატონმა ზურაბ ზამბახიძემ ისიც აღნიშნა, რომ კახას მათთან მოგვიანებით მისვლამ უშველა.

— იგი თავიდან ტრავმატოლოგიურში დაუწვნიათ, რადგან ფიქრობდნენ, ნეკნი ჰქონდა დაზიანებული. ჩვენთან მხოლოდ 24 საათის შემდეგ მოვიდა და იმ დროს თავს უკვე ცოტათი უკეთ გრძნობდა. დროულად რომ მოეყვანათ, ალბათ ოპერაციის გაკეთება არ ასცდებოდა, რადგან ახალ ტრავმაზე თითქმის ყოველთვის ვაკეთებთ ოპერაციას. ამ შემთხვევაში კი ჩვენმა პროფესორმაც და გერმანელმა სპეციალისტმაც მოცდის ტაქტიკა ამჯობინა, რადგან ოპერაციის შემთხვევაში თირკმლის ამოღების შანსი საკმაოდ დიდი.

ბოლოს ბატონმა ზურაბმა ისაც აღნიშნა, რომ „დინამო“ — „ბათუმის“ მატჩს თავად უყურა და, მისი აზრით, მსაჯს დროის დამატების ნაცვლად თამაში დროულად რომ დაემთავრებინა, იქნებ ასეთი რამ არც მომხდარიყო.

რას იზამ, ეტყობა, ესაც კახის ბედის წიგნში ეწერა, თორემ მაინცდამაინც ბოლო მატჩში, მაინცდამაინც ბოლო დამატებულ წუთზე უკვე უცხოური ჩემოდნებზე ჩამომჯდარ გოგიჩას ასეთი რამ არ უნდა დამართნოდა. ახლა მთავარი ისაა, მალე გამოჯანმრთელდეს და ფეხბურთს დაუბრუნდეს.

ვახტანგ ბზიკაძე

„დინამო“ ინგლისში

გუშინ თბილისის დინამოელები ინგლისს გაფრინდნენ, სამწუხაროდ, კახი გოგიჩაიშვილის გარეშე. თამაშებს ჩვენი ჩემპიონი 26, 28 ნოემბერს და 2 დეკემბერს ჩატარე ბს. 2-ში საღამოსვე „დინამო“ უკან გამობრუნდება. ინგლისს 18 ფეხბურთელი გაემგზავრა: ზოიძე, ჭანტურია; დიდავა, ლობჟანიძე, კალაძე, ზვიად ჯელაძე, შელია, ჩხაიძე, კობიაშვილი; კიკნაძე, ცქიტიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, ანჩაბაძე, კერძევაძე, იაშვილი, დემეტრაძე, ხომერიკი. ვრცელ ინტერვიუს გუნდის მთავარ მწვრთნელთან დავით ყიფიანთან მეორე გვერდზე იხილავთ.



შაბათ-კვირას სპორტის სასახლეში გამართული საქართველოს ძიუდოისტთა ჩემპიონატი ისევე ლამაზი გამოდგა, როგორც ამ ფოტოზე ასახული ილეთი.

იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდები

რა შანსი ჰქონდა...

კოლუმბიის ქალაქ მედელინში დამთავრდა 20 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა შორის. ვაჟების ტურნირის ბოლო ტურში გიორგი ყაჭეიშვილი ისრაელელ სუტოვსკის ნახევარ ქულით ჩამორჩებოდა და თუ მოიგებდა, მსოფლიოს ჩემპიონობას ირგუნებდა. გიგამ გასამარჯვებლად ითამაშა, წააგო და სხვა საპრიზო ადგილიც დაჰკარგა. მსოფლიოს ჩემპიონი სუტოვსკი გახდა, მეორეზე ჩინელი ჩანგ ჩუნგი გავიდა, მესამეზე — უნგრელი გიმაში. ყაჭეიშვილმა მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო, კოეფიციენტების ცხრილით კი მეექვსე მიეკუთვნა.

ქალთა შორის პირველი იყო ჩინური ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავი ჩუ ჩენი. მეორეზეც ჩინელი სიუ გავიდა, მესამეზე — ჩეხი პტაჩნიკოვა.

სოფიკო ტყეშელაშვილმა და რუსუდან გოლეთიანმა მე-9 — მე-18 ადგილები გაიყვეს. საბოლოოდ, სოფიკოს მეთორმეტე მიაკუთვნეს, რუსიკოს — მეთხუთმეტე.

ევროპის წლევანდელი ჩემპიონი 20 წლის მოჭადრაკეთა შორის მაია ლომინეიშვილი ტურნირში არ მონაწილეობდა.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს, 26 ნოემბერს, 13 საათზე ეროვნული სტადიონის ოსტატთა კლუბში პრეს-კონფერენციას გამართავს საქართველოს პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე მანუჩარ მაჩაიძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

დღევანდელი „სარბიელი“ თორმეტგვერდიანია

ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ ᲡᲘᲖᲘᲤᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲠᲗᲖᲔ

სასაცილო მდგომარეობაა ქართულ ფეხბურთში. როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდება, როდესაც სწორედ სპეციალისტის გონიერი და დაფიქრებული ნააზრევის გამომზეურებაა საჭირო, ყველა სპეციალისტი სადღაც დაიკარგება, ანაც პირში წყალს ჩაიგუბებს.ფედერაციის შიშით და ამათი ტვირთის ზიდვა ჩვენ, ჟურნალისტებს გვიწევს. მოკლედ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში სპეციალისტები იმად არსებობენ, რომ ფედერაციის ნებისმიერ მოქმედებას კეერი დაუკრან. ამიტომაც ვწანვართ ჟურნალისტები „ქართული ფეხბურთის მტრებად“.

ახლა, როცა ყველაფერი წავაგეთ, რისი წაგებაც შეიძლებოდა, ღრმა ანალიზის და კრიტიკის დრო დადგა, მაგრამ გაგიგონია, ყველა ერთს გაიძახის, ვაცალოთ, ბატონო, გვაცალეთ, ბატონო... მოკლედ, ვის დაჰკარგვიხართ, ვისი ტიკი-ტომრები ხართო.

დავით ყიფიანთან საქართველოში დაბრუნებისთანავე მივედი და ჯერ ისევ ყავარჯნიანს ინტერვიუ ვთხოვე. მეგონა, ახალი იდეებით აღვსილი ჩამოვიდა მეთქი და მისგან ბევრი სიახლის გაგებას ველოდი, მაგრამ დელეკატური „მაცალეთ ყველაფერში გაერკვა და ჩემი აზრიც მერე იყოსო“. მეც შეძლებისდაგვარად ვაცლიდი, „ბოტევთან“ მარცხი საკმაოდ კრიტიკულად შევუფასე, კრიტიკას არც მერე ვაკლებდი და შეგონა, სულ რომ არაფერი, დავით ყიფიანია, მისი ერთი სიტყვა ჩემს ასს გადასწონის, ალბათ სათოფეზე აღარ გამიკარებს-მეთქი და როდესაც „დინამოს“ თამაშებზე გვჭირდებოდა რაიმეს შეტყობა, კოლეგა კვანტალიანი მეხიდებოდა და ყიფიანსაც ის ესაუბრებოდა. მოკლედ, ვცდილობდი, მაინცდამაინც არ შემეწუხებინა. უეფას თასზე პირველი და მეორე ეტაპების გადალახვის ამბავი დანიაში მყოფმა შევიტყვე და დიდად არ გამკვირვებია, მაგრამ როდესაც ყიფიანმა და „დინამომ“ „ტორპედო“ და ივანოვიც ბეჭზე დასცეს, მიგხვდი, საქართველოში იყო — მწვრთნელი! საბოლოოდ, ყიფიანის პატივისცემა მაშინ გამითკეცდა, როდესაც ღამის ორ საათზე „კროკოში“ კიბეზე ქოშინით ამომავალი დავინახე: ვიცოდი, „პორტუ“ — „ბოავიშტას“ კასეტას ხვალ დილას რომ მოცემდით, მაგრამ რა გული გამიძლებდა სახლში, ამ თამაშისთვის ცოცხლად არ მეყურებინაო...

მოკლედ, საუბრის დასაწყისშივე შეეთანხმდით, რომ სიტყვა „მაცალეთ“ და „ვაცალოთ“ საერთოდ არ გვეხმარა...

— ბატონო დავით, მოდით, ინტერვიუ საქართველოს ჩემპიონატში „დინამოს“ პირველი წრის შედეგების შეფასებით დავიწყოთ...

— პირველი წრე, ფაქტიურად, არ დაგვიმთავრებია მეტად საპასუხისმგებლო მატჩი დაგვრჩა ზუგდიდში. ამ მატჩის თბილისში გადმოტანაზე მეტოქე არ დაგვთანხმდა, ზუგდიდში თამაში კი კატეგორიულად აგვიკრძალა 23 ნოემბრის უში‘შროების სამსახურმა და რატომ, ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ზუგდიდელები სათავისოდ სწორედ მოიქცნენ, მეორე წრეში ხომ ალბათ სხვა „დინამო“ იქნება და ამიტომაც არ დაგვთანხმდნენ თბილისში თამაშზე. შეიძლებოდა, უფრო ნაკლები დანაკარგით ჩაგვემთავრებინა პირველი წრე. 60 გატანილი და 12 მიღებული ბურთი ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის, ძირითად მეტოქეს პოტენციურად 7 ქულით ვუსწრებთ, თუმცა, ვიმეორებ, ყველა თამაშის მოგება და პირველ წრეშივე ჩემპიონობის დაბეჭდვაც შეგეძლო. „ბოავიშტას“ მარცხის მერე, თუ გახსოვთ, „კახეთს“ მოვუგეთ 2:0. ის მატჩი რომ „ბათუმთან“ გვეთამაშა, იქნებ წაგვეგო კიდეც. ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად ისეთ დონეზე იყვნენ, ძლიერი წინააღმდეგობა დაახბედათ. საბედნიეროდ, „კახეთმა“ ეს ვერ შეძლო.

„მერანი“ რომ არ ჩავთვალოთ, „ბათუმმა“ ყველაზე ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია და მეტიც, წაგების საფრთხის წინაშე დაგვაყენა. ჩემი აზრით, დროზე შევიტანე სწორი კორექტივები თამაშში და შეძლელით იმ მატჩის ხსნა. ამ ორი თამაშის გარდა ღამის ყველა მატჩი დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ თამაშის ხარისხი არ მაკმაყოფილებდა. თამაშის ხარისხის მიხედვით ჩვენ არა ვართ იმ დონეზე, რომ რეალური პრეტენზიები გვქონდეს ევროპაში საპაექროდ. ადრეც გითხარით, „ბოავიშტასთან“ მარცხით ევროპამ ჩვენი კუთვნილი ადგილი მოგვიჭინა-მეთქი.

— „ბოავიშტას“ კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ, მოდით, ახლა, ჩემი აზრით, ჩვენი საკლუბო თუ სანაყრეზო მარცხთა მთავარ მიზეზზე — ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების დაბალ დონეზე გილაპარაკოთ. კვიპაროსიდან ყავარჯენსდაბჯენილი რომ ჩამოხვედით, მაშინ ჩემი პირველივე კითხვა ის იყო, რა ვქნათ, როდემდე ვითამაშოთ ასეთ სუსტ ჩემპიონატში, რა უნდა გაკეთდეს ჩვენი ჩემპიონატის გასაუმჯობესებლად-მეთქი. მიპასუხეთ, მაცალეთ, სიტუაციაში გარკვევაო. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა.

— მე არ ვიცი, ზუსტად რამდენგუნდიანი ჩემპიონატი უნდა იყოს საქართველოში, 8, 10 თუ 12, მაგრამ გუნდების რაოდენობა რომ უნდა შემცირდეს, ეს აშკარაა. ამ შემთხვევაში მოხდება საუკეთესო ფეხბურთელების და მწვრთნელების კონცენტრაცია, უფრო უკეთ მიეხედება თავად ჩემპიონატსაც, პირველ ჯგუფში თამაშიც პრესტიჟული გახდება.

თუ გვინდა ძლიერი ჩემპიონატი გვქონდეს, უპირველეს ყოვლისა, 5-6 ძლიერი გუნდი უნდა შევქმნათ. 3-4 თუ იქნება, არც ესაა ურიგო. გეთანხმებით, რომ ათგუნდიანი ოთხწრიანი ჩემპიონატის შემთხვევაში გაცილებით გაიზრდება დაძაბულ შეხვედრათა ოდენობა, რაც ძალზე წაადგება საქმეს, პირველ რიგში, „დინამოს“.

ზემოთ 5-6 თუ 3-4 ძლიერი გუნდი ვახსენე. აქ მხოლოდ ფინანსური შესაძლებლობანი იგულისხმება. კლუბებს უნდა ჰქონდეთ ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რას ვგულისხმობ ამაში, დაკონკრეტება ალბათ არ სჭირდება.

პირველი და უმთავრესი პირობა ძლიერი გუნდების შექმნისა, რა თქმა უნდა, ნიჭიერი ფეხბურთელების ყოლაა. განა გვყავს ახლა იმდენი ნიჭიერი, ძლიერი ფეხბურთელი, მით უმეტეს, ესოდენ მომძლავრებული მიგრაციის პირობებში, რომ 16 გუნდი დავაკომპლექტოთ? აღარ არიან ამდენნი, თანაც ნიჭიერნი.

ახლა ქართველი გულშემატკივრის, ფეხბურთის გურმანის ჭირვეულობა გაეხსენით... მას ხომ ნიჭიერ მოთამაშედ რონალდოს დონისა თუ მიაჩნია. განა ივლის ასეთი გულშემატკივარი არაფრისმომცემ მატჩებზე?

რაც ზემოთ ვთქვი ჩემი სუბიექტური აზრია. ამას, ძალიან გთხოვთ, ხაზი გაუსვათ. ეს მე ვფიქრობ ასე. მე ჩემი თავი ყოველისმცოდნედ არ მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალად ვთვლი თავს. მე მუდამ ყურს ვუგდებ სხვის რჩევას და კრიტიკას, მომწონს თუ არ მომწონს და იქიდან შესაბამისი დასკვნები გამომაქვს.

მოკლედ, ისევ ჩემპიონატის სიძლიერეზე. ისე არ გამიგოთ, თითქოს მე, ჩემი სამრეკლოდან ვრეკდე, რაკილა, „დინამო“ ყველაზე უკეთაა უზრუნველყოფილი. აბა, მე ძალზე მეცოდება ჩემი კოლეგები, გუნდებს რომ ზედ თამაშის წინ კრებენ, რა უნდა მოსთხოვო ფეხბურთელებს, რომელთაც 6-6 თვეა, ხელფასი არ აუღიათ, ბუცები არ აქვთ.

მოკლედ, უნდა შეირჩეს უძლიერესთა კოჰორტა და საუკეთესოთა კონცენტრირება მოხდეს ამ გუნდებში. ვიცი, ძნელია, მაგრამ განა ახლა 1993 წელია, ცხოვრება ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდის, საესებით შესაძლებელია, გამონახოთ სახსრები ნორმალური ჩემპიონატისთვის.

— ლამისაა ჭადაგად დავეცეთ ამის გამო და არ არსებობს ალბათ ფეხბურთის, საღად მოაზროვნე მოყვარული საქართველოში, გუნდების შემცირება რომ არ სურდეს. არის მხოლოდ ერთი ორგანიზაცია, რომელიც ამის წინააღმდეგია და, სამწუხაროდ, სწორედ ის განაგებს ფეხბურთს.

— ახლა ყველაზე მთავარ მომენტს მივადექით. რუსებს აქვთ ჩინებული გამოთქმა: "Когда плохо, надо менять". ძნელი გადასათარგმნი არ არის. მოკლედ, რისი თქმა მინდა: იმის დაუნახაობა როგორ იქნება, რომ კრიტიკულ სიტუაციაში, როცა საქართველოში არაფერი მუშაობდა, ფეხბურთის ფედერაციის გარეშე შედეგად ჩემპიონატი არ შეწყვეტილა. ამაზე დიდი მადლობა მას, მაგრამ, ვიმეორებ, ახლა 1993 წელი აღარაა, დროა, ყველაფერი შეიცვალოს. ფედერაცია კი არც ფიქრობს ამაზე, იგი ისევ ძველებურად აზროვნებს და საქმეც ძველებურად მიჰყავს. ესე იგი, მას არ სურს სიახლე. ცხოვრებამ კი დაგვანახა, რომ სიახლე აუცილებელია. თუკი ფედერაციას არ სურს რაიმის შეცვლა, მაშინ უნდა შეიცვალოს თავად ფედერაცია! ფედერაციაში ღმერთი არ უნდა ეძინოთ, რომ ჩვენი ჩემპიონატის გაუმჯობესებაზე იფიქრონ. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, აღარ შეიძლება კი არა, აზრი არა აქვს...

— „ბოავიშტასთან“ მარცხს გადავწვდეთ ერთხელაც. განა იქაურ კატასტროფაში გარკვეულწილად ჩვენი ჩემპიონატის დაბალი დონეც არაა დამნაშავე?

— სავსებით გეთანხმებით. ამაზე ბევრჯერ მითქვამს და აღარ გავიმეორებ, „პორტუ“—„ბოავიშტას“ ხომ ერთადაც ვუყურეთ და ვნახეთ, რა სპარინგ-პარტნიორებში იწრთობოდა ჩვენი მეტოქე.

— თქვენი საუბარი მაფიქრებინებს, რომ ფედერაციამ კიდევ ერთი კრიტიკოსი შეიძინა, ამას კი ყველა მწვრთნელი უფრთხის...

— იცით, რას გეტყვით, მე დავით ყიფიანი ვარ. მე ვამაყობ იმით, რომ რაღაც გამიკეთებია ქართული ფეხბურთისთვის და რაკილა ფეხბურთელის კარიერის შემდეგ კვლავაც ფეხბურთში გადავწყვეტე ესე იგი, მაინტერესებს ქართული ფეხბურთის ბედ-იღბალი. მე ჩინებულად ვიყავი კვიპროსზე მოწყობილი, არაფერი მაკლდა, მაგრამ მაინც ჩამოვედი, რადგან, სწორედ გამიგეთ, ამას მაღალფარდოვნობის პულისთვის არ ვამბობ — მინდოდა რაღაცაში გამოვდგომოდი ფეხბურთს და როდესაც ქართულ ფეხბურთში საქმეები ცუდად მიდის, განა აქეს დავით ყიფიანს უფლება, ამ ყოველივეს შორიდან უცქიროს და ჩუმად იყოს? ვისი და რისი უნდა მეშინოდეს, როცა მართალი ვარ. განა შეიძლება გაჩუმება, როცა იტალიასთან წაგებისას ზომიერების გრძნობა დაკარგეთ?



— იმის თქმა გსურთ, განა სანმარინო და ანდორა ვართ, იტალიასთან 0:1 წაგება რომ გვიხაროდესო?

— მართალი ბრძანდებით. მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ამგვარი „სიხარულისა“. ერთს გეტყვით სამაგალითოდ: კვიპროსზე „ოლიმპიაკოსს“ ვხედმძღვანელობ და როდესაც ჩემი გუნდი ფავორიტ „ოშონიას“ თუ „ანორთოსისს“ უგებდა დასაწყისში, მერე ფეხები უკანკალებდათ და მუდამ აგებდნენ — მოწინააღმდეგის ავტორიტეტი აშინებდათ. მთელი საქმიანობა იქითკენ მივმართე, რომ ფეხბურთელებისთვის მომეგების ფსიქოლოგია ჩამომეყალიბებინა. თუ მოწინააღმდეგის ავტორიტეტის გეშინია, ვერასოდეს გაიმარჯვებ. რომელ ჭკუათმყოფელს გაუხარდა იტალიასთან მხოლოდ 0:1-ის წაგება! ეს ხომ დანაშაულია, წაგება გიხაროდეს, თანაც ასეთ გადამწყვეტ ეტაპზე. ბესკოვმა მეორეგელებით დაკომპლექტებული „სპარტაკი“ ჩემპიონი გახადა, რაკილა სულ იმას უწი‘ინებდა, თქვენი მძლე არავინაო. მან მაღწია ამას. იტალიასთან „მხოლოდ“ 0:1 წაგების მოტრფიალენი კი უცუდეს სამსახურს უწევენ ქართულ ფეხბურთს. ობიექტურად, შეიძლება მართლაც არ ვართ მზად იტალიის მოსაგებად. ეს საკამათო თემაა, მაგრამ წაგება, ვისთანაც უნდა იყოს, არ უნდა აქციო კვეხნის საბაბად — „რა მაგრები ვართ, იტალიასთან 0:1 წავაგეთ“. მაგარი წაგებით ვერ იქნება, კარგი წაგება არ არსებობს, წაგება მუდამ ცუდია.

— ნაკრების თემას უთუოდ დავუბრუნდებით, ახლა ისევ „ბოავიშტას“ მარცხზე ვთქვათ. ელოდით ასეთ კატასტროფას?

— წაგებას ველოდი და, აი, რატომ. ჩვენ ევროთასებისთვის მზადება უჩვეულოდ ადრე — 25 ივნისს დაიწყეთ. ყველა მწვრთნელმა, ვისაც ფეხბურთში რამდენიმე წელი უმუშავია, იცის, რომ გუნდს „ფორმაში“ სამი ან სამნახევარი თვე თუ გააჩერებ. მთელი სეზონი გუნდი ფორმაში ვერ იქნება, ეს არსად მომხდარა. ჩვენ ისე გამოვითვალეთ, რომ ფორსირების გზით გუნდი სექტემბერში ყოფილიყო ფორმის პიკზე, რაკილა ორი წრის გავლა გუნდით რეალურად მიმაჩნდა. მართლაც, ასე მოხდა, სექტემბერში საუკეთესო თამაშები ჩავატარეთ. ვიცოდი, გუნდი დიდხანს ვერ შეძლებდა „პიკზე დგომას“ და დაღმასვლაც დაიწყებოდა. „ბოავიშტასთან“ შინ მეორე ტაიმში მივხვდი, რომ ეს დაღმასვლა იწყებოდა. რა საშუალებაა ამ სიტუაციაში გუნდის „ორმოდან“ ამსაყვანად? ერთი უმალ ორკვირიან შეკრებაზე წასვლაა, მეორე — დაძაბული მატჩების სიმრავლე. ვერცერთი ამ საშუალების გამოყენების უფლებას თავს ვერ მივცემდით და, ფაქტიურად, შეუძლებელიც იყო. ჩვენ ვეთამაშეთ „სიონს“ და „სამგურალს“, ისინი „პორტუს“ და „ვიმარაეშს“. „ბოავიშტა“ აღმა ადიოდა, ჩვენ — დაღმა ჩამოვდიოდით.

— ადრეც გითქვამთ, თქვენი შეცდომების შესახებ, ახალს ხომ არაფერს დაუმატებდით?

— ჩემი მთავარი შეცდომა ალბათ ის იყო, რომ დავუჯერე, მართლაც ძლიერი გუნდი მყავს-მეთქი, თუმცა, პირველივე მარცხმა დამარწმუნა, პიკი გაელილი იყო. გახსოვთ, რა ვითხარით, საფეხბურთო ევროპამ ჩვენი ადგილი მიგვჩინა-მეთქი. „ინტერთან“ „ბოავიშტას“ განადგურებამ დავგვანახა, სად ვიმყოფებოდით...

— დემეტრაძე მუდამ შეცვლაზე გამოგყავთ, იგიც იტანს და იტანს. პორტუგალიაში კი პირიქით მოიქეცით. რა იყო ამის მიზეზი?

— შემადგენლობა ჩემსდაუნებურად შეიცვალა. მაჭავარიანი და კალაძე დიდ ძალას წარმოადგენენ. იძულებული გავხდი, უკანა მცველად ლობჟანიძე დამეყენებინა, კობაიშვილი კი მეტოქის ერთ-ერთ ფორვარდზე მიმეშვა, ფაქტიურად, არჩევანი ნაკლები მქონდა. მაჭავარიანი და კალაძე რომ მყოლოდა, კახას გომეშს მივამაგრებდი, თბილისში დაჩაგრული ჰყავდა და ფსიქოლოგიურად პორტუშიც მოუგებდა, ლობჟანიძეს ჯიმის ჩავაბარებდი და ვიცოდი, ნუგზარი მას მოსპობდა, კობაიშვილს კი ლატაპის მივუჩენდი და მერე ვნახავდით, ვისი აჯობებდა. თუმცა, ეს წასული საქმეა და არ მინდა, სხვანაირად გამიგოს ვინმემ.

რაც შეეხება დემატრაძეს, ზემოთქმულიდან გამომდინარე დაცვასა და ნახევარდაცვაში პრობლემები გვქონდა, ამიტომ საჭირო იყო აქტიური მოქმედება წინ. მეტოქე ოდნავ მაინც, რომ შეგეფერხებინა. მინდოდა. გოცირიძეშვილის სისწრაფეს დემეტრაძის სისწრაფე და აგრესიულობა შეშველებოდა წინ, რაცთა მეტოქის არცთუ საიმედო მცველებს თავი უხერხულად ეგრძნოთ. სამწუხაროდ, ჩანაფიქრი არ გამომივიდა...

ისე, „ბოავიშტა“ რომ გაგველოს, მართლა სასწაული იქნებოდა, მაგრამ მთავარი ისაა, გულშემატკივარი „ინტერის“ ძლევას რომ მოითხოვდა. ისე, მადა ჭამაში მოდისო და, რატომ არ უნდა მოეთხოვა?

— „ბოავიშტასთან“ მარცხის მერე ალბათ შეეგუეთ იმ აზრს, რომ „დინამოს“ ისევ დატოვებს 3-4 წამყვანი ფეხბურთელი...

— დღეს „დინამოს“ 5-6 ფეხბურთელი „გადამწიფდა“ ჩვენი ჩემპიონატისთვის. ვინ წავა, ვინ დარჩება, გუნდის დირექტორატი გადაწყვეტს. ჩვენ ვესაუბრეთ მათ, ვკითხეთ, რა პირობებზე იყვნენ ყაბულს. ლამის არც დაგველაპარაკნენ. აქეთ გვკითხეს ისეთი რამ, პასუხიც ვერ გავეცით: „განა ჩვენს ჩემპიონატში დარჩენა, რა პირობებიც უნდა შეგვიქმნათ, ჩვენი ოსტატობის ზრდას ხელს შეუწყობს?“ — მართლები არიან, რა უნდა გვეპასუხა...

მე ჯერ კიდევ ჩამოსვლისთანავე ვიზრუნე ამაზე, „დინამო-2“-ის შექმნა სწორედ ამას ემსახურებოდა. ახლა მყავს ამ გუნდში გამოზრდილი რამდენიმე ბიჭი, რომელთაც მეორე წრეში ვანდობ ძირითადს: კვარაცხელია, შაშიაშვილი, ალექსიძე, მუჯირი. აი, ეს ოთხი კაცი მზადაა ძირითადში სათამაშოდ. სხვა ნიჭიერი ბიჭებიც გვყავს, მაგალითად მიქაძე, სხვებიც არიან, მაგრამ გვარების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

შარშან, სეზონის ბოლოს უკვე მქონდა ჩანაფიქრი რომ გუნდი მთლიანად ახალგაზრდებით დამეკომპლექტებინა. ვიცოდი, რომ „ბოავიშტას“ მერე პრობლემები გვექნებოდა, თავადაც გამომიცდია ფეხბურთელობასა — უეფადან გადარდნის მერე ერთი სული მქონდა, როდის ჩათავდებოდა ჩემპიონატი. მე მესმის ჩვენი ბიჭების. აღარ აკმაყოფილებთ ჩვენი ჩემპიონატის დონე. რომელი მწვრთნელი არ ინატრებს ჯამაიკაულისნაირ ფეხბურთელს? მაგრამ განა მისი აქ გაჩერება მის ზრდას წაადგება, ანაც კლუბის კეთილდღეობას? 24-25 წლის ასაკში კაცს შეუძლიას მთელი ცხოვრება მოიწყოს და, ზოგი კაცს წინ გადაუდგეს არაკაცური საქციელია მეც ხომ ფეხბურთელი გავდი...

— „დინამო 97-ის“ ჩინტურებზე თუ მეგობრობა ლაპარაკობ...

— ჯერ არა, რადგან, ჩვენ ფეხბურთელი ჯერ გუნდში ირიცხება. ამაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვისაუბროთ, როცა ფეხბურთელებთ უცხოეთის კლუბებთან ხელს მოაწერენ და მე მეცოდინება, ვისთან მომიწევს მუშაობა.

— გამორჩეულად მინდა გკითხოთ ანჩაბაძეზე. იგი, ფაქტიურად, დაიკარგა და მის ეპიზოდურად თამაშს რომ ვუყურებ, იმ ანჩაბაძის არ‘დილიღია...

— მართალი ბრძანდებით და, ჩემდა სამწუხაროდ, ამაში მეც ვარ რაღაცნაირად დამნაშავე. საქმე კი ისე იყო, რომ ანჩაბაძეს ძირითადისთვის ვამზადებდი, ვუფრთხილდებოდი. შარშან კარგად ითამაშა კიდეც და მისი იმედიც მქონდა, მაგრამ მერე მოხდა გაუთვალისწინებელი ფაქტი: ჯამარიულმა „ალანია“ დატოვა და „დინამოში“ გადმოვიდა. ამრიგად, ორი ერთნაირი ამპლუას ფეხბურთელი აღმოჩნდა გუნდში. ესტონეთში შეკრებაზე რამდენიც არ ვეცადე, ერთად ვერ შევათამაშე, არადა, ამპლუას ვერცერთს შევუცვლი. ამიტომ ამ ეტაპზე ჯამარიულის დაყენება ვარჩიე. ჯამარიულმა რა სამსახური გაუწია „დინამოს“, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. აი, ამიტომ აღმოჩნდა ანჩაბაძე სკამზე.

პიროვნულად კი ვიორგი ძალიან კარგი ბიჭია, ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ნაღდი თბილისელი, ჩინებულ ოჯახშია აღზრდილი. ჯერ ერთი, მართლაც ღირსეული კაცია, როგორც გაეგეგ, თავად უთქვამს, ჯამარული აშკარად მჯობია და ამიტომაც ვზივარ სკამზეო. მე კი ძალზე ცუდი პროფესია მაქვს, ყველასთვის კარგი ვერ ვიქნები, თუნდაც პიროვნულად ვგიჟდებოდე ფეხბურთელზე. ანჩაბაძე კი თავმოყვარე კაცია და სკამზე ჯდომა არ სიამოვნებს. რასაც გადაწყვეტს, ხელს არ შევუშლი.

— სადაცაა, ყიზილაშვილი მომჯობინდება, მას თუ ესაუბრეთ?

— იცით, ყიზო რატომაა ძვირფასი ფეხბურთელი? იგი გრძნობს კომბინაციას, ბურთს აკავებს, კედელს გეთამაშება, თავით კარგად თამაშობს, გატანაც იცის, 185 სანტიმეტრის სიმაღლისაა. მოკლედ, ჩამოყალიბებული ცენტრფორვარდია. დაიო რომ „ბოავიშტასთან“ ძყოლოდა, სხვაგვარად იქნებოდა საქმე საწყალი ზოიძე ბურთების წინ ძლიერად გაგზავნას ვერ აუდიოდა, მაგრამ იქ დამჭერი არავინ იყო, ზოიძე ფაქტიურად, კედელს ურტყამდა. ყიზო ბევრს შეცვლიდა ასეთ დროს.

— ხომერიკი რომ დაგეყენებინათ პორტუში?

— ხომერიკს, სამწუხაროდ, ძვირფასი წლები გაუცდა და ბევრი დააკლდა. მას გადამწყვეტი დარტყმის სიზუსტე აკლია, გაიხსენეთ „მოლდე“, „ტორპედო“. ლევანმა ბევრი უნდა იმუშაოს ტექნიკაზე, სისწრაფეში ბურთის მიღებაზე. არადა კარგი თვისებები არ აკლია — მაღალია, სწრაფი, თავით ცუდად არ თამაშობს, მარჯვენათი კარგად ურტყამს, თუ ტაქტში ჩაეარდა, დრიბლინგიც გამოუდის. ბურთი უნდა ივარძლოს უკეთ.

— ადრე, მახსოვს, მტკივნეულად განიცადეთ, როდესაც დავწერეთ, „დინამოს“ დონე კი არ ამაღლდა, კონკურენტები შემოეცალაო. ჩვენი შემდეგი კითხვა ყიფიანისა და „ქართული ფეხბურთის მტრების“ — ჟურნალისტების ურთიერთობას ეხება.

— მაშინ გული იმან მატკინა, რომ ჩემი შრომა არ დაინახეს. რაც შეეხება ჩვენს ურთიერობას, ვფიქრობ, საქართველოში საკმაოდ კარგი ჟურნალისტები არიან. კი, არიან, რა თქმა უნდა, იყვნენ სენსაციის მოყვარულნიც, მაგრამ განა უცხოეთშიც ასე არა არის. მეტსაც გეტყვით, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე გაცილებით უკეთ მუშაობთ. მე მაღლობაც არასდროს დამიშურებია მედიისთვის, რადგან დავრწმუნდი, რომ თქვენ ქართული ფეხბურთისთვის კარგი გსურთ.

ყოფილა შემთხვევა, უაზროდ გაგეკენწლივართ. რა უნდა ვუთხრა ჟურნალისტს, რომელსაც „ბოავიშტას“ მატჩი საერთოდ არ უნახავს. და ჩემს მიერ არერეულ ტაქტიკას აკრიტიკებს. ამაზე მეტი კომედია გინახავთ? მაგრამ მე არასდროს ვეტყვი უარს ინტერვიუზე, თუნდაც ის ბიჭი მოვიდეს და მთხოვოს. ბევრჯერ გაბრაზებულვარ თქვენზე და თქვენს კოლეგებზე, მაგრამ რა ვუყოთ? ეს თქვენი საქმეა. კრიტიკას ჯერ არავისთვის უვნია. თუნდაც თქვენი გაზეთი აეიღოთ, მკერა, დავრწმუნდი რომ მხარში უდგებართ ქართულ ფეხბურთს და

მისთვის კარგი ვინდათ. ეს კი ჩემთვის მთავარია.

— ბატონო დავით, ქართველებს გვყვარს პიროვნების გაიდეალება. ვინ, თუ არა ისო, ზნეობრივ გაიდეალებთ, პოლიტიკაა თუ ფეხბურთი. ჩემი კოლეგების დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჩივაძე უნდა გადადგეს. თქვენ როგორ გგონიათ?

— საშა ჩემი მეგობარია და, მოდით, ამ თემაზე ნუ ვისაუბრებთ.

— კარგით, მაშ, ასე დაგისმევთ შეკითხვას. დავუშვათ და, ჩივაძე მართლაც გადადგა და ფედერაციამ თქვენ შეგთავაზათ მთავარი მწვრთნელის ადგილი. რას იზამთ?

— არ დავდგები...

— რატომ?

— ასეთ პირობებში მე არ ვიმუშავებ. ეროვნულ ნაკრების მწვრთნელი ცოტა სხვა რამეა. მას ყველა პირობა უნდა ჰქონდეს შექმნილი. მე არ ვთვლი ჩემს თავს მზად ამ ეტაპზე იმისთვის, რომ ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ ეტაპზე გავიყვანო. აქ სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ჩაერიოს, აქ მთელი პროგრამაა შესამუშავებელი, რაზეც ჯერ არ მიფიქრია.

— დავუშვათ და, მიგიწვიეს და სახელმწიფოც მხარში ამოგიდგათ?

— იცით, რისი მეშინია: ჩვენს საუბარს ყველა ისე გაშიფრავს, ნაკრების მწვრთნელობა უნდაო. მოდით, ამ თემას გადავუხვიოთ.

— აკი თქვით, იმიტომ ჩამოვედი, ქართული ფეხბურთის სამსახური მინდაო. ყველას პირზე აქვია: მაშ ვინ, თუ არა ჩივაძე? ნუთუ დაილია საქართველოში მწვრთნელი, თუ მწვრთნელობაში დებიუტანტი კაცის დანიშვნა შეიძლება ამ პასუხისმგებელ პოსტზე რა მოხდება, დავით ყიფიანი რომ დაინიშნოს?

— მოკლედ, აღარ მეშვებით. ვთქვათ და, მართლა მოხდა ამგვარი რამ... ალბათ უნდა დავსხდეთ ყველანი, შევიმუშავოთ სერიოზული პროგრამა. პროგრამის შექმნაში უნდა მონაწილეობდნენ სპეციალისტები, ექსპერტები, ფინანსისტები, ეკონომისტები. ძალზე ფართომასშტაბიანი პროგრამა უნდა შემუშავდეს და თუკი სახელმწიფო მიიღებს ამაში მონაწილეობას, ფული ჰაერს არ უნდა გავატანოთ. მოკლედ, ეს ძალზე რთული თემაა, უფრო ჰარიჰარად ვერ გადავწყვეტ...

— ამ კონტინგენტით, ზოგს რომ ჰკითხო, ვერაფერს მიაღწევ. ალი პირდაპირ აბრალებენ კიდეც მარცხს ფეხბურთელებს.

— ამას ვერ დავეთანხმები. ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც ქინქლაძე, შოთა, ჯამარაული, ნემსაძე არიან, წარამარა არ მოდიან. პაიჭაძე არ მინახავს, მაგრამ შოთა თუ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძლიერი ფორვარდი არა, მოწინავეთა შორის მყოფი ხომ აშკარად არის? ქინქლაძე ავიღოთ, იგი მოვლენაა, მას შეუძლია ყველა დროის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი გახდეს. ესეთი ფეხბურთელები, თუკა ახლა არ გაუფრთხილდით, კარგა ხანს შეიძლება აღარ გამოჩნდნენ. მათი აგრე ხელაღებით გაბიბრუება, არ ვიცი, ვის აძლევს ხელს...

— ისევ „დინამოს“ დავუბრუნდეთ. ჩემპიონები თუ გახდით, ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლაც მოგიწევთ. შეძლებთ 17-18 წლის ბიჭებით 7-8 თვეში გუნდის დაყენებას?

— ალბათ ვერა. მაგრამ უმეტესად ჩემი მტერი იყოს. ინგლისის ტურნეს მერე ნათელი გახდება, რა კონტინგენტთან მომიწევს მუშაობა. წრეებს შორის შესვენებისას გუნდის გაძლიერებას ვეცდებით საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეთაგან. მოკლედ, ბევრი სამუშაო მელის. რა ვქნა, მაგრამ ისევ თავიდან უნდა დავიწყო... ისე, ვერ ვხედავ ჯერ იმ ფეხბურთელებს, ჯეროვნად რომ შეცვლიან წარსულებს. ვნახოთ, რას მოგვიტანს მუშაობა, არ არის გამორიცხული, მერე მოუმატონ და გამოჩნდნენ.

— ინგლისის შემდეგ რა გეგმები აქვს „დინამოს“?

— 4 იანვარს ვიკრიბებით. 23-მდე ესვნეგს თასისთვის თბილისში ვემზადებით. მერე მოსკოვია, მერე თურქმენეთი, 10-დან 20 თებერვლამდე „პრეზიდენტის თასზე“.

— მოკოვის ტურნირი თუ გძინთ რამეს სამზადისში?

— გვძინს. საფეხბურთო სიტუაციაა, სხვადასხვა სტილის გუნდებს ეთამაშები, ბევრი სპეციალისტი ჩამოდის, არა, საკმაოდ სასარგებლო ტურნირია.

— მოდით, შევწყვიტოთ საუბარი იმ იმედით, რომ ინგლისის მერე გავაგრძელებთ. ეს ტურნე ბევრს გადაწყვეტს „დინამოს“ სამომავლო გეგმებში...

— კი ბატონო, მაშინ უფრო მეტის თქმა შემეძლება.

მამუკა კვარაცხელია

ჩელებაძე ჯადოქარი არ არის

გორდა 0:1 მერანი

გორდა: ჯიჯინაძე, ბეჭაური, მურჯიკნელი, პატარიძე, სახვაძე, გაბელაია, კედელაშვილი, არსოშვილი, ა. ჯელაძე, მენთეშაშვილი, თ. მეტრეველი

მერანი: დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, ჭიკვარიანი (დავითაშვილი 50), კაკუბავა, გოგობერიშვილი, კვარაცხელია, მახვიშვილი, ჭოლოყავა, დანელია (ხორხელი 70), პერტია (ცენჭიაშვილი 75)

0:1 პერტია (48)

გაფრთხილება: არჩვაძე

მსაჯი: ს. კახიანი (თბილისი)

„მერანმა“ ჩემპიონატი მშვენივრად დაიწყო, თასზეც ასევე გააგრძელა და დებიუტანტისთვის ფრიად საპატიო შედეგით წრის დასრულების კარგი შანსიც აქვს. თუმცა, „გორდასთან“ გამარჯვება ბრძოლით მოიპოვა.

თამაში სწრაფად დაიწყო, ბურთს მოედნის ცენტრში დიდხანს არავინ აყოვნებდა. მასპინძელთა 4-4-2-ს „მერანმა“ 5-4-1 დაუპირისპირა და პირველ ტაიმში უკეთაც გამოიყურებოდა. მერანელები რუსთაველებს ბურთის მიღებისთანავე „ახრჩობდნენ“, სივრცეს უზღუდავდნენ, თავად კი ბურთთან ერთი შეხებით სწრაფ და მწყობ შეტევებს ანხორციელებდნენ. სტუმრების ნახევარდაცვა რუსთაველებისაზე უკეთ ირჯებოდა. სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა „მერანმა“ სწორედ შუახაზის გონივრული მოქმედების შედეგად მოიპოვა. სახიფათო მომენტებიც პირველ ტაიმში უფრო ხშირად „გორდას“ კართან იქმნებოდა. მე-4 წუთზე რუსთაველთა კაპიტანმა მურჯიკნელმა ბურთი მოგერიებისას შემთხვევით პერტიას მოარტყა, ასხლეტილი კარისკენ ისეთი ძალით დაბრუნდა, მეკარე ჯიჯინაძემ გადახტომა ვერ მოასწრო. მასპინძელთა ბედად, ბურთი ოდნავ ასცდა კარს. მერანელთა აქტიურობამ „გორდას“ მცველები დააბნია, ისინი ხშირად ცდებოდნენ და ბურთს ან კარგავდნენ, ანაც გადაცემებში სცოდავდნენ, რითაც საკუთარ კარს ხშირად ხიფათს უქმნიდნენ. 25-ზე ჭოლოკავამ ბეჭაურის გადაცემა ჩაჭრა და მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა. შეიძლებოდა შეტევის გამწვავება, მაგრამ მერანელის გადაცემა არაზუსტი აღმოჩნდა და ვითარებაც განიმუხტა. „მერანს“ რამდენჯერმე შეეძლო ეხეირა, მაგრამ შეტევების დაგვირგვინებისას ხტუმრებს სიზუსტე აკლდათ. ამას ჭიჭინაძის კარში ერთი-ორი დარტყმაც მოჰყვა, და ისევ უშედეგოდ. არადა, იყო ისეთი მომენტები, როდესაც მასპინძელთა კარში გოლი „მწიფდებოდა“, მაგრამ გოლი არა და არ გაუვიდა და პირველი ტაიმი უშედეგოდ დასრულდა.

ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში „გორდას“ მცველების უხეში შეცდომის შემდეგ გავიდა. დანელიამ 48-ე წუთზე კუთხური ჩამოაწოდა, მცველთა მიერ უყურადღებოდ მიტოვებულმა პერტიამ კი ბურთი თავით კარში გაგზავნა — 0:1.

ამის შემდეგ უპირატესობას „გორდა“ დაეუფლა. რუსთაველებს კარგი საგოლე შანსები ჰქონდათ. გაშეებული გოლის შემდეგ ორიოდე წუთში მენთეშაშვილმა ახლო მანძილიდან ბურთი მცველს მოარტყა და ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა დაკარგა. მასპინძლებმა მოედნის ცენტრი დაიპყრეს და მეტად სახიფათოდ უტევდნენ, თანაც, 50-ე წუთზე სტუმრებს მცველი — ჯაშკარიანი დაუშავდათ: მგლომარეობის გამოსწორება და თამაშის სადავეების დაბრუნება სტუმართა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ნახევარდაცვის გაძლიერებით დაიპირა. საამისოდ მოედანზე დავითაშვილი, ხორხელი და კენჭიაშვილი გამოიყვანა. ამ ცვლილებებს ტაქტიკური გადაადგილებებიც მოჰყვა. თუმცა, რუსთაველები ისეთი მონდომებით იბრძოდნენ, სტუმრებს ცვლილებებმაც ვერ უშველა. გონივრულად მოქმედებდა მენისკის ოპერაციის შემდეგ მოედანს დაბრუნებული თამაზ მეტრეველი. აქტიურობდა მასპინძელთა თავდამსხმელი არმაზ ჯელაძეც. 56-ე წუთზე კედელაშვილს შეეძლო მეტრეველისა და ჯელაძის გათამაშებული კომბინაცია გოლით დაესრულებინა, მაგრამ „მერანი“ ბელმა იხსნა. 58-ზე კი ძელის ნაცვლად დოლიძემ ივაყკაცა. ამჯერად ჯელაძე უტევდა, რომელმაც კედელაშვილის ჩაწოდებულს მაღალ ნახტომში თაური დაუხვედრა. 60-ზე გოგობერიშვილი შეცდა, ჯელაძე გაეპარა, თუმცა ამის დარტყმას დოლიძე კელავ ადგილზე დახვდა. 71-ე წუთი — ისევ მეტრეველის გადაცემა, ისევ ჯელაძის თაური და ისევ უნაყოფოდ. „მერანი“ ბედლმა მეორედაც იხსნა: 84-ე წუთზე მენთეშაშვილმა მშვენიერი გადაცემით სახვაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, შემდეგ რაც მოხდა, უკვე გითხარით.

„მერანმა“ მხოლოდ ორჯერ შექმნა სახიფათო მომენტი. მე-60-ზე კვარაცხელიამ იაქტიურა, ბურთისთვის იბრძოლა და კარში გააგზავნა, მაგრამ ჭიჭინაძემ იმარჯვა, ისევე, როგორც 77-ზე, როდესაც ლამაზი კომბინაცია ჭოლოკავამ დარტყმით დაასრულა.

ერთი სიტყვით, დიდი სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, „გორდა“ დამარცხდა და საპასუხო შეხვედრის წინ მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. თუმცა, მასპინძელთა ახალდანიშნულმა პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ მოთამაშეებს შეხვედრის შემდეგ თავდაღებისათვის მაინც მოახსენა მადლობა.

შედეგი ლოგიკური იყო. მართალია, პრეზიდენტი „გორდაში“ დიდი იმედებით მივიდა, მაგრამ პირველივე თამაშში წარმოუდგენელიც იყო დაჩაჩანაკებული „გორდა“ ჯადოქარივით ხელის ერთი აქნევით უცებ შეეცვალა. ცვლილებებს უფრო მეორე წრისთვის უნდა ველოდოთ, რადგან ჩელებაძემ უკვე დაიწყო მოლაპარაკება რამდენიმე მოთამაშესთან. ერთ-ერთი მათგანი სანქტ-პეტერბურგში ნოდიასთან გადახვეწილი ალექსანდრე ბურნაძე გახლავთ. თუმცა, რა როგორ იქნება, ამას სამომავლოდ შევიტყობთ. დღეს კი „გორდა“ შორს დგას ახალი პრეზიდენტის საოცნებო გუნდისგან.

თამაზ პერტიამ თავის ყოფილ გუნდს გაუტანა

მატჩის შემდეგ მერანელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ისაუბრა იმ ფაქტორებზე, რომელებიც მეორე ტაიმში „მერანის“ მიერ ცენტრისა და, საერთოდ, უპირატესობის დამთმობის მიზეზი გახდა:

— ჯიშკარიანმა ფეხი დაიშავა და იძულებული გავხდი, ტაქტიკური გადაადგილებები მომეხდინა. ამან კი თამაშის ხარისხზე უარყოფითად იმოქმედა, ცენტრი დავთმეთ და უპირატესობაც მასპინძლებმა მოიპოვეს. თანაც, ასეთ შეხვედრაში გოლის გატანის შემდეგ მოთამაშეები ბუნებრივად ცენტრიდან უფრო ფრქრობენ. ეს საკმაო ფსიქოლოგიური თავვარია, რომ გაგიმართლებს და ორ-ნულით სასურველ შეხვედრას ხან დამშვიდებით გაგვარებს, ხან ნერვებს გაგიფუჭებს.

რუსთაველთა მთავარმა მწვრთნელმა იასონ ალადაშვილმა კი წაგება უიღბლობას დააბრალა: მეორე ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ. დასურად ჩვენს მიერ შექმნილი სამი ნაღდი საგოლე მომენტიც იკმარებს. თუმცა კი ვერ გამოვიყენეთ. დღეს ბედი აშკარად არ გვწყალობდა. მიუხედავად ამისა, მეორე შეხვედრას მაინც იმედით ველოდებით. იმედი მეორე ტაიმში ბიჭების მოქმედებამ ჩამისახა.

მერაბ მამულაშვილი

სიონი 3:1 სკა

სიონი: დალაქიშვილი, ა. გაბრიჭიძე, შაკიაშვილი, ყიფიანი, მეფარიშვილი, ჭოიავა, ტარტარაშვილი, ვ. სამხარაძე, გაბისონია, ჯაგიდისი (ქორთუა 61), კ. მეტრეველი

სკა: ბიწაძე, პაპუაშვილი, გულაშვილი, მაისურაძე, გველესიანი, სუხიტაშვილი, მონასელიძე, პოზოიანი, ტარიელაშვილი, დობორჯგინიძე, გოგოლაძე (აფციაური 66)

1:0 მეტრეველი (30), 1:1 მონასელიძე (35), 2:1 გაბისონია (52), 3:1 შაიაშვილი (68)

გაფრთხილება: ყიფიანი, მაისურაძე, ქორთუა

მსაჯი: მ. კობაიაშვილი (დუშეთი)

მას შემდეგ, რაც „სიონს“ ფოთის „კოლხეთთან“ შინ მოგებული თამაშში წაგება ჩაუთვალეს, ბოლნისელებს ფეხბურთზე გულაცრუება დაეტყოთ. ეს პირველ რიგში თავად გუნდზე ითქმის, სიონელები აღრინდელივით ვერ ირჯებიან და ხალისიც აშკარად აკლიათ. იმ უსამართლო გადაწყვეტილების მიღების მერე ბოლნისურ სტადიონს გულშემატკივარიც საკმაოდ მოაკლდა. თასის გათამაშების მერვედფინალურ თამაშს სამასამდე ქომაგი ძლივს დაესწრო. ასე თუ გაგრძელდა, სავსებით შესაძლებელია, რეგიონში ფეხბურთი საერთოდ ჩაკვდეს. ყოველივე ეს კარგად უწყოდნენ სტუმრებმა, ამიტომაც იყო, თამაში ყოველგვარი მორიდების გარეშე რომ დაიწყეს. მასპინძელთა უპირატესობა მხოლოდ მაშინ ჩანდა, როცა ისინი ბურთის დაჭერას და გააზრებულ თამაშს მოახერხებდნენ, მაგრამ, რატომღაც, გრძელ გადაცემებს ამჯობინებდნენ, რომელთა ადრესატები უმთავრესად გაბისონია და მეტრეველი იყვნენ. გრძელ გადაცემებს კი სტუმართა მცველები აკონტროლებდნენ და პირველი ოცდაათი წუთი ბათქაბუთში მიილია. მასპინძლები მიხვდნენ, რომ ასეთი თამაშით ვერ იხეირებდნენ და თამაშის სტილი შეცვალეს. გაბისონიამ, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში სისხლი გაუშრო სტუმართა დაცვას, ოდნავ უკან დაიხია და მოედნის სიღრმიდან იწყებდა გარღვევებს, მეტრეველმაც იგივე ხერხს მიმართა. პასებით მათ ქოიავა და ჯაგიდისი ამარაგებდათ. მასპინძელთა პირველივე საზრანმა კომბინაციამ შედეგი გამოიღო. ჯაგიდისმა ბურთი ცენტრში დაიჭირა და თავისუფალი ქოიავა მოძებნა, ამან გაბისონიას არ დაუგვიანა, რომელმაც მცველს სისწრაფით აჯობა და კარის წინ მარჯვენიდან მეტრეველს გაუჭრა. ბოლნისელთა მეთერთმეტე ნომრის პირველი დარტყმა მეკარე ბიწაძემ მოიგერია, მაგრამ მას მცველებმა უმტკუნეს და ლამის დაწოლილ ფორვარდს ცარიელ კარში მეორედ დარტყმის საშუალება მისცეს. ასე გაიხსნა ანგარიში. გატანილმა გოლმა სტუმრები ვერ გატეხა, პირქით, მათ შეტევებს უხშირეს. მოედნის შუაში ჩინებულად მოქმედებდა მონასელიძე, რომელიც უნარიანად წარმართავდა თავისი გუნდის შეტევებს. ოღონდ ეგ არის, არმიული კლუბის მეშვიდე ნომერი ზოგჯერ ზედმეტად აყოვნებდა ბურთს, რითაც შეტევის წამოსაწყები წამები იკარგებოდა. ეს თუ მოიშალა, ეს ბიჭი კარგი ფეხბურთელი უნდა დადგეს. არმიელებმა მეტად მოინდომეს და მალე გაქვითეს. მონასელიძემ პასით მარჯვნიდან სახიფათო გარღვევაზე გაიყვანა პაპუაშვილი, მერე ჩაწოდებულს თავად მიუსწრო და ლამის საჯარიმოს ხაზიდან ცხრიანში თავით გაიტანა გოლი. გოლმა სტუმრებს ფრთები შეასხა, ისინი მასპინძლებს აღარაფერს უთმობდნენ და მეტად გააზრებულ ფეხბურთსაც აჩვენებდნენ. ამ მონაკვეთში სტუმრებმა დაჯაბნეს მასპინძლები. იყო ეპიზოდები, როცა მეტად სახიფათო კონტრშეტევების განხორციელებაც შეეძლოთ, მაგრამ ეს ვერ შესძლეს. შეტევებში გართულებს ერთიორჯერ გაბისონია გაეპარათ, მაგრამ პირისპირ გასულმა გელამ მშვიდად და საიმედოდ მოთამაშე მეკარეს ვერცერთხელ აჯობა. ტაიმის ბოლოს ბიწაძემ კიდევ ორჯერ იხსნა სტუმართა კარი. ორი მომენტიდან ბოლო მართლაც აღნიშნის ღირსია. ჯაგიდისმა მეტრეველი გარღვევაზე გაიყვანა, ამან საჯარიმოში ჩააწოდა, ჩაკიდებულს ქოიავამ კარგად შეურჩია ადგილი, მას გაჩერებაც შეეძლო და დარტყმაც, მაგრამ უკეთეს მდგომარეობაში მყოფ გაბისონიას თავით დაუგდო. მაგრამ ბიწაძემ რომ იავარგა, ზემოთ მოგახსენეთ.

არმიას ბრძოლა მოუწევს

მეორე ტაიმი სტუმართა შეტევით დაიწყო. მონასელიძემ ძლეირად და ზუსტად დაუმიზნა მასპინძელთა ცხრიანს, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ახლა მასპინძელთა მეკარემ ისახელა თავი. დალაქიშვილის ნახტომი უზადო იყო. სტუმრები კიდევ ხუთ წუთს უტევდნენ ინერციით და ალბათ ასეც გააგრძელებდნენ, მაგრამ ქოიავას საზრიანობის გამო არ დასცალდათ. მან თავისი გუნდი თამაში დააღაცა, ხოლო 52-ე წუთზე უზუსტესი პასით ისევ გაბისონია გაიყვანა პირისპირ. ბოლნისელთა მეცხრე ნომერმაც, როგორც იქნა, გაიტანა. გაშეებულმა გოლმა არმიელები დააბნია. იმატა უზუსტო პასებმა, ხოლო არეული თამაშის დამლაგებელი სტუმართაგან ვერავინ აღმოჩნდა.

ამასობაში მასპინძლებს ჯაგიდისი დაემტკვრათ და თავისიანების თამაშის წარმართვა ქოიავამ იტვირთა. გაბისონია ერთხელ კიდევ გაძვრა მეკარესთან პირისპირ, ბურთი ბიწაძეს თავზე გადაუგდო, მაგრამ კარს გადააცილა. სტუმრებმა ერთხელაც გაიბრძოლეს, შორიდანაც დაურტყეს დალაქიშვილს, მაგრამ ან ზუსტად ვერ არტყამდნენ, ანაც მეკარეს აძლევდნენ ბურთს ხელში. „სიონს“ საპასუხო მატჩის წინ ბურთების სოლიდური მარაგის შექმნა სჭირდებოდა და მომენტები საკმაოდ შექმნა, მაგრამ აქტიურ გაბისონიას მეტი აღარ გაუტანია. ვეღარც მეტრეველი აქტიურობდა. მათი დახმარება მცველმა შაკიაშვილმა იტვირთა. გაბისონიას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა მეფარიშვილმა საჯარიმოში ჩაჰკიდა. შაკიაშვილმა თავით აღებული დაარტყა და ბიწაძე მესამედ დარჩა მშრალზე.

დარჩენილი დრო ფეხბურთელებმა გვერდითი მსაჯების გინებასა და საგოლე მომენტების გაცუდებაში დახარჯეს. სტუმარ-მასპინძლებმა ყვითელი ბარათებიც დაიმსახურეს და კობაიაშვილმა თამაშიც დაამთავრა. მართალია, „სიონს“ ორბურთიანი უპირატესობა აქვს, მაგრამ, ეჭვი მეპარება, განმეორებით შეხვედრაში უბრძოლველად გავიდეს ფონს. 29 ნოემბერს თბილისში საინტერესო ორთაბრძოლა გველის.

მამუკა კვანტალიანი

ბათუმი 4:0 ტორპედო

ბათუმი: ტოგონიძე, სიჭინავა, შანიძე, ფუტკარაძე, შეყილაძე, ჭიჭვეიშვილი, მ. მახარაძე, ღლონტი, ტუღუში, უჯმაჯურიძე, კანტიძე (ტრაპაიძე 61)

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყრილაძე, ვ. თურმანიძე, რუხაძე, სადილეანი, შენგელაია (ს. გიგაიძე 66), გ. მგრელაძე (ვ. გიგაიძე 68), მ. მეგერლაძე, აშვეთაია, ვაჩავერაძე

1:0, 2:0, 4:0 ტუღუში (12, 39, 57), 3:0 შეყილაძე (52)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

საქართველოს თასი

მერვედფინალის პირველი მატჩები

გორდა 0:1 მერანი
სიონი 3:1 სკა
ივერია 0:0 შევარდენი
სამტრედია 0:2 კოლხეთი
სამგურალო 0:2 ოდიში
გურია 1:2 მარგვეთი
ბათუმი 4:0 ტორპედო

მართლაც რომელი წელია?

დასაწყისი პირველ გვერდზე

მკითხველს, ვისაც, შემთხვევით შემორჩა 10, 11 და 12 ნოემბრის ის გაზეთები, რომლებმაც მიიწინეს, რომ მთავარი დამნაშავე ჩივაძე იყო (არა მხოლოდ ამ წაგებაში — „მეზუთე მარცხი ზედიზედ“ — ეს სხვა რამეზე მიუთითებს), გთხოვთ, კიდევ ერთხელ გადაიკითხოს ის წერილები, 9 ნოემბრის მატჩს რომ ეხება და თუ ერთ სალანძღავ ფრაზას მაინც ამოიკითხავს... ოღონდ შევთანხმდეთ, რომ „ჩივაძე შეცდა“ და ამისთანები ლანძღვა-გინებად, ზოგიერთებივით, არ ჩავთვალოთ.

მოკლედ, კრიტიკას და მწვრთნელის გადაყენების მოთხოვნას, ტრადიციულად, მანიაკალური, ავადმყოფური რეაქცია მოჰყვა. თან ვისგან? არა ჩივაძისგან, არა ფეხბურთელებისგან. ისევ და ისევ ფეხბურთის ფედერაციის თავკაცების, მათი დამქაშების და მათი „დამსახურებული“ მეგობრების მხრიდან. მხოლოდ ერთი კაცი, ვლადიმერ პანოვი შეხვდა. ღირსეულად „ატეხილ აყიოტაჟს“ და, მართალია, მის ინტერვიუში (გაზეთი 11X11. 12 ნოემბერი) გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას არც მე ვეთანხმები, ამ სიტუაციაში მაინც მადლობას ვუხდი, რადგან იგი ერთადერთია, ვინც მართლაც არ გაგვლანძღა და უბრალოდ, ჩვენი აზრის საპირისპიროდ თავისი თქვა.

დანარჩენები კი... 1937 წელი არ ვიცი, მაგრამ ამ მართლაც ლანძღვა-გინების კორიანტელმა სულ რამდენიმე წლის წინანდელი ამბები გამახსენა. ისე მეგონა, მუშტაიდთან რომ გამეელო, ფეხბურთის ფედერაციასთან კარვები დამხვდებოდა, შიგნით მსხდომთ კი ხელში პლაკატები ეჭირებოდათ — „ბატონო საშა, ჩვენ თქვენთან ვართ!“

პრესის რეაქციით განსაკუთრებით აღშფოთებულა მავანი პირი, რომლის რამდენიმე ინტერვიუ გაზეთებში დაიბეჭდა, რამდენიმეც ტელეეთერით და ალბათ რადიოთიც გადაიცა. ეს კაცი მანამდეც ყოფილა აღშფოთებული იმით, რომ „სარბიელში“ „პედერასტი“ და „ბოზი“ დაბეჭდილა. ახლა მე რომ „ევეხისტყაოსნიდან“ (დაწერილია XII საუკუნეში) ციტატა მოვიხმო, მთლად ჩამქოლავენ — ეს თავხედი რუსთაველს ედრებაო. ამიტომ, ისევ ის მოჯობს, ამ კაცის ჩვენი „ამორალური“, „უმადური“ და „37 წლის დარი“ საქციელით აღშფოთება დავაცხრო. ოღონდ, ისე არ გაიგოთ, თითქოს მის და სხვათა პუბლიკაციებზე თუ სატელევიზიო გამოსვლებზე პასუხს ვწერდე. პასუხები რომ გვიყვარდეს, აქამდეც მოგვცემია ამის ბევრი საბაბი (განსაკუთრებით ერთი უწყებრივი გაზეთისგან, თანამშრომელი სრულიად უსაფუძვლოდ მართლაც უშვერი სიტყვებით რომ გაგვილანძღა). უბრალოდ, მათი ბრძნული გამონათქვამების კომენტარით და ჩვენეული არგუმენტებით კიდევ ერთხელ „თავს ვიმართლებთ“ და დავამტკიცებთ, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვართ „ჯილეტანტები“ ნაკრების მწვრთნელის გადადგომა უნდა მოგვეთხოვა.

ის ერთი კაცი ამბობს: როგორ შეიძლება პირველი მარცხისთანავე მთავარი მწვრთნელის გადაყენების მოთხოვნა?

პირველი მარცხი ჩივაძემ პირველივე თამაშში, 1993 წლის 25 მაისს იწვნია. ამა წლის 9 ნოემბრის მარცხი მისთვის მეთოთხმეტე იყო, აქედან ზედიზედ მეხუთე. სამწუხაროდ და ჩვენდა სამარცხვინოდ, წინა ცამეტი წაგების მერე მისი გადადგომა არ მოგვითხოვია.

ის ერთი კაცი კითხულობს: რისთვის? იმისათვის, რომ შემადგენლობა ისე არ დააყენა, როგორც მას-მედიას სურდა?

მას-მედიის სახელით ვერ ვილაპარაკებ. რაც შეეხება უხმსი და გაუგონარი სიტყვებით გაჟღენთილ „სარბიელს“, მას თამაშის ხილვა სურდა. ახლა მოდაში არაა, მაგრამ ვალიარებთ — გამარჯვებაზეც ყაბულს ვიყავით და ერთვნულ დღესასწაულზეც.

ის ერთი კაცი აგრძელებს: ჩივაძემ უთხრა შელიას და ცხადაძეს, უხეში შეცდომა დაუშვითო?

ცხადია, არა. მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩივაძემ უთხრა უელსთან თბილისის მატჩის წინ ქეცბაიას — სულ მოჭრილები და თან ცხრაინში დაარტყით. დანამდვილებით ვიცი, რომ არც კარდიფში უთქვამს ქინქლაძისთვის — 23 მეტრიდან მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდეო.

ისევ ის ერთი კაცი: „პირველ რიგში ჰოდლმა თავისი ტაქტიკით აჯობა ჩივაძეს, რომელსაც იგი ან სულ არ ჰქონდა, ან ცუდად ჰქონდა შემუშავებული“.

ო, ეს კი ჩვენთვის და ჩვენნაირებისთვის დამახასიათებელი „ლანძღვა-გინება“, „ამორალობა“, „უმადურობა“, „ამბიციურობა“ და „ზურგში დანის ჩაცემა“. და თუ ეს ეკადრება გაზეთს, რომელიც, უკაცრავად და, „ბოზს“ და „პედარასტს“ წერს, იმ ერთ კაცს არ ეკადრება.

აქ ამ კაცს თავი ვანებოთ და უფრო სერიოზულ საკითხზე გადავიდეთ, თუმცა ბოლოს მაინც მინდა შევახსენო ამ კაცს (როგორც ცნობილ „უმადურს“, მეპატიება), რომ თბილისის „დინამო“ თბილისის „დინამოა“, საქართველოს ნაკრები კი საქართველოს ნაკრები, და როცა სამი მილიონი კაცი თამაშს ვერ ხედავს, ანგარიში ნახევარ საათში ერთხელ მაინც უნდა შეიტყოს.

და კიდევ ერთი: ის კაცი ამბობს, ჩივაძე ჩემი მეგობარიაო. მეგობრის გამოქომაგება, იცოცხლეთ, კარგი საქმეა, მაგრამ... არც ჩემთვისაა ჩივაძე მტერი. თუმცა მაინც მათ შორის ვარ, ვინც ნაკრებიდან მის წასვლას ითხოვს. და იცით რატომ? არა იმიტომ, რომ ვიღაცეების პანაკში ვარ (ღმერთმა დამიფაროს!), არა იმიტომ, რომ თავად მინდა ეროვნული გუნდის გაწვრთნა, არა იმიტომ, რომ მინცდამაინც ინგლისთან წაგება განვიცადე, არამედ იმიტომ, რომ ჟურნალისტი ვარ, ხოლო ჟურნალისტის მოვალეობა არა პირმოთნეობა, არა ხვევნა-კოცნა, არა „პაეზდკებისთვის“ ჩალიჩი, არამედ სილაშაზის დედოფალშიც კი ნაკლის აღმოჩენაა. ჩვენი უპირველესი მიზანი ისაა, რომ ჩვენში საქმე გაკეთდეს, და თუ კეთდება, იქნებ იმდენი ვქნათ, უკეთესად გაკეთდეს. სწორედ ამიტომ, მირჩევნია, ჩემი სათქმელი პირდაპირ ვთქვა, ბევრი მოვიმდურო (არც ჩვენი პროფესიაა მწვრთნელობაზე ნაკლებად უმადური), ვიდრე კერძო ურთიერთობებს გავუფრთხილდე და სამაგიეროდ ხალხი ვატყუო — რა გინდოდა, შე კაცო, ინგლისის მოგება? ხომ არ გადაირიე — ეგ სანამ ბობოყვათი „ვოლვოს“ არ გამოუშვებს, მანამდე არ მოხდებაო.

არა, რასაკვირველია, ინგლისთან უცილობლად უნდა მოგვეგოო, ამას რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, მაგრამ მეორე ვიკითხოთ: რატომ უნდა წაგვეგო აუცილებლად? თურმე იმიტომ, რომ... ამას კი ნამდვილად არ ველოდი — ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი აცხადებს: „მათთან (იგულისხმება იტალია, ინგლისი) მარცხი იგივეა, რომ ჩვენს კალათბურთელებს ნბა-ს გუნდებთან წაეგოთ“.

ზემოთ იმ ერთ კაცზე რომ ვსაუბრობდი და თან რაღაცეებიც შევახსენე, ეს იმიტომ, რომ აღარ გაჩერდა და ჩვენი გაზეთის ლანძღვა ერთობ გაუტკბა, თორემ მისი აზრები, მართალი გითხრათ, ნაკლებად კი არა, საერთოდ არ მაინტერესებს. აი, გენერალური მდივნის ეს გამონათქვამი კი, ნებისმიერს, ვისაც ფეხბურთზე ოდნავ მაინც შესტკივა გული, ნამდვილად გააოგნებს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები (იმედი მაინც მაქვს, რომ ეს მხოლოდ გენსეკის აზრია) თურმე იმ ჭკუაზე არიან, რომ ინგლისთან მარცხი იგივეა... აღარ გავიმეორებ, ნამეტანი გასაოგნებელი ფრაზაა.

მაშ, რაღას ვერჩით ფეხბურთელებს, რომლებიც შარშანაც მუხლებაკანკალებული დახვდნენ გერმანელებს და ახლაც თითქმის იგივე მდგომარეობაში იყვნენ — მაგათ თუ უფროსები ასე აშინებენ, კიდევ კარგად უთამაშიათ. აბა, მიზანი საფრანგეთიაო? ეს თურმე ისე, ლამის ხუმრობით ნათქვამი ყოფილა, ისევე როგორც ატლანტის 9 მედალი. 9 ნოემბრის მატჩის მერე ლონდონიდან რეპორტაჟს რომ ვაგზავნიდი, ერთობ აღელვებული ვიყავი, ამიტომაც ვწერდი — საქართველოს ტოლი ამ ქვეჯგუფში ერთი მოლდოვა-მეთქი. როგორც ახლა გაირკვა, ქართული ფეხბურთის მესვეურები ყოველთვის ამ აზრისა ყოფილან.

ისევ იმ ლონდონურ რეპორტაჟს დავუბრუნდები. სწორედ მის გამო (ფედერაციის გენსეკის თქმით) შეუწყნია აჟიოტაჟი, რასაც იმავე გენსეკის გულისტკივილი გამოუწვევია. განსაკუთრებით გაუგებარი ყოფილა აღელვებული გენსეკისთვის ლონდონში მცხოვრები ჩემი მეგობრის სიტყვები — მრცხვენია, რომ ქართველი ვარო. გენსეკს ისაც ვერ გაუგია, რატომ თქვა მან ეს სიტყვები და, მართალია, აღელვებულია (ეს თურმე იმ ვითომდა ემართება), ხუმრობს — გაუგონარი სენსაცია მოხდა: მსოფლიოს ექსჩემპიონმა დებიუტანტი საქართველო დაამარცხაო. ჩემმა მეგობარმა შეიცხადა არა წაგება, არამედ საქართველოს ნაკრების სამარცხვინო, უსუსური და უაზრო თამაში და კიდევ ის, რომ თითქმის არასდროს ენახა ინგლისელთა ასეთი იოლი, ლამის უოფლო გამარჯვება. ალბათ იგივე იგრძნო იმ ხალხმა, თბილისის სტადიონის სარბენი ბილიკები ცარიელი ბოთლებით რომ აავსო, მაგრამ ეს არ აწუხებს გენერალურ მდივანს. ის, ალბათ, ამ ხალხსაც ივიკვეს ეტყოდა, რაც ჩემს მეგობარს უთხრა — წადით რაღა, ვინ გაკავებთო.

საერთოდ, თავის გამოსვლაში გენსეკი მიგვითითებს რამდენიმე მიზეზზე, რომელთა გამოც ჩვენ ინგლისისთვის არ თუ ვერ უნდა მოგვეგო. ნოემბრის ეს თეზისები ძირითადად ესენია:

ა) ინგლისი მსოფლიოს ექს-ჩემპიონია

ბ) სუსტ უცხოურ გუნდებში მოთამაშე ჩვენი ფეხბურთელები

გ) საქართველო მთლიანობაში ჩამორჩენილი ქვეყანაა

დ) ისევ და ისევ პირველი გოლის ფაქტორი

შევეცადოთ, განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ის, რომ ინგლისი მსოფლიოს ექს-ჩემპიონია, მხოლოდდამხოლოდ კარგი რეკლამის საშუალებაა (სტადიონზე ხალხს მოიზიდავ. თუ, ცხადია, მთელი თვის ჯამაგირს არ დატოვებინებ). წმინდა საფეხბურთო ასპექტში კი ამ არგუმენტის მოხმობა იგივეა, „ბოავიშტა“ რომ დაეშინო — თბილისის „დინამო“ ევროთასის მფლობელია და ნაღდად მოგიგებსო. ცნობისათვის: ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 1966 წელს. ე. ი. 30 წლის წინათ და ზოგიერთი მაშინდელი ფეხბურთელი ცოცხალიც აღარაა. ისე, კარგიც ყოფილა, საფრანგეთში რომ ვერ მივდიართ, თორემ იქ შეიძლება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაი შეგეხვედეს...

ახლა იმ ფეხბურთელებსაც მიეხედოთ, რომლებსაც თურმე ფხა ვერ გამოუჩენიათ და მეორეხარისხოვან უცხოურ კლუბებზე მეტი ვერა გაუხერხებიათ რა. და რომლებსაც, ფაქტიურად, ნაკრების ხელმძღვანელობამ და ფედერაციის თავკაცობამ განცდილი მარცხი მთლიანად გადააბრალა, რითაც, ჩემი აზრით, უდიდესი შეცდომა დაუშვა.

ჯერ ერთი, ფეხბურთელი თავად არ ირჩევს სასურველ კლუბს, მეორეც — რას უწუნებენ ჩვენებურები თურქულსა თუ ბერძნულ კლუბებს, გაუგებარია. „ტრაბზონსფორში“ რა კლასი უნდა აიმაღლოსო — კითხულობენ. კი მაგრამ, ტრაბზონელი და სხვა თურქული კლუბების ფეხბურთელები არ შეადგენენ თურქეთის ნაკრებს, წინა შესარჩევი ციკლი ლამის უბრძოლველად რომ მიიგო? სხვა საქმეა, ფეხბმტკივან ფორვარდს მოედნის ცენტრთან „ჰაკატების“ კეთებას რომ დაავალებ. მაშინ „ტრაბზონსფორის“ კლასი არაფერ შუაშია. ისე, თურქულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს შშვენივრად იყენებენ არამარტო ბულგარეთის (კოსტადინოვი), რუმინეთის (ჰაჯი), ჩვენი გამხდგურებელი ნიგერიის (ოკოჩა, უჩე) და სხვა ნაკრებები, არამედ თვით ევროპის 1996 წლის ევროპის ჩემპიონი გერმანია (კუნცი). თან ტრაბზონელი ჩვენებური მთელი თურქეთის (თავის ლეგიონერებიანად) მთავარი ბომბარდირია. ან თუნდაც რუსეთის ჩემპიონ გუნდს რა აქვს დასაწუნი (პოლიტიკურ ასპექტს შევეშვათ)? ქინქლაძეც გაამასხარავეს — კარგად რომ სდომებოდათ, აქამდე იყიდიდნენ ხეირიანი კლუბებიო. ესაც დააყოლეს — ეგ მხოლოდ ბოლტონელ და ოქსფორდელ მცველებთანაა მაგარიო. ჯერ ერთი, გიოს ნიუკასლელი თუ ლონდონელი მცველებისთვისაც არ დაუკლია, მეორეც — გიოს პრესტიჟისა და კარიერისთვისაა სასურველი ჯიუტი ლის დაყოლიება, თორემ ინგლისის მეორე ლიგაში რომ ბრძოლა და წრთობაა, მაგალითებად მოშველიებულ ბელგიისა თუ ჰოლანდიის ჩემპიონატებს ეგებ არც დაესიზმროთ. მითუმეტეს, თუ გუნდში ლიდერი ხარ და ნახევარი საქმე შენი საკეთებელია. და მესამეც: თუ ჩვენი ნაკრები ზმის იმედზეა, როდის მოატყუებს ქინქლაძე მთელ გუნდს, მაშინ მწვრთნელი რაღად გვინდა? ცხადია, „ბარსელონს“ და „მილანი“ რომ სავსეა შენი ნაკრების მოთამაშეებით, ამას არაფერი სჯობს, მაგრამ სათანადო მუშაობისას მეორეხარისხოვანი კლუბების მოთამაშეებითაც შეიძლება ხეირიანი ნაკრების. თუნდაც ისეთს, კამერუნის ნაკრები რომ იყო თავის დროზე — ფეხბურთელთა უმრავლესობა, უკეთეს შემთხვევაში, საფრანგეთის მესამე ლიგას წარმოადგენდა. ითამაშა ხეირიანად და მხოლოდ მერე გაიყიდნენ კამერუნელები შედარებით სახელიან კლუბებში, თუმცა აფრიკაში რა გვინდა — რომელი ბობოლა კლუბებში მოთამაშეთა კრებულია მოლდოვის ნაკრები, ორ თამაშში 4 გოლი რომ გაგვტანა და 6 ქულა წაგვართვა?

დროა, ქვეყნის საერთო მდგომარეობასაც მიეხედოთ. მართალია გენერალური მდივანი, როცა ამბობს: „არ შეიძლება, ფეხბურთი ცალკე განყენებულად გვიხილოთ“. იგი, აკრეთეგ, პირდაპირ არა, მაგრამ გვაგრძნობინებს, რომ ქვეყნის მესვეურთაგან მეტი ყურადღებაა საჭირო (ფამაშის მერე ცხელი წყალი არ იყო სტადიონზე). ეს მართალია. ჩემი მხრივ დავამატებ, რომ ევროპაში იმაზე გაჭირვებული ქვეყანა, ჩვენი რომაა, აღარ დარჩა (მეორე არც ყოფილა), მაგრამ... აქაც მაგრამ. ქვეყნის მდგომარეობას თუ ვუყურეთ და იმის იმედად ვიქნით, ქუთაისის ავტოქარხანა „მერსედესს“ როდის გამოუშვებს, ვეჭვობ, უახლოესი 50 წლის განმავლობაში ინგლისს კი არა, საერთოდ ვინმეს მოვუგოთ. ეს იგივეა, იმ გაზეთებმა, ჩივაძის გადადგომა რომ ისურვეს, რედაქციის ტექნიკა თელასის იმედად დატოვონ. ჰოდა, რაღა წაგების მერე იწყებს გენსეკი იმის გახსენებას, რომ ქვეყანაში ცხელი წყლის საქმე ცუდადაა. ხომ აქვს გაზეთი ფედერაციას, ადგეს და კოლეგების ლანძღვის ნაცვლად იმის გადადგომა ითხოვოს, ვის გამოც ცხელი წყალი და ელექტროენერგია საოცნებო გვაქვს. ისე, ამათი უკმარისობა თუ არარსებობა ყველაზე ნაკლებად სწორედ ეროვნულ გუნდს უნდა აწუხებდეს — მისი წევრები ხომ წელიწადში ასე 20-25 დღის განმავლობაში არიან საქართველოში. მაშ, რაღა თქვას თბილისის „დინამომ“. თუ ამ კლუბში იმის იმედად არიან, რომ მომავალი შემოდგომისთვის, ჩემპიონთა ლიგაში თამაშს რომ აპირებენ, მეორე ჰოლანდიას ავაშენებთ? მოკლედ, დალაგებულ ქვეყანაზე ფიქრს ის სჯობს, სიდუხჭირეს აზრიანი გარჯა დაუპირისპიროთ. ისეთი, როგორმაც არანაკლებ გაჭირვებული ნიგერიის ნაკრები მსოფლიო გრანდად აქცია. ამ ქვეყანაში, მახსოვს, ±5 წავაგეთ, ისიც მახსოვს, იქიდან ჩამოსული ჩვენი ფეხბურთელები ამბობდნენ — თამაშის მერე დასაბანი წყალი ბოთლებით მოგვიტანეს, ჩვენს ნასუფრალზე კი იქაურებს დიდი ჩხუბი ჰქონდათო. ომებითა და გაჭირის სანქციებით გაწამებული ქვეყნის, ნიგერიის ეროვნული გუნდი დღეს ოლიმპიური ჩემპიონია!

ახლა, ამ წერილს რომ ვწერ, ესპანეთის ტელევიზიით ბილბაოს „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონას“ მატჩის ბოლო წუთები მიმდინარეობს. ანგარიში „ბარსამ“ გახსნა, მაგრამ თამაში ბასკებმა მოიგეს — 2:1. ვერ ვიტყვი, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა-მეთქი — ჩვეულებრივი თამაში იყო და მასპინძლებმა, სახელიან ფეხბურთელთაგან ერთი გერერო რომ ჰყავდათ, ვარსკვლავებით მოჭედილ მეტოქეს თამაში შეუტრიალეს და მოუგეს. ესაც შენი პირველი გოლის ფაქტორი! რა, ასეთი რამ იშვიათად ხდება? არა, ცხადია, არის თამაშები, როცა კოჭებში ეტყობა — პირველ გოლამდეა, მაგრამ ჩვენი ეროვნული გუნდის შექმნამდე მე არ მახსოვს გუნდი, პირველი გაშვებული ბურთით ასე დაკომპლექსებული ყოფილიყო. არავის უცდია, ჩვენი ფეხბურთელები ამ მავნე სენისგან განკურნოს. პირიქით: ივიკვე გენერალური მდივანი იმავე ინტერვიუში ამბობს: „სულ ახლახან დაიწყო შესარჩევი ტურნირი და სწორედ პირველი გაშვებული გოლის შემდეგ საკმაოდ მოულოდნელი შედეგები დაფიქსირდა“: და შემდეგ მოდის რიგი მატჩების ჩამოთვლა. ამთვან სამ შედეგს მოვიყვან: იუგოსლავია — ჩეხეთი 1:0, სომხეთი — პორტუგალია 1:1 და ისრაელი — ბულგარეთი 2:1. პირველი მატჩის შედეგი რატომ იყო მოულოდნელი, ჩემთვის გაუგებარია. იმიტომ, რომ ჩეხეთი ევროპის ვიცე-ჩემპიონია და ორრესპუბლიკაშერჩენილი ახალი იუგოსლავია ამ ტურნირის დებიუტანტი? ალბათ იუგებს ამაზე დიდი ყურადღება არ გაუმახვილებიათ. მეორე შედეგი კი... რომელ პირველი გოლის ფაქტორზეა ლაპარაკი, როცა სომხეთმა და პორტუგალიამ 0:0 ითამაშეს და არა 1:1 მესამე მატჩი კი გენსეკის სიტყვებს არათუ ამტკიცებს, პირიქით — ამ მატჩში ანგარიში ბულგარელებმა გახსნეს, თან მეორე წუთზევე, და მაინც ისრაელმა მოიგო.

მოკლედ... თუმცა რაღა მოკლედ, ამ ხელა წერილი გამომივიდა. თან ბოლოსკენ იმ დასკვნამდე მივედი, რომ „ნაკრების მწვრთნელი უნდა შეიცვალოს“-ზე აქტუალური

ფედერაციის გენერალური მდივანი უნდა შეიცვალოს

ყოფილა, რათა მერე არავის მოუვიდეს აზრად იმის თქმა, ფეხბურთელების ინგლისთან მოგება იგივეა, კალათბურთელებმა ამერიკელებს რომ მოუგონ. თან, ჩვენში ფეხბურთთან დაკავშირებული თუნდაც ერთი კაციც არ ვიცი, ასე ხუმრობის ხასიათზე რომ იდგეს 9 ნოემბრის სამარცხვინო მარცხის შემდეგ. გენსეკი ჩივაძის შეცვლას ხან ვახო მზიკაძით და ვახტანგ დარასელიათი (ჟურნალისტები არიან) ლამობს, ხან გეშაირება — 9 ნოემბერს სტადიონზე თქვენ რომ თქვენს ადგილზე არ დაგსვეს, ესეც ჩივაძის ბრალიაო, თან აგდებულადაც მოგვმართავს — თუ ჩივაძე არ მოგწონთ, მაშინ ვინ მოგწონთო.

ისე, ჩვენში დარჩეს და, მე შერონ სტოუნი და დემი მური მომწონს.

ზურაბ მეძველია

IT'S THREE AND EASY

ერთვნული ბიბლიოთეკა

„სანდი მიროორი“, 10 ნოემბერი. ესაც მესამე და იოლი

Georgia roll over as Hoddle gets his tactics right

„დეილი ტელეგრაფი“, 10 ნოემბერი. ჰოდლმა სწორი ტაქტიკა აირჩია და საქართველო გადაგორდა

მადლობა ღმერთს, რომ ცუდები ვართ

ჯერ საქართველო, ძვირფასებო!

ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდები ვართ, ძალიან.

„ვინა ხართ საერთოდ ეს ჟურნალისტები, რა გინდათ, რა გესმით“... ესაც კი სანატრელი გაგვიხდა.

უზრდელებიო, უმადურებიო, უცოდნარებიო, 9 ნოემბრის მერე სულ ეს გვესმის.

ამ ს...ებს პერევოჩკი ვერ მოუყვანიათ — გადაულაპარაკა ერთმა მწვრთნელმა მეორეს 9 ნოემბრის მატჩის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, როცა პრეს-კონფერენციის გამძღოლსა და მთარგმნელს, საამაქმოდ ძმური თხოვნით ძლივს დაყოლიებულ ერთ ჩვენს კოლეგას ჰოდლისა და ერთი ინგლისელი ჟურნალისტის შინაურულ-ჟარგონული გაბაასების თარგმნა გაუჭირდა. გაუჭირდა ერთად-ერთხელ, ორიოდე წუთით (შექსპირზე და დიკენსზე გაზრდილი ქალიც მოგვეყვანია, მაგრამ იმისთვის, რა აუტი და რა პენალტი, სულ ერთი ყოფილა). წარმომიდგენია, რას იტყოდა ან რას ფიქრობს ჟურნალისტებზე ის მწვრთნელი მას მერე, რაც 9 ნოემბრის მერმინდელი პუბლიკაციები წაიკითხა. არადა, იმისმა გუნდმა ცოტა ხნით ადრე მთელ საქართველოს იმისთანა სირცხვილი აჭამა, ამ ჩვენს ლამის ერთადერთ საზოგადოებრივ სალაფავს შეჩვეულებასაც კი ველზე დაგვადგა. დავიწყო ახლა იმის რკვევა, ვინ არის-მეთქი ჩვენში ის, რაც მან იმ დღეს გვიწოდა?

მოკლედ, კაპიკად არ ვფარგივართ, ძალიან ცუდი ხალხი ვართ, რანაირებიც, ზემოთ უკვე ვთქვი და... მადლობა ღმერთს, რომ ასეთები ვართ!

ცუდობა-უვარგისობაზე ღმერთის მადლიერს საამისო მიზეზი უეჭველად მოეკითხება.

უზრდელობა-უმადურობაზე მერე იყოს, ცოტა ქვემოთ, ჯერ კი უცოდინარობაზე ვთქვათ.

რომელი ჟურნალისტისგან გსმენიათ, მე იმდენი ვიცი ფეხბურთში, ვინც გინდა გამეკიბროს, თუნდაც სპეციალისტიო. ამნაირს თუ გადაეყარეთ, ჩათვალეთ, ჟურნალისტი არ არის. ჩვენ საჭვენსაქმოდ, საგაზეთოდ ანუ საზოგადოდ ისეთი პირი, მოლდოველების დასახვედრად ხვირიანად ვემზადებოდეთო. ამ ჩვენიანს, ცხადია, დიდად დაემძურნენ, უფრო, შემოსწყრნენ ნაკრებისა და ფედერაციის (ეს ხომ ერთი და იგივეა ცალკე საბჭო გარემოებათა გამო) თავი კაცებიც და ისე კაცებიც, ეს როგორ გაბედა, ეს ვინ ყოფილა, რა ცუდად გვცნობიაო. აქ ზემოთ შეპირებულ უზრდელობა-უმადურობასაც მივადექით, ეს ორი თემაც ბუნებრივად ჩაეხლართა ცოდნა-უცოდინარობისას და აწი სამივეზე შერწყმით მომიწევს თხრობა.

ჰოდა, გამოხდა ხანი და უელსი, აუუ, რამდენი წელი გასულიყო, ამათ ასე არ წაეგოთ, არნახულად გაეკანადგურეთ თბილისში. იმ ხუთი დაუვიწყარი გოლივით ახლაც თვალწინ მიდგას ის სურათი, მატჩის მერე რომ ვიხილე და მეხსიერებას მეექვსე გოლის ტოლფასად რომ შემორჩა: ამაყი, ტრიბუნებიდან გამოშლილი ხალხის ტალღათა მრღვევი ალექსანდრე ჩივაძე თავაწეული მოეშურებოდა საპრეს-კონფერენციო დარბაზისკენ. სულო, ცოდვილო, ეჭვმა გამკრა, ნიშნისმოგებისეულიც ხომ არ არის-მეთქი მის ამ ლაღ სვლაში ჩვენსკენ, ჟურნალისტებისკენ. არ შევმცდარვარ, ასეც იყო, აქედან დაიწყო სწორედ ჩვენი სალექციო კურსი, მაგრამ გინდ გაეკვირდეთ, გინდ არა, აქ უნდა დავეთხოვო ზემორე მსუბუქ ირონიაშეპარულ სიტყვაობას და ყველაფერი ალაღად, ტკივილიანად მოგახსენოთ.

კი, იყო ნიშნისმოგებაც და ჭკუისსწავლებაც იმ პრეს-კონფერენციაზე, იყო სიამაყეც, ცოტა ზედმეტიც, თუმცა რატომაც არა — უელსის დამჩოქებელს ეს ერგებოდა და შეენოღა კიდეც. ჩვენს წინ ხომ მიწებდაკარგული და ღირსებაშელახული ქართველობისთვის თავისი საქმით — ფეხბურთით სიხარულის მომნიჭებელი კაცი იკვდა. იმ დღისთვის, და არა მხოლოდ იმ დღისთვის, და არა მხოლოდ მწვრთნელობისას ჩვენი გახარებისთვის, ახლაც უდიდესი მადლობა ალექსანდრე ჩივაძეს — დიდ ქართველ ფეხბურთელს. მაგრამ იყო სხვა დღენიც, მწარე და მარცხიანი, მაგრებმა მოდამწყვებმა კოლეგამ მთლად აიღო ნამუსზე ხელი — ვითომ შემთხვევით, ვითომ რამეში სჭირდებოდა, ის ხომ არის აქ, ის ხომ არ დაგინახავთ ენიმესო, იმ ჩვენი თანამშრომლის გვარის ძახილი დაიწყო, „სირცხვილის ქრონიკა“ რომ დაწერა. მომკალი და, სახალხოდ რამე მათქმევინე, ამიტომაც იმ ერთხელაც შეეცოდე — გაჭუმდი და არაფერი ვთქვი. სათქმელი კი ეს მქონდა — ბატონო საშა! უელსთან ამ გამარჯვებაში იმ ჟურნალისტის და მასსავით დაურიდებლად დამწერთა წელილიც ურევია, რადგან დროულად გითხრეს მწარე სიმართლე, რომელმაც გამოგაფხიზლათ, თუნდაც გაგაბრაზათ და ამით საქმის უფრო გულიანად საკეთებლად განგაწყოთ. იმიტომ, რომ აქ ლოგიკა ერთია, მარტივი, უცვლელი, სხვებისთვის კარგა ხანია ცნობილი, ჩვენთვის კი ჯერ ახალი და შესარჩევი: ჟურნალისტებს და სპეციალისტებს გეიჯობს ცუდად ვიყოთ ერთმანეთთან, თუ ეს საერთო საქმის კარგობას სჭირდება, ვიდრე ჩვენ ერთმანეთს ვეხუტებოდეთ, საერთო საქმე კი ცუდად მიგვდიოდეს. ელეს უსწრაფესად ვცდილობ დავაზუსტო, რას ვგულისხმობ „ცუდად ყოფნაში“, თორემ ბოლოდროინდელი დემაგოგიის შიშით ამ აზრის უკუღმართად გაგებისაც მეფიქრება. ქართველები ვართ და, მოგეხსენებათ, ჩვენთვის მთავარია გაგება. ჩახუტება, სიყვარული და მთელი ყველაფერი. უნამუსო ვიყო, მეც ეგეთი ვარ, ძმაო! მაგრამ, მოდით, რა, ამ გაგებულმა, ჩამხუტებელმა და მოყვარულმა ხალხმა საქმის ალაღად და ახლებურად კეთებაც ვისწავლოთ. სხვა დრო დაგვიდგა, მარტო კომუნისტების გინების და წარამარა სუფრების გადაფენის ჟამი წავიდა, ოღენ ქეიფსა და ძმაბიჭობაში პროფესიონალობის ნაცვლად ახლა საქმეში პროფესიონალობასაც, უსასტიკეს პროფესიონალობასაც გვთხოვს ახალი დრო. ეა ამ ქვეყანათავზეგადანგრეულ ხალხს. თანაც იმათ, ვისაც ბედმა გაუღიმა და სამსახური იშოვა. კაცისა და ქვეყნისთვის თავის გატანა-გადარჩენის ამ ახალ, აყირავებულ და მძიმე ჟამს ახლებურად, დროება-ვითარების შესაფერისად, თავის დაუზოგავად და ალალად თუ არ ვისამძანებ, აგერ, ბატონო, ამ ვითომ პოლიტიკოსების, ვითომ სამხედროების, ვითომ მინისტრების, ვითომ კანონისდამცველების, ვითომ ბიზნესმენების, თუნდაც ვითომ მწვრთნელების და, ასეც იყოს, ვითომ ჟურნალისტების ხელში საქართველოც ვითომ ქვეყანად იქცა. ახლა ერთმანეთს უპირველესად საქმე უნდა მოვთხოვოთ, ოღონდ არა ყელში წვდომით, კრიჭაში ჩადგომით, არამედ ღირსეულად, კაცურად. თუ საჭირო შეიქმნა, აუცილებლად, უსიკვდილოდ უნდა შევეშველოთ ერთმანეთს — ესაც უპირველესი ვალია საქმის მოთხოვნასთან ერთად. აი, ამას ვგულისხმობ „ცუდად ყოფნაში“. სხვათა შორის, არცა ვთვლით სალაპარაკოდ, მაგრამ მავანს, ზოგთა ნაბეჭდი თუ საეთერო გულისწყრომის წამკითხველსა და მომსმენს მთლად ღვთის პირიდან გადავარდნილნი და უუნარონი რომ არ ეგონოს ჟურნალისტები, ამასაც გავიხსენებ: რაც და როგორ შეეძლო, ჩვენი ნაკრებისა და ზოგი კლუბის მნიშვნელოვანი მატჩებისთვის მზადებისას „სარბიელს“ მწვრთნელებისთვის დახმარებაც გაუწევია და ამისთვის მუდამ მზად ვართ. მუდამ მზად ვართ საამისოდაც, რომ შესაქები, საქმეც და კაცც, შევაქოთ და, თუ საჭიროა, მხარიც დავუჭიროთ. საერთო საქმის უხეიროდ კეთებაზე კი, ნურას უკაცრავად, თვალს არ დავხუჭავთ. არ დავხუჭავთ სწორედ იმ ლოგიკის გამო, ზემოთ რომ ვახსენე. ამიტომაც „გადავდეთ თავი“ და წაგებებს შეჩვეული, პერსპექტივაშემოცრეცილი ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადადგომა მოვითხოვეთ. ეს გადადგომის მოთხოვნა საერთოდაც, ყველგან „რთული თემაა“ და ჩვენში ხომ ასკეც გაძნელებული მრავალ და ცნობილ მიზეზთა გამო. ჯერ ის უნდა ამტკიცო, რომ პირადად შენ „ჯკინი“ არავისი ეჭვრს და ამიტომ არ გამოგიდია თავი. რახან ასეა, ესაც უნდა გავიხსენო: ალექსანდრე ჩივაძე ჯერ კიდევ იმ დროიდან მახსოვს, პირტიტველა ყმაწვილი რომ იყო, „დუგოს“ რომ ეძახდნენ და დიდ ნახალოვკურ საფეხბურთო სამძოში, რომელსაც მართლაც კაცური კაცი, თემურ გიორგაძე ყორობდა, ხალისიანად და ნიჭიერად აგორებდა ბურთს. ლამის მთელი ნახალოვკის კაცობის და ფეხბურთის ნაღები იქ იყო. მოკლედ, როცა შენ თვალწინ ჩაიელის ფეხბურთელის გზა ქუჩის ფეხბურთიდან სსრკ ნაკრების კაპიტნობამდე და კომორგობამდე (იმდროინდელ რუსეთში რომ ამასაც მაახერხებ!), მისი გამორჩეული ქომაგი იქნები, აბა, არ იქნები?! ისევე, როგორც მეზობელ, მე-13 სკოლელ ვოვა გუცაევისა. მაგრამ, ჯერ საქართველო, ძვირფასებო!

მე მგონი, სენტიმენტები აღარ არის საჭირო და სჯობს უფრო საქმიანად ვილაპარაკოთ. მოთხოვნით კი მოვითხოვეთ, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვადადგომა-არგადადგომა, რა თქმა უნდა, ერთი კაცის, და რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცის სურვილზე ჰკიდია. რას იზამს, როგორ მოიქცევა ახალკაცი, ამის პროგნოზირება, მოგვეხსენება, უძნელესი საქმეა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი „არ დაუშვებს“ მწვრთნელის გაშვებას თუნდაც იმის გამო, რომ არ შექმნას პრეცედენტი — ჟურნალისტებმა ნაკრების მწვრთნელი გადააყენესო. თანაც, ახლახან გამოიჩხრიკა ერთი უმტკიცესი არგუმენტი — კონტრაქტი. როდის გაფორმდა ეს კონტრაქტი, ძველია თუ განახლებული, ანუ ევროპის ჩემპიონატის მერე ერთი ჩათვლა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მერე დაიდო, რა პირობებია, რას ითვალისწინებს და რას ავალდებულებს მხარეებს, საფეხბურთო საზოგადოებისთვის უცნობია, რაც სულაც არ არის გასაკვირი, ახალკაცის ხასიათსა და საქმიანობის ყაიდას თუ გავითვალისწინებთ. აგერ, ახლახან სპორტნაწარმის იტალიური ფირმა „კაპა“ ჩვენ ნაკრების პერუჯაში ყოფნისას ერთობ უსიამოვნო აქციის მოწყობას ეპირებოდა თურმე ჩვენი ფედერაციისგან პირის ტეხვის (ასე ამტკიცებენ იტალიელები) გამო, ახალკაცი კი ამ ყოველივეზე, როგორც ყოველთვის, დუმს. „ეს მხოლოდ ჩვენი და სხვისი არავისი საქმეა“ — ამას ნიშნავს მისი პოზიცია კონკრეტულად ამ საქმეშიც და კონტრაქტის თაობაზეც ამან ერთი ყველასათვის ცნობილი არცთუ შორეული ამბავი გამახსენა: ბრაზს იფხორებოდა იუჰანსონი — ვინა გდია ეს ბოსმანი, ჩვენი საქმისა მხოლოდ ჩვენ ვიცითო, მაგრა ევროპარლამენტმა ვინ ხეთქილი „უმერ-ამალიჩასათვის“ დაჩუტა ერთიან თავდაყრილი ევროპა? ბრაზდებოდა ამით, ამის თქმა მინდა, რომ გამუდმებით ჩრდილში დგომა, ანუ არა მხოლოდ ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი საქმეების ჩუმად, განკერძოებით, „სხვისი რა საქმეა, მაგათ რა იციან“ — ამბიციით კეთება არც ფედერაციას, არც მის პრეზიდენტს ხვირს არ დააყრის, მითუმეტეს, რომ ფედერაციას მტერი ანუ „გააზნაურების მსურველი ნაბიჭვრები“ მოუმრავლდაო, შფოთავს ფედერაციის გაზეთი. ერთი სიტყვით, ბატონ ნოდარს მეტი სიფრთხილე, გონიერება, უკეთ გააზრებული ტაქტიკა მართებს საზოგადოებასთან, კერძოდ, პრესასთანაც ურთიერთობისას, ამის საუცხოო საშუალება კი ის არის, საზოგადოებას დროულად აცნობო ის, რაც აინტერესებს, რაც აღელვებს და რაც მარტო ფედერაციის საქმე სულაც არ გახლავთ, რადგან ამ კუკუდამალობანაში ერთხელაც იქნება, მონასტერი ისე აირევა, კისერწატეხილი მთელი ქართული ფეხბურთი გამოვა თავის ქომაგებიანად ანუ ყველა ჩვენიანად. სადაც სამართალია, ახალკაცი არც ახლა უნდა იყოს ჩუმად თუნდაც იმიტომ, რომ ერთობ უცნაური ვითარება შეიქმნა: ფედერაციის პრეზიდენტმა ეროვნული გუნდი ჩააბარა თავის ხელქვეითს — ვიცე-პრეზიდენტს, თანაც, ამბობენ, კონტრაქტითო. ნაკრებიც — აგებს და აგებს, ხალხი პასუხს ითხოვს (და არა მარტო ჟურნალისტები, როგორც ზოგს ჰგონია — ენახათ ამათი ის ხალხი, რედაქციაში რომ მოგვადგა კოლექტიური თუ კერძო წერილებით ან მოესმინათ იმათი სიტყვები, ტელეფონით რომ გვასმენინეს და გვთხოვეს, „გადაეცით მაგათ, რომ მაგათი...“ (ნაკრებისა და ფედერაციის ხელმძღვანელებს), ის კი, ვისი აზრიც ყველაზე ანგარიშგასაწევია ანუ ხელქვეითი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვიცე-პრეზიდენტის „ხელზეითი“ პრეზიდენტი ჩუმად არის და ალბათ იმას ფიქრობს, იხმაურებენ და გაჩუმდებიანო. გაჩუმებაზე თუ მიდგება საქმე, ჯერ თავად გააჩუმოს ის ხალხი, ქვეყანას რომ თან აცინებენ და თან ატირებენ. „პარაჟენცობის“ იდეოლოგები პოლიტიკაში არ გვაკლდა, რომ ფეხბურთშიც ახე მოგვრავლებიან: „იტალიასთან მოგება არ მოინდომეს!“ „რატომ უკვირს ამ ხალხს ინგლისთან წაგება ვერ გამიგია...“

ახლა ერთ კარგ საქმეს ვიზამ, წინდახედულობას გამოვიჩენ, მერე რომ ალარაფერი მქონდეს სადარდებელი და ახლავე მოვიმარაგებ სამომავლო არგუმენტებს, რა ვიცი, რა როგორ იქნება:

„პოლონეთი ერთ დროს გუნდი იყო ძმაო! ბიელო-ბოლო, შენზე კარგს ჭამენ და სვამენ“.

„მოლდოვას ასე აგდებით რატომ უყურებთ, ეგენი არ იყვნენ, ორჯერ რომ გაგვამწარეს ევროპის ჯგუფში“.

ბარემ უფრო წინაც წავიგდოთ საქმე, რამე რომ იყოს:

„სომხებს ეხუმრები? მაგათ რომ დიასპორა ჰყავთ! საფრანგეთიდან მოთამაშეები მოჰყავთ, ამერიკაში კი ტურნეს აწყობენ“.

„აზერბაიჯანს ნავთი აქვს, მთელ საქართველოს იყიდის“.

ვინღა დაგვრჩა ტოლ-სწორი, ესაც ვიანგარიშოთ:

ტაჯიკეთი ნაღდია, ყირგიზეთიც, უზბეკეთი — ვერა: საქართველოსხელა ბამბის პლანტაციები აქვს, თურქმენეთი — დიდი ბოდიში, გაზი და ჩვენი ნახევარმილიარდიანი ვალი გავიხსენოთ...

ჰოდა, ზუსტად იმის დრო დაგვდგომია, ვიკითხოთ, რისთვისაა ვირჯებით, ვწვალობთ და ვიწყვეტთ ნერვებს. ავვიწყვია საქმე და ეგ არის. დავიჯეროთ, რასაც ჭკვიანი ხალხი გვეუბნება და მშვიდ ცხოვრებასაც ვეღირსებით — ნაკრები თუ მოიგებს, ხომ კარგი, თუ არა, რატომ უნდა მოეგოო, ვიკითხოთ გაკვრებით და გულმშვიდად. ფედერაციასაც მოუგნია თავისი მოწოდებისთვის — გაამართლოს მარცხი.

თავისი საქმის მცოდნეებს კი თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ — აკი ვთქვი, თითებზე ჩამოგვეთვლებიან-მეთქი ასეთები. გაფრთხილება კი ისაა, თუ კაცს დაღლა და საქმის არევა შეატყევ, ურჩიო — ან საქმე შეიმსუბუქე, ან სულაც დაისვენე, ცოდო ხარ, მარტო შენ ხომ არ უნდა აკეთო ყველაფერი, სხვებიც არიან...

თამაზ მიგრიაული

ინგლისი

არსენალი 3:1 ტოტენჰემი

არსენალი: ლუკიჩი, უინტერბერნი, ვიეირა, ბოულდი, ადამსი, რაიტი, პლატი (პართსონი 80), მერსონი, ბერხკამპი (პარლიუ 90), კეონი, დიქსონი

ტოტენჰემი: უოკერი, ჰოუელსი, კალდერვუდი, ნიღსენი, ანდერტონი, შერინგემი, არმსტრონგი, უილსონი, კემპბელი, კარი, სინძონი

გოლები: რაიტი (28 პ), ადამსი (88), ბერხკამპი (90); სინძონი (57)

გაფრთხილება: ვიეირა, დიქსონი, არმსტრონგი

ჩრდილოლონდონური დერბი „მეთოფეელის" გამარჯვებით დასრულდა. „ტოტენჰემმა" ვერცერ ფრენსისის ხელმძღვანელობით პირველი მარცხი იწვნია „არსენალისგან". ძლიერად ითამაშა იან რაიტმა. გარდა გატანილი პენალტისა, მან დენის ბერხკამპს საგოლე პასი გაუხერხა. მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრები უნათოდ ირჯებოდნენ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ფრეზეც ყაბულს იყვნენ. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ტოტენჰემელთათვის ყველაფერი კარგად უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ბოლო ორმა წუთმა მატჩის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ შეატრიალა. ვერ ალბოინელთა კაპიტანმა, ტონი ადამსმა დააგვირგვინა ყოფილი ნარკომანის — მერსონისა და ბერხკამპის მიერ დაწყებული შეტევა, ხოლო ორ წუთში თავად ჰოლანდიელმაც იხეირა.

ქოვენთრი 1:2 ასტონ ვილა

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ (ტელფერი 67), ბაროუზი (ბოროუზი 23), უილიამსი, დეინი, ჯონი, ვიღანი, დობლინი, მაკალისტერი, სალაკო, ნდლოვუ (ჰაგერი 74)

ასტონ ვილა: ოუქსი, ნელსონი, რაიტი, უზოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, დრიბერი (შაზიეცა 90), ჩურჩილი (ტეილორი 60), თაუნსენდი, ჯონსონი, იოახიმი (ბილოშევიჩი 75)

გოლები: დობლინი (75); იოახიმი (29), სტონტონი (85)

გაფრთხილება: დეინი, ბოროუზი, ვიღანი, ჯონსონი, დრიბერი, თაუნსენდი

„ასტონ ვილაში" ხუთკლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ დაბრუნება ირლანდიის ნაკრების ნახევარმცველმა სტივ სტონტონმა გოლით აღნიშნა. მან საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე შორეული დარტყმით მეკარისგან მარცხენა ცხრიანში გაიტანა გამარჯვების გოლი. 3 სექტემბრის შემდეგ ბირმინგემელებმა პირველად გაიმარჯვეს სტუმრად. იოახიმის გოლის შემდეგ სხვაობის გაზრდის შანსი ალან რაიტს ჰქონდა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ ოგრიზოვიჩმა შეუშალა ხელი. 23-ე წუთზე „ქოვენთრელ" დეინად ბაროუზს ტრავმის გამო მინდვრის დატოვება მოუხდა. სტუმრები საკმაოდ კარგად ირჯებოდნენ დაცვაში. ჩინებულად ითამაშა ეჰ იოუ — სტონტონ — საუთგეიტის სამეულმა. „ქოვენთრის" რიგებში გამოირჩეოდა სალაკო, რომელიც მარცხენა ფრთის სრული ბატონ-პატრონი იყო. მეორე ნახევარში ჰაკერბის შეცვლაზე შემოსვლა, მისი ბურთთან შეხება და საგოლე პასი ერთი იყო. ჰაკერბის გადაცემა გოლით დასრულება დაბლინმა, მაგრამ მასპინძლები წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ. ზედიზედ ექვსი ფრის შემდეგ „ქოვენთრი" დამარცხდა.

სანდერლენდი 1:1 შეფილდი

სანდერლენდი: პერესი, ჰოლი, კუბიკი, მელვილი, სკოტი, კელი, ბრაისველი, ბოლი (რი 45), სმიტი, სტიუარტი, ბრიჯზიო (რასელი 72)

შეფილდი: პრესმენი, აზურტონი, ნოლანი, ჰემბრიჯი, ნიუსამი, უოქერი, ბუთი, ჰაიდი, ოუქსი (ჰამფრისი 84), კარბონე, ტრასტფული (ვითინგემი 55)

გოლები: მელვილი (68); ოუქსი (66)

გაფრთხილება: ბრიჯზიო, აზურტონი

წლევანდელ სეზონში კარგი სტარტის შემდეგ თანდათან უკლო „სანდერლენდმა", ახლაც, შინ ძლივს მაღწია ფრეს. სტუმრების გოლს ორიოდ წუთში უპასუხა უელსელმა ენდი მელვილმა და პირველი ბურთი გაიტანა პრემიერლიგაში. 66-ე წუთზე „შეფილდ უენსდეიში" დისკვალიფიცირებული ჰოლანდიელის — რეჯი ბლინკერის ნაცვლად გამოჩენილი სკოტ ოუქსის ლამაზი რეიდი მასპინძელთა კარის ალებით დასრულდა. „სანდერლენდის" კაპიტანი კევინ ბოლიც დაშავდა, მოედანი დატოვა და მისი ადგილი ნახევარდაცვაში ალექს რიდმა დაიკავა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მასპინძელთა დაცვა უზუსტოდ თამაშობდა. „სანდერლენდის" მცველები პირდაპირ დაწეოცა „შეფილდის" აპენინელმა ლეგიონერმა ბენიტო კარბონემ, თუმცა გოლის შეგდება პერესის სამარჯვეს გამო ვერ მოხერხდა. თამაშიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სტუმრებმა ორი ქულა დაკარგეს და მასპინძლებმა ერთი მოიპოვეს.

ჩელსი 1:1 ნიუკასლი

ჩელსი: ჯროდსკი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, ვიალი, ჰიუზი, უაიზი, დაბერი, დი მატეო (გუსტინი 61), მინტო, ძოლი

ნიუკასლი: სრნიჩეკი, ელიოტი, გიდსპი, ბათი, ალბერი, პიკოკი, ლი, ჟინოლა (უოტსონი 55), შირერი, ასპრილია (კლარკი 70), ბერდსლი

გოლები: ვიალი (24), შირერი (41)

გაფრთხილება: ვიალი, შირერი, ჟინოლა, ალბერი

ტურის ცენტრალური მატჩი, რომელიც ლონდონში გაიმართა, საკმაოდ დაძაბული გამოდგა. ოთხი გაფრთხილების გარდა, შეხვედრის არბიტრს მაიკლ რიდს ერთხელ წითელი ბარათის ამოღებაც მოუხდა. 52-ე წუთზე სტუმრები ათნი დარჩნენ მოედანზე: ბათმა ხელი გაარტყა უელსელ მარკ ჰიუზს და „წითელმაც" არ დააყოვნა. აღსანიშნავია, რომ სტუმართათვის ეს პირველი წითელი ბარათია ამ სეზონში. ასე რომ, კინგის გუნდი მეორე ნახევარში უკვე ქულის გადარჩენაზე ფიქრობდა. ჩელსელთაგან გამოირჩა ვიალი. სტუმართა რიგებში კი კვლავ გამოჩნდა ნაოპერაციევი ალან შირერი და გოლიც გაიტანა. საერთოდ, მან კარგად ჩაატარა შეხვედრა, რამდენჯერმე მშვენიერი გადაცემა გაუკეთა ასპრილიას, მაგრამ კოლუმბიელმა ისინი ვერ გამოიყენა და მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც. სუსტად ითამაშა სრნიჩეკმა. მისი რამდენიმე შეცდომა „ნიუკასლს" შეიძლებოდა ქულად დაჯდომოდა, მაგრამ დაცვა ფხიზლად იყო და ეს სახიფათო მომენტები განბუტა. თავისი პირველი მატჩისგან განსხვავებით, კვლავ ჩეულ სტილში ითამაშა ძოლამ. მან რამდენიმეჯერ სახიფათოდ დაარტყა სრნიჩეკის კარის მიმართულებით, აკეთებდა შესანიშნავ გადაცემებს და „ჩელსის" სული და გული იყო. 61-ე წუთზე მოედანზე მასპინძელთა მთამაშე-მწვრთნელი რუუდ გულიტი გამოჩნდა. ბოლო 10 წუთი „ჩელსიმ" ნამდვილი შეჯარმი მოაწყო „ნიუკასლის" კართან. შესანიშნავი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს ვიალიმ, რომელსაც სტუმართა მცველთათვის მოულოდნელი გადაცემა გაუკეთა ძოლამ. მისი სოლო რეიდი გოლით ვერ დასრულდა.

ერთი სიტყვით, „ნიუკასლი" აშკარა მარცხს გაჯაურრა. მასპინძელთა უპირატესობა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, ცხადი იყო. აღსანიშნავია, რომ დედაქალაქში უკანასკნელი 14 ვიზიტიდან „ნიუკასლმა" მხოლოდ ორჯერ მოახერხა გამარჯვება.

ლესტერი 1:2 ევერტონი

ლესტერი: პული, გრეისონი, უოტლოუ, უსმანი (მარშალი 62), უოლში, პრაიორი, იზეტი, ლენონი, პარკერი (ტეილორი 62), კლუვერიჯი, ჰესკი

ევერტონი: საუთჰოლი, ბარეტი, ჰინჩლიფი, ანსუორსი, უოტსონი, სტუარტი, ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი, პარკინსონი, გრანტი (შორტი 85)

გოლი: უოლში (83); ჰინჩლიფი (12), ანსუორსი (52)

გაფრთხილება: ჰესკი, კლეივერიჯი, საუთჰოლი, ანსუორსი, შორტი

ამ სეზონში „ევერტონმა" მეორე გამარჯვება მოიპოვა სტუმრად. პირველი გოლი მასპინძლების მიერ შექმნილი ხელოვნური თამაშეარეს გამო გავიდა. მათი შეცდომით ჰინჩლიფმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა. პირველ ტაიმში სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო. ძლიერად ითამაშა ბარმბიმ, რომელიც ფორვარდებს ზუსტი და მახვილგონიერული გადაცემებით ამარაგებდა. „ევერტონის" შემადგენლობაში 21 სექტემბრის შემდეგ პირველად გამოჩნდა შოტლანდიის ნაკრების მოთამაშე დანკან ფერგიუსონი. მასპინძელთა მწვრთნელი მარტინ ო ნილი უკმაყოფილებას ვერ ფარავდა გეერდითი მსაჯის მიმართ და გაშეებულ გოლებში ადანაშაულებდა. მეორე ტაიმის პირველ 8 წუთში მეტოქეებმა ძალზე ლამაზი ფეხბურთი უჩვენეს მაყურებელს. „ლესტერის" ფეხბურთელები, რომლებსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მთელი ძალებით ჩაერთნენ შეტევაში, ხოლო ლივერპულელები მძაფრი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. სწორედ ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს გაიტანა ანსუორსმა მეორე გოლი, რამაც „ლესტერის" ფეხბურთელები საბოლოოდ გატეხა. 76-ე წუთზე ანსუორსმა საქმის გარჩევა მოინდომა ლანსმენთან, რისთვისაც მთავარმა არბიტრმა ყვითელი აუფრიალა. მასპინძლებმა 83-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის „დასველება", თუმცა მეტი ვეღარ მოახერხეს.

ლივერპული 1:1 უიმბლდონი

ლივერპული: ჯეიმზი, რაიტი, რადკი, მატეო (ბები 18), მაკმანერი, ბარნსი, ტომასი (ბერგერი 64), რედნეპი, ბიორნებიუ, ფაულერი, კოლიმორი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბელი, ჯოუნზი (ფეარი 75), ბლეკველი, ლეონარდსენი, ერლი, ეკოკუ, გეილი, ჰერი, არდლი

გოლი: კოლიმორი (1), ლეონარდსენი (67)

გაფრთხილება: რაიტი, ფაულერი

„ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში, როგორც იქნა, გამორნდა სტენ კოლიმორი. მას აშკარად სწყურიოდა მინდორზე გასვლა და პირველსავე წუთზე შეარხია სალივანის კარის ბადე: რედნეპმა ბურთი გაუთამაშა რობი ფაულერს, რომელმაც ძლიერი დარტყმით „უიმბლდონის" საჯარიმოსთან მყოფი კოლიმორი მოძებნა, ამან ბლექველთან ორთაბრძოლაში იმარჯვა და ანგარიში გახსნა. წითლებმა მეორე ტაიმიც ისევე დაიწყეს, როგორც პირველი — ცდილობდნენ, დასაწყისშივე „მოეზრჩოთ" მეტოქე. კოლიმორს, ტომასს და ბარნსს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ ბედი აშკარად არ წყალობდათ. „უიმბლდონი" გონიერულად იცავდა თავს და პირველივე შესაძლებლობისთანავე უტევდა. სტუმრების მიერ სამი წუთის შემდეგ წამოწყებული შეტევა ვეებიშის კარს თითქოს სახიფათოს არაფერს უქადდა, მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა — ბურთი მასპინძელთა კარში გაეხვა.

მიდლსბრო 2:2 მანჩესტერი

მიდლსბრო: უოლში, ვიკერსი, უაიტი, მასტო, ბეკი, მური, ჟუნინიო, რავანელი (სტამპი 76), ფლემინგი, ჰინტეტი

მანჩესტერი: შმაიხელი, ჰეი, კანტონა, ბუთი, ბექჰემი, კინი, სკოულზი, იორნსენი, თორნლი (კრუიფი 71), ოკანი (ბაკლეი 89), კლეგი

გოლი: რავანელი (27), ჰინტეტი (83 პ), კინი (17), ჰეი (72)

გაფრთხილება: კრუიფი, კოუში

ალექს ფერგიუსონი მატჩის წინ შეშფოთებული იყო. ტრავმებმა მას ძირითადის შეიდი ფეხბურთელი გამოაცალა. ამ დღეს მანჩესტერელთა შემადგენლობაში პრემიერლიგელებად მოინათლნენ ოკენი, თორნლი და კლეგი. პირველი წუთები „მიდლსბროს" უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა სტუმრების ახალგაზრდა მოთამაშეებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა და მაყურებელს აჩვენეს, რომ უკვე შეუძლიათ დიდი ფეხბურთის თამაში. მე-14 წუთზე მანჩესტერელებმა ანგარიშის გახსნის შანსი გაუშვეს ხელიდან, თუმცა სამ წუთში შეცდომა გამოასწორეს: ერიკ კანტონამ შეტევა წამოიწყო და ზუსტი გადაცემით ბექჰემი მოძებნა, ამან თავის მხრივ საგოლე პასი გაუკეთა კინს და ირლანდიელის თაურმაც არ დააყოვნა. ეს კინისთვის მეორეა წლევანდელ სეზონში. შეხვედრის 26-ე წუთზე არბიტრმა ალან უილიამ მანჩესტერელები დაჯარიმა და პენალტი დანიშნა. ჭალარა რავანელიმ შანსი არ დაუტოვა შმაიხელს და ბოლო ხუთ თამაშში მეოთხე მთლიანად სეზონში მე-15 ბურთი გაიტანა. მეორე ტაიმში სტუმრების დაცვა უშეცდომოდ მოქმედებდა. მასპინძელთა ყოველგვარი მცდელობა, დაელაშქრათ დანიელის კარი, უშედეგოდ მთავრდებოდა. უპირატესობას თანდათან „მანჩესტერი" ეუფლებოდა. ცხადი იყო, რომ გოლის გატანა დროის საქმეა იყო. „მანჩესტერის" მწვრთნელმა ფერგიუსონმა შენიშნა, რომ ახალბედა თორნლი ვეღარ ასრულებდა თავის მოვალეობას და იგი კრუიფით შეცვალა. ერთ წუთში „იუნაიტედი" მეორედ დაწინაურდა — მეიმ სეზონში მეორე გოლი გაიტანა. ამ დაძაბული მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, სტუმართა კარში ვარიმა რომ დაინიშნა. საჯარიმო მიქელ ბეკმა შეასრულა, მსაჯმა კი მანჩესტერელი სკოულზის ხელით თამაშისთვის პენალტით დასაჯა. ჰინტეტმა შანსი არ გაუშვა და სტუმრებს მოგება გამოსტაცა. მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა განაცხადა, რომ ნაკლული შემადგენლობის გათვალისწინებით, მიღწეული შედეგით უმაყოფილია.

საუთჰემპტონი 0:2 ლიდსი

საუთჰემპტონი: ვუდსი, დოდი, პოტერი, დრეიდენი, ლუნდეკვამი, ვან გობელი, უოკლი (სლეიტერი 72), ლე ტისიე (დია 32, მონკოუ 85), ოსტენსტადი, ბერკოვიჩი, მეჯიღტონი

ლიდსი: მარტინი, კელი, პალმერი, ბისლო, რიდები, რაში, ფორდი, ბაუერი, შარპი, ჯეკსონი, დინი

გოლი: კელი (82), შარპი (89)

გაფრთხილება: ვან გობელი, ფორდი, ბისლი

შეხვედრის ბოლო 8 წუთი მასპინძელთათვის სპეციალურ ლაბირინთად იქცა. 82-ე წუთზე დინმა ვუდსის საჯარიმოში ჩაწოდა, მეკარემ გამოსვლა დააბანა და ირლანდიელმა კელიმ მარცხენათი კარის ზედა კუთხეში გაიტანა. ბოლოსწინა წუთზე ლენმა მეორე საგოლე გადაცემაც გაახერხა და ვუდსმა ლი შარპის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. „ლიდსმა" ვკორჯ გრემის თავკაცობით პირველად მოიპოვა გამარჯვება სტუმრად. პირველი ტაიმის შუაში მოედანი დატოვა დაშავებულმა ლე ტისიემ, რომელიც სენეგალელმა ფორვარდმა ალი დიამ შეცვალა. მისი აყვანა „საუთჰემპტონის" მთავარ მწვრთნელს გრემ სუნესს „მილანის" ლიბერიელმა ფორვარდმა ჟორჟ ვეამ ურჩია. ეს დიას პირველი გამოსვლა იყო პრემიერლიგაში. მისდა სამწუხაროდ, მან რამდენიმე კარგი მომენტი გააცუდა. დღე, რომელიც ყველაზე სამახსოვრო უნდა ყოფილიყო და მისი საფეხბურთო კარიერაში დასაწყისი უნდა გამხდარიყო, ალბათ, ერთ-ერთ უსიამოვნო მოგონებად დარჩება მისთვის. მატჩის განმავლობაში განცდილ ულტიმატუმს შეხვედრის ბოლოს მისი გამოცვლაც დაერთო. აღსანიშნავია, რომ გრეჰემის ხელმძღვანელობით „ლიდსს" ამ შეხვედრამდე სტუმრად მხოლოდ 2 თვის წინ ჰქონდა გატანილი გოლი.

ვესტ ჰემი 1:1 დერბი

ვესტ ჰემი: მიკლოშკო, ბრეიკერი, დიქსი, პოტსი, ბიშოპი, პორფირიო, დაუი, მონკური, ლაზარიდისი (ფუტრუ 60), ჰიუზი, ბილიჩი

დერბი: ჰაულტი, როუტი, ს. პაული, დ. პაული, იაკსი, სტარიჯი, ასანოვიჩი, უორდი, ლაურსენი (კერსლი 62), მაკგარტი, კლინი

გოლი: ბიშოპი (17); სტარიჯი (43)

შეხვედრის პირველ 20 წუთში უპირატესობას „ვესტ ჰემი" ფლობდა. ჰიუზს და ბიშოპს რომ ემარჯვათ, უკვე მე-10 წუთზე 2:0 შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ მე-17 წუთამდე არაფერი შეცვლილა. სტუმართათვის ავადსახსენებელ მე-17-ზე კი ბიშოპმა ანგარიში გახსნა. მატჩი რომ ასე გაგრძელებულიყო, ლონდონელებს არ გაუჭირდებოდათ „დერბის" დამარცხება, მაგრამ ასე არ მოხდა. სტუმრები გაშეებულმა გოლმა არ დააბნია, პირიქით, მათ ძალები მოიკრიბეს და შეტევებზე გადაერთნენ. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სტარიჯმა ძლიერად დაატყა მიკლოშკოს კარში. მეკარემ ბურთის მიმართულება გამოიცნო და თითქოს მოგერიება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ბურთი პოტსის ფეხს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და „ვესტ ჰემის" კარში აღმოჩნდა. მანამდე მიკლოშკომ ჩინებულად მოიგერია ასანოვიჩის მერ ასევე კარგად შესრულებული თავისუფალი დარტყმა. მეორე ტაიმში მასპინძელთაგან გააქტიურდა პორტუგალიელი უგო პორფირიო, რომელმაც რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. მეორე ნახევარში „ვესტ ჰემი" გამუდმებით უტევდა, მაგრამ გამარჯვებას მაინც ვერ მიაღწია.

					ლამა	გოდუაძე
ნიუკასლი	14	9	2	3	25:15	29
არსენალი	14	8	4	2	27:12	28
ლივერპული	14	8	4	2	24:13	28
უიმბლდონი	14	7	4	3	25:16	25
ჩელსი	14	6	6	2	23:19	24
ევერტონი	14	6	5	3	22:15	23
მანჩესტერი	14	6	5	3	26:21	23
ასტონ ვილა	14	6	3	5	18:15	21
ტოტენჰემი	14	6	2	6	15:14	20
შეფილდი	14	5	5	4	16:18	20
დერბი	14	4	6	4	15:16	18
ლესტერი	14	5	2	7	13:18	17
ვესტ ჰემი	14	4	4	6	13:18	16
ლიდსი	14	5	1	8	13:20	16
მიდლსბრო	14	3	5	6	20:25	14
სანდერლენდი	14	3	5	6	10:17	14
სჰემპტონი	14	3	4	7	22:26	13
ქოვენთრი	14	1	7	6	8:19	10
ბლეკბერნი	13	1	5	7	11:17	8
ნოტინგემი	13	1	5	7	10:22	8

პირველი დივიზიონი

მე-20 ტური: ბარნსლი — პორტსმუთი 3:2, ბირმინგემი — სვინდონი 1:0, ჩარლტონი — ბრედფორდი 0:2, კრისტალ პალასი — ვულვერჰემპტონი 2:3, ჰადერსფილდი — გრიმსბი 2:0, იფსვიჩი — პორტ ვეილი 2:1, მანჩესტერ სიტი — ტრანმერი 1:2, ოლდჰემი — ოქსფორდი 2:1, რედინგი — ქუინზ პარკი 2:1, სტოკ სიტი — საუთენდი 1:2, შეფილდი — ბოლტონი 1:1, ვესტ ბრომვიჩი — ნორვიჩი გადაიდო.

ბოლტონი	20	11	7	2	41:26	40
კრ. პალასი	19	9	7	3	43:18	34
ბარნსლი	18	9	6	3	33:24	33
ნორვიჩი	18	9	5	4	27:18	32
შეფილდი	17	8	6	3	32:18	30
ტრანმერი	19	8	5	6	28:22	29
ვულვზი	19	8	5	6	26:21	29
ოქსფორდი	20	8	5	7	25:17	29
სვინდონი	19	8	2	9	29:23	26
ბირმინგემი	18	7	5	6	22:21	26
იფსვიჩი	20	6	7	7	27:29	25
სტოკ სიტი	17	6	6	5	24:29	24
ჰადერსფილდი	19	6	6	7	22:25	24
პორტ ვეილი	20	5	9	6	18:22	24
პორტსმუთი	20	6	5	9	24:28	23
ვესტ ბრომვიჩი	18	5	8	5	23:27	23
საუთენდი	20	5	8	7	22:32	23
ჩარლტონი	17	7	2	8	18:25	23
ქუინზ პარკი	20	5	7	8	22:28	22
რედინგი	18	6	4	8	22:29	22
სიტი	19	6	2	11	20:28	20
ბრენდფორდი	20	5	5	10	18:33	20
ოლდჰემი	20	4	7	9	22:25	19
გრიმსბი	19	3	5	11	19:39	14

გერმანია

მე-15 ტური: დუისბურგი — შტუტგარტი 3:1 (რისტოფი 7, ვაზი 49, ზეიერი 78; ელჩერი 11), ბორუსია მ'გლადბახი — ბაიერი 3:3, (ლაუდრუპი 33, ჯალჰაჯიჩი 57, ბეიერი 72), ბაიერნი — ჰანზა 2:1 (ბასლერი 31 პ, 43, აკური 64), არმინია — ფრაიბურგი 2:0 (კუნცი 2, რაინი 72), შალკე — მიუნხენი 4:1 (შულცერი 14, ვილმატსი 37, ანდერბრუგე 72 პ, ბაქსი 78, ვინკლერი 45), ვერდერი — დორტმუნდი 1:4 (შაპუიზა 30, ჰერლიხი 35, 39, ფაიფენბერგერი 63 ს.კ.), ზანქტ პაული — ლევერკუზენი 3:1 (ტრულსენი 7, დრიცერი 15, ჯორასი 79 ს.კ.; ხერჯენი 87), კარლსრუე — ფორტუნა 2:0 (კელერი 64, დიდი 77), ბოხუმი — მიონხენგლადბახი 2:0 (დონკოვი 15, კოზლე 55)

ბაიერნი	15	9	5	1	25:13	32
შტუტგარტი	15	9	3	3	38:16	30
დორტმუნდი	15	9	3	3	32:16	30
ლევერკუზენი	15	9	3	3	32:18	30
კიოლნი	15	8	2	5	29:23	26
ბოხუმი	15	7	5	3	21:19	26
კარლსრუე	15	7	3	5	26:19	24
ვერდერი	15	6	3	6	27:23	21
შალკე 04	15	5	4	6	20:24	19
ზტატაული	15	5	3	7	21:28	18
ჰანზურგი	15	4	4	7	19:24	16
მიუნხენი	15	4	4	7	23:29	16
დუისბურგი	15	4	4	7	15:22	16
არმინია	15	4	4	7	17:25	16
მგლადბახი	15	4	3	8	12:21	15
დიუსელდ.	15	4	3	8	9:23	15
ფრაიბურგი	15	4	1	10	18:34	13
ჰანზა	15	3	3	9	16:23	12

მეორე ბუნდესლიგა

მე-15 ტური. ცვიკაუ — ოლდენბურგი 1:0; ლიუბეკი — ფორტუნა 1:1, კარლ ცაისი — ვოლფსბურგი 3:3, კიკერსი — ჰერტა 1:2, უნტერჰახინგი — ლაიპციგი 1:1, მეპენი — გიუტერსლო 2:0, აინტრახტი — როტ ვაისი 3:0, მანჰაიმი — კასლაუტერნი 2:0

კასლაუტერნი	15	8	6	1	26:9	30
ფორტუნა	15	6	6	3	29:17	24
ვოლფსბურგი	15	5	8	2	19:11	23
მეპენი	15	5	8	2	19:16	23
ჰერტა	14	6	4	4	23:15	22
კიკერსი	15	6	4	5	20:17	22
ლაიპციგი	15	6	4	5	26:27	22
უერდინგენი	14	6	3	5	22:16	21
მაინცი	14	5	6	3	23:18	21
უნტერჰახ.	15	3	11	1	11:11	20
გიუტერსლო	15	6	2	7	16:21	20
აინტრახტი	15	5	4	6	21:20	19
კარლ ცაისი	15	4	7	4	21:21	19
მანჰაიმი	15	4	5	6	22:27	17
ცვიკაუ	15	4	3	8	15:21	15
როტ ვაისი	15	4	1	10	20:36	13
ლიუბეკი	15	2	6	7	10:25	12
ოლდენბურგი	15	2	4	9	16:34	10

ესპანეთი

მე-14 ტური. ბილბაო — ბარსელონა 2:1 (ხოსე მარი 63, გერერო 75; ბაელარდო 26), ესტრემადურა — სპორტინგი 1:2 (ფერერე 64; საალინასი 50, 51), ესპანიოლი — რასინგი 0:0; დეპორტივო — ლოგრონიესი 4:1 (მანხარინი 28, რივაელდო 32, მარტენი 53, არმანდო 79; კასტანიო 40), ერკულესი — კომპოსტელა 1:0 (ალფარო 55 პ), სელტა — სევილია 4:2 (რატკოვიჩი 9, 64, ხაშვეხი 12, გუდელი 77; ტევენე 75, მორნარი 87) ოვიედო — სოსიედადი 0:0; ბეტისი — ტენერიფე 3:1 (პიერი 60, ფინიდი 67, 90; ხაშ 28), რაიო — სარაგოსა 1:1 (ანდრიადე შვიჩი 34; მორიენტესი 53), რეალი — ვალენსია 4:2 (შუკერი 18, 25, 60, რაული 80; კარპინი 13, მენდიეტა 88 პ)

რეალი	14	9	5	0	30:12	32
ბარსელონა	14	9	4	1	43:17	31
დეპორტივო	14	8	6	0	22:7	30
ბეტისი	14	7	5	2	26:13	26
ბილბაო	14	7	3	4	28:22	24
ვალიადოლიდი	13	7	2	4	19:15	23
რასინგი	14	5	7	2	15:14	22
ატლეტიკო	13	6	3	4	22:17	21
სოსიედადი	14	6	3	5	19:18	21
სელტა	14	5	5	4	17:15	20
ტენერიფე	14	5	4	5	22:15	19
რაიო	14	4	5	5	19:18	17
ვალენსია	14	5	2	7	21:22	17
ესპანიოლი	14	4	4	6	17:19	16
ოვიედო	14	4	4	6	17:20	16
სპორტინგი	14	4	4	6	15:19	16
სევილია	14	4	2	8	13:19	14
კომპოსტელა	14	3	4	7	13:27	13
ლოგრონიესი	14	3	3	8	8:31	12
სარაგოსა	14	1	8	5	17:23	11
ერკულესი	14	2	2	10	9:26	8
ესტრემადურა	14	1	3	10	8:27	6

იტალია

მე-10 ტური. მილანი — ინტერი 1:1 (ბაჯო 4, ჯორკაეფი 12 პ), ვიჩენცა — რეჯანა 2:0 (ამბროზეტი 34, 76), პერუჯა — ვერონა 3:1 (პიცი 3, რაპაჯიჩი 24, არტასტეკო 75; დე ვიტისი 68), პარმა — რომა 0:0, ლაციო — სამპდორია 1:1 (ნეგრო 81 მანჩინი 5), ფიორენტინა — პიაჩენცა 1:1 (რობიატი 27; ლუისო 65 პ), კალიარი — ნაპოლი 1:1 (მუცი 57; პეკია 90), ბოლონია — ატალანტა 3:1 (ფორტუნატო 20 ს.კ., კოლივანოვი 55, ბრუმანი 58; ინძაგი 73)

ვიჩენცა	10	6	2	2	19:10	20
ბოლონია	10	6	1	3	19:14	19
ინტერი	10	5	4	1	13:8	19
იუვენტუსი	9	4	4	1	11:7	16
ნაპოლი	10	4	4	2	14:14	16
სამპდორია	10	4	3	3	15:9	15
რომა	10	4	3	3	17:13	15
მილანი	10	4	3	3	15:11	15
პერუჯა	10	5	0	5	15:16	15
ფიორენტინა	10	3	5	2	12:10	14
პარმა	10	3	4	3	11:10	13
უდინეზე	9	3	3	3	10:10	12
ლაციო	10	3	3	4	10:11	12
პიაჩენცა	10	3	3	4	10:13	12
ატალანტა	10	2	3	5	10:19	9
კალიარი	10	2	2	6	11:16	8
ვერონა	10	1	3	6	10:21	6
რეჯანა	10	0	4	6	9:19	4

სერია B

მე-11 ტური. სალერნიტანა — ბარი 0:0; რეჯინა — დი სანგრო 1:0; პესკარა — ლუკეზე 3:0; ლეჩე — რავენა 1:1, ჯენოა — კიევო 1:1; ფოჯა — ტორინო 3:4; ემპოლი — ვენეცია 3:2; კრემონეზე — კოზენცა 2:3; ჩეზენა — პალერმო 1:1; ბრეშია — პადოვა 3:1

ლეჩე	11	8	2	1	19:9	26
პესკარა	11	7	4	0	19:7	25
ბრეშია	11	5	5	1	15:8	20
ტორინო	11	5	3	3	14:11	18
ბარი	11	3	7	1	15:8	16
ჯენოა	11	3	7	1	12:7	16
ლუკეზე	11	4	4	3	9:7	16
პადოვა	11	4	4	3	11:11	16
ემპოლი	11	4	3	4	12:15	15
რავენა	11	3	5	3	12:12	14
კიევო	11	3	5	3	11:11	14
ჩეზენა	11	2	7	2	9:8	13
სალერნიტანა	11	3	4	4	6:9	13
ფოჯა	11	3	3	5	13:17	12
პალერმო	11	2	5	4	11:14	11
კოზენცა	11	2	5	4	9:14	11
რეჯინა	11	1	6	4	9:14	9
დი სანგრო	11	2	2	7	4:15	8
ვენეცია	11	1	4	6	11:16	7
კრემონეზე	11	2	1	8	6:14	7

საფრანგეთი

მე-19 ტური. მონაკო — ნანსი 2:0 (ებპება 36, კოლობში 62), ოსერი — ბასტია 1:2 (ლუპოლი 5; დრობნიაკი 27 პ, 70), მეცი — ნიცა 1:0 (ადაში 69), ლე ავრი — ლილი 0:0; ლიონი — ბორდო 2:2 (კუველი 9, ჟუკი 24; ბა 14, დიავარა 49), პ.ჟ.გ. მარსელი 0:0, ლანსი — სტრასბური 1:2 (დეპუ 49 პ; ბიტელი 54, ბატიკლე 67 პ) გინგამპი — რენი 1:0 (იუჟვიაკი 26), მონპელიე — ნანტი 2:2 (სოზე 33 პ, ბაკაიოკო 63; ფერი 19, ბდირამბი 61 პ; კანი — კაენი 2:0 (აბუ 25, ლერიო 78)

პ.ჟ.გ.	19	11	6	2	30:12	39
მონაკო	19	11	5	3	35:16	38
ბასტია	19	9	6	4	26:20	33
ბორდო	19	8	7	4	28:21	31
მეცი	19	8	7	4	21:15	31
სტრასბური	19	10	1	8	24:27	31
ოსერი	19	7	8	4	25:12	29
ლილი	19	7	7	5	22:27	28
ლიონი	19	6	8	5	24:28	26
მარსელი	19	6	7	6	18:17	25
გინგამპი	19	6	7	6	16:17	25
რენი	19	7	4	8	22:25	25
ნანტი	19	5	9	5	32:24	24
ლანსი	19	7	3	9	24:29	24
კანი	19	5	7	7	12:17	22
ლე ავრი	19	5	6	8	20:21	21
მონპელიე	19	3	9	7	17:23	18
კაენი	19	3	7	9	11:20	16
ნანსი	19	2	6	11	11:24	12
ნიცა	19	2	4	13	14:37	10

შოტლანდია

მე-14 ტური. დანდი იუნ. — რეით როვერსი 1:2; ჰიბერნიანი — აბერდინი 0:1

რეინჯერსი	12	9	2	1	28:9	29
სელტიკი	12	8	2	2	29:11	26
აბერდინი	13	6	4	3	25:14	22
ჰართსი	13	5	4	4	16:17	19
დანფერმლაინი	12	4	4	4	16:23	16
ჰიბერნიანი	13	4	3	6	11:21	15
მოზერველი	13	3	5	5	15:20	14
დანდი იუნ.	13	3	4	6	14:16	13
ქილმარნოკი	12	3	2	7	17:26	11
რეით როვერსი	13	2	2	9	13:27	8

პარმა — რომა. პარშელი ენრიკო კიეზო რომაელ ალდაირს გაურბის

ჰოლანდია

მე-17 ტური. სპარტა — ტილბურგი 3:1, ნაიმეგენი — ტვენტე 0:3; ვალვაიკი — სიტარდი 1:1, ვოლენდამი — ბრედა 4:1, გრონინგენი — ვიტესი 3:2; აღმაარი — ეინდჰოვენი 0:2; უტრეხტი — გრააფსხაპი 2:0, ეინდჰოვენი — აიაქსი 2:2

ეინდჰოვენი	17	12	3	2	48:13	39
ფეიენოორდი	17	11	3	3	29:20	36
ტვენტე	17	9	4	4	27:15	31
გრააფსხაპი	17	9	3	5	28:20	30
აიაქსი	17	7	7	3	22:15	28
ჰერენვენი	17	7	6	4	28:18	27
ვიტესი	17	7	5	5	28:21	26
როდა	16	6	6	4	18:21	24
უტრეხტი	17	4	9	4	24:22	21
სპარტა	18	6	3	9	21:23	21
ვოლენდამი	17	5	6	6	20:22	21
ბრედა	17	5	3	9	15:28	18
აღმაარი	17	5	2	10	16:22	17
გრონინგენი	17	4	5	8	19:30	17
ნაიმეგენი	17	3	7	7	18:28	16
ტილბურგი	17	4	4	9	17:30	16
სიტარდი	17	3	7	7	14:28	16
ვალვაიკი	17	2	5	10	15:31	11

ბელგია

მე-16 ტური. ეკერენი — სერკლ ბრიუგე 2:2; ბრიუგე — ანტვერპენი 4:2; აალსტი — ლომელი 1:1; გენკი — ლიერსი 1:1; სტანდარდი — ჰარლებეკი 2:0; მოლენბეკი — გენტი 1:2; მეხელენი — მუსკრონი 0:2; ლოკერენი — სტატრიუდენი 1:1; შარლერუა — ანდერლეხტი 0:0

ბრიუგე	16	10	4	2	33:16	34
სტანდარდი	16	11	0	5	31:18	33
მუსკრონი	16	9	5	2	28:14	32
ლიერსი	16	7	7	2	25:15	28
ანდერლეხტი	16	7	6	3	26:13	27
ჰარელბეკი	16	8	3	5	27:20	27
ლომელი	16	7	5	4	27:25	26
ანტვერპენი	16	8	1	7	28:29	25
მოლენბეკი	16	6	4	6	18:18	22
გენტი	16	6	3	7	27:32	21
ლოკერენი	16	5	5	6	26:27	20
გენკი	16	4	7	5	18:22	19
შარლერუა	16	5	3	8	23:26	18
ეკერენი	16	4	4	8	21:27	16
აალსტი	16	2	8	6	19:28	14
მეხელენი	16	3	5	8	16:26	14
ტრიუდენი	16	2	5	9	21:36	11
ბრიუგე	16	0	5	11	15:37	5

პოლონეთი

მე-17 ტური. ბელხატოვი — ღები 1:1; პოლონია — რუხი 1:0, ამიცა — გურნიკი 3:0; ღეგია — გკს 2:1; ღკს — სოკოლი 1:0, რაკოვი — ვოძევი 0:4; ზაგლებიე — შლიონსკი 1:0; სტომილი — ვისლა 1:0; პუშნიკი — ოდრა 1:2

ვოძევი	17	12	4	1	36:8	40
ლეგია	17	12	2	3	31:14	38
გკს	17	8	6	3	26:19	30
ამიცა	17	8	3	6	22:22	27
სტომილი	17	7	4	6	26:22	25
ოდრა	17	7	4	6	27:25	25
პოლონია	17	7	3	7	17:22	24
რაკოვი	17	6	5	6	16:19	23
ვისლა	17	6	4	7	15:18	22
ღები	17	6	3	8	19:22	21
ზაგლებიე	17	5	6	6	17:20	21
სოკოლი	17	5	5	7	18:24	20
ღკს	17	4	7	6	19:22	19
ბელხატოვი	17	5	4	8	20:25	19
ჰუტნიკი	17	5	4	8	17:22	19
რუხი	17	3	7	7	15:21	16
შლიონსკი	17	4	4	9	14:20	16
გურნიკი	17	4	3	10	17:27	15

საბერძნეთი

მე-9 ტური. ოლიმპიაკოსი — არისი 4:0; ვეროია — პანათინაიკოსი 0:0; აეკ — ედესაიკოსი 2:0; პანიღიაკოსი — ირაკლისი 3:1; კალამატა — ოფი 1:1; პაოკი — იონიკოსი 2:0; ათინაიკოსი — კავალა 1:4; აპოლონი — კასტორია 2:0

ოლიმპიაკოსი	9	7	2	0	20:4	23
აეკ	9	6	2	1	24:6	20
პანათინაიკოსი	9	6	2	1	18:5	20
ოფი	9	6	1	2	13:7	19
პანილიაკოსი	9	5	2	2	12:12	17
პანახაიკი	8	4	3	1	9:7	15
პაოკი	9	3	4	2	7:6	13
კალამატა	9	3	4	2	7:10	13
ვეროია	9	3	3	3	10:7	12
კავალა	9	3	3	3	8:6	12
იონიკოსი	9	3	3	3	8:7	12
ქსანტი	8	2	3	3	10:10	9
აპოლონი	9	2	1	6	7:14	7
არისი	9	1	4	4	5:13	7
ათინაიკოსი	9	2	1	6	7:21	7
ედესაიკოსი	9	1	2	6	9:16	5
ირაკლისი	9	1	2	6	4:15	5
კასტორია	9	0	2	7	5:17	2

თურქეთი

მე-14 ტური. ზეითუნბურნუ — გალათასარაი 2:5; ბეშიქთაში — ისთანბული 3:0; ტრაბზონი — გენწლერბირლიგი 1:0; ვანი — დენიზლი 0:2; ფენერბაჩე — სარიერი 2:0; ქოჯაელი — დარდანელი 2:0; ანთალია — ალთაი 1:1; ანკარაგიუჯუ — გაზიანთეფი 0:0; ბურსა — სამსუნი 6:1

გალათასარაი	14	11	2	1	42:13	35
ფენერბაჩე	14	10	2	2	32:9	32
ტრაბზონი	14	10	2	2	27:12	32
ბეშიქთაში	14	9	4	1	34:9	31
ბურსა	14	8	3	3	21:10	27
ქოჯაელი	14	7	3	4	20:14	24
გაზიანთეფი	14	6	5	3	16:13	23
ანკარაგიუჯუ	14	6	1	7	19:21	19
სარიერი	14	5	3	6	17:22	18
სამსუნი	14	5	3	6	18:26	18
გენწლერბ.	14	4	3	7	12:17	15
ალთაი	14	4	3	7	13:28	15
ანთალია	14	3	5	6	15:18	14
ისთანბული	14	3	4	7	12:21	13
დარდანელი	14	3	3	8	10:21	12
დენიზლი	14	3	2	9	16:29	11
ვანი	14	3	2	9	12:27	11
ზეითუნბურნუ	14	0	2	12	10:36	2

ავსტრია

მე-18 ტური. აუსტრია — ტიროლი 2:1; შტურმი — ლინცერი 0:0; ლინცი — გრაცერი 2:1; რიედი — ადმირა 0:1; ზალცბურგი — რაპიდი 1:1

რაპიდი	18	10	7	1	38:15	37
ზალცბურგი	18	10	6	2	24:9	36
ტიროლი	18	8	5	5	28:19	29
ლინცერი	18	6	7	5	19:20	25
აუსტრია	18	7	3	8	21:30	24
შტურმი	18	5	6	7	23:21	21
გრაცერი	18	4	7	7	20:25	19
ადმირა	18	4	6	8	19:27	18
ლინცი	18	4	5	9	11:22	17
რიედი	18	5	2	11	21:36	17

შვეიცარია

არაუ — სტ გალენი 2:0; ლოზანა — ბაზელი 0:0; ლუგანო — სერვეტი 1:1; ლუცერნი — სიონი 3:3; ციურიხი — იანგ ბოიზი 0:1; ჭაბაჭში — გრასჰოპერი 3:1

ჭაბაჭში	21	12	7	2	36:20	43
გრასჰოპერი	21	9	9	3	40:27	36
სიონი	21	9	9	3	32:20	36
ლოზანა	21	9	6	6	34:31	33
არაუ	21	8	8	5	19:13	32
სენტ გალენი	21	7	8	6	20:25	29
ციურიხი	21	6	8	7	24:25	26
სერვეტი	21	5	9	7	23:23	24
ლუცერნი	21	4	11	6	27:31	23
ბაზელი	21	4	10	7	31:35	22
ლუგანო	21	2	9	10	14:30	15
იანგ ბოიზი	21	2	4	15	17:37	10

ფეხბურთის რეკათან

ლიბერიელი ჟირე ვეას საქმეს უეფა უახლოეს დღეებში განიხილავს. ვეამ ჩემპიონთა ლიგის მატჩის „პორტუ“ — „მილანის“ შემდეგ, მეტოქის კაპიტანს ჟორჟე კოშტას მუშტით ცხვირი გაუტეხა. 30 წლის ვეა ფიფას რჩეულია. მისი „ფეარ პლეის“ რანდად წარდგენა უნდოდათ, მაგრამ ახლა, ალბათ, ხანგრძლივ დისკვალიფიკაციას მისცემენ. დასჯიან კოშტასაც, რომელიც ვეას ცოლის, კლეარის თქმით, მის მეულლეს მაიმუნივით ეუღლებოდა — ზანგი ხარო.

გერმანიის ნაკრების ვარსკვლავი, „ყარლსრუეს“ თომას ჰესლერი შესაძლოა მოედანს სამი თვით მოაკლდეს. პარასკევს, დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ შეხვედრაში მან კოჭი მოიტეხა და მყესებიც დაიწყვიტა.

არგენტინელ უგო ერნან მარადონას, დიდ დიეგოს ძმას, იაპონური „ავისპა ფუკუოკა“ ახალ კონტრაქტს აღარ უდებს. უგო „ავისპაში“ გასულ სეზონში გადავიდა, 27 გოლი გაიტანა და გუნდი ჯეი ლიგაში აიყვანა.

ესპანეთის „ვალენსიას“ ახალი მწვრთნელია სახელგანთქმული ბორხე ვალდანო, რომელმაც გასულ ოთხშაბათს წასული ლუის არაგონესი შეცვალა. არაგონესი გუნდიდან რომარიოს გაგდებისთვის განთავისუფლეს. არგენტინელი ვალდანო, 1986 წლის მოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი და 1995 წლის მადრიდის „რეალის“ ესპანეთის ჩემპიონი მწვრთნელი, გაზეთში მესვეტედ მუშაობითაც არის ცნობილი.

ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელი, „არსენალის“ მეკარე დეივიდ სიმენი, შესაძლოა, ერთი თვით პაციენტი გახდეს. მან კარიერაში მესამედ ნეკნები დაიზიანა.

ჰოლანდიაში გამართულ თათბირზე უეფას ტექნიკურმა კომიტეტმა მოიწონა ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა თხოვნა, ყოველ მეორე თვეს, საერთაშორისო მატჩებისთვის 10 დღის მოსამზადებლად გამოყოფის თაობაზე. იქვე დაიწუნეს „ოქროს გოლის“ წესი, ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე კი კვლავ 16 გუნდის დატოვება გადაწყვიტეს. ეს ჯერ არაოფიციალური ცნობებია.

საფრანგეთის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა პოლ ლეგენმა ახალი ორწლიანი კონტრაქტი დადო „პარი სენ ჟერმენთან“. პარიზის გუნდს 32 წლის ფეხბურთელი კლუბში სხვა თანამდებობაზე სურდა დაენიშნა, მაგრამ თავად პოლმა კვლავ თამაში არჩია. გავრცელებული ხმების თანახმად ლეგენი 1999 წელს „პარი სენ ჟერმენის“ პრეზიდენტი გახდება.

ესპანეთის სუპერკლუბმა „ბარსელონამ“ უარყო ხმები, რომ მცველს მიგელ ანხელ ნადალს ინგლისურ „მიდლსბროს“ ბრაზილიელი ნახევარმცველ ემერსონში უცვლის.

შოტლანდიელი თავდამსხმელი ჯონ სპენსერი 2,5 მილიონ გირვანქად (4,2 მილიონი დოლარი) „ჩელსიდან“ „ქუინზ პარკ რეინჯერსში“ გადავიდა.

პორტუგალია

მე-11 ტური. შავეში — სალგეირუში 1:1; ლეირია — ამადორა 2:0; ჟილ ვისენტე — ბოავიშტა 2:4; ბრაგა — ესპინიუ 2:1; ბენფიკა — ფარენსე 2:1; გიმარაეში — რიუ ავე 2:0; ბელენენსეში — ლეცა 0:4; სეტუბალი — სპორტინგი 1:0

ბენფიკა	11	8	2	1	23:5	26
პორტუ	10	8	2	0	18:2	26
სპორტინგი	11	7	1	3	15:7	22
სეტუბალი	11	5	4	2	17:12	19
ლეცა	11	5	3	3	15:7	18
ბრაგა	11	5	3	3	16:16	18
ამადორა	11	5	2	4	9:8	17
ფარენსე	11	5	2	4	9:8	17
ესპინიუ	11	5	2	4	14:16	17
ბოავიშტა	11	4	4	3	18:14	16
სალგეირუში	11	3	5	3	12:11	14
შავეში	11	3	4	4	13:17	13
მარიტიმუ	10	3	3	4	11:14	12
გიმარაეში	11	3	2	6	14:18	11
ბელენენსეში	11	3	2	6	13:22	11
ლეირია	11	3	0	8	8:21	9
ჟილ ვისენტე	11	1	1	9	11:25	4
რიუ ავე	11	0	2	9	10:23	2

შოტლანდიის ლიგის თასი

გლაზგოში გამართული ქვეყნის ლიგის თასის ფინალი გოლუხვი გამოდგა. „რეინჯერსმა“ „ჰართსს“ 4:3 მოუგო. ანგარიში ალი მაკკოისტმა მე-11 წუთზე გახსნა და 27-ზე მეორეც გაიტანა. 44-ზე „ჰართსის“ ფალტონმა უპასუხა. მეორე ნახევარში პოლ გესკოინმაც ორჯერ გაიტანა (64, 66), მეტოქეთაგან რობერტსონმა (59) და ვეირმა (90) უპასუხეს.

სპორტულ ფეხსაცმელს და ჯინსებს – მუდამ რომ არის მოდაში, ყველაზე იაფად გთავაზობთ ამერიკული „ჯორდაში“

JORDACHE®

მაღაზიები: თავისუფლების მოედანი 7 (ცეკავშირთან), თამარ მეფის გამზ. 23.

საბითუმო ვაჭრობა: შპს „ჯორტუნა“ ტელ: 93-55-26

ისევ ევროპა — სამხრეთ ამერიკა

დღეს ტოკიოში გაიმართება, მიმდინარეობს ან გაიმართა (გააჩნია ამ სტრიქონებს რომელ საათზე კითხულობთ) საკონტინენტთაშორისო თასის მატჩი „იუვენტუსი“ — „რივერ პლეიტი“.

იტალიური კლუბი ევროპის ჩემპიონთატ თასის მფლობელია, არგენტინული — სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასის.

დასავლურ პრესაში მათ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის კლუბთა ჩემპიონებს უწოდებენ, მოგებულს კი მსოფლიოს ჩემპიონად მიიჩნევენებენ.

შეხვედრა ტოკიოში იმიტომ იმართება, რომ იაპონურმა საავტომობილო კომპანიამ „ტოიოტამ“, 1980 წელს, საკონტინენტთაშორისო თასის სპონსორობა ითავა. მას მერე კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონი ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში ვლინდება, ერთ თამაშში.

მანამდე კი

1958 წელს, უეფას მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, ანრი დელონემ, სამხრეთ ამერიკელ კოლეგებს, კონმებოლის ხელმძღვანელებს, მისწერა წერილი, რომელშიც თავისი და მათი კონტინენტის კლუბთა ჩემპიონების გაჯიბრება შესთავაზა. მისი იდეა, ოკეანის გადალმა, ძლიერ მოეწონათ და ლიბერტადორესის თასის დაარსება დააჩქარეს.

საკონტინენტთაშორისო თასის პირველი დუელი 1960 წელს შედგა. ევროპამ მადრიდის „რეალი“ გაიყვანა, რომელმაც მაშინ მეხუთედ მოიგო ჩემპიონთა თასი, სამხრეთ ამერიკელებმა მას ურუგვაის „პენიაროლი“ დაუპირისპირეს. „პენიაროლი“ ლიბერტადორესის თასის პირველი მფლობელი გახლდათ.

პირველი შეხვედრა მონტევიდეოში ჩატარდა და 0:0 დამთავრდა. ორი თვის შემდეგ მადრიდში, საპასუხო მატჩში, ესპანელებმა 5:1 მოიგეს. ის „რეალი“ ვარსკვლავებით იყო მოჭედილი: დელ სოლი, დი სტეფანო, ხენტო, პუშკაში... პუშკაშმა მაშინ ორი გოლი გაიტანა. ორივე შეხვედრას, ჯამში, 200 ათასი მაყურებელი დაესწრო.

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონის ვინაობა, ორ თამაშში, 1980 წლამდე ორკერ ერთი მოიგებდა, ხოლო შემდეგ მეორე, მაშინ გადათამაშებას ნიშნავდნენ.

1964 წლამდე გადათამაშება, რატომღაც მეორე შეხვედრის მასპინძლის მოედანზე იმართებოდა, 64-დან 68-მდე კი მეორე შეხვედრის მასპინძლის კონტინენტზე. 1980 წელს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქმეში სპონსორი, „ტოიოტა“ ჩაერია და მას მერე თასის ბედი ტოკიოში, ერთ შებრძოლებაში წყდება.

მეორე გათამაშებაში, 1961 წელს, წინაზე დამარცხებულმა „პენიაროლმა“ იმძლავრა, მესამე თამაშში პორტუგალიის „პენფიკას“ მოუგო და პირველი სამხრეთ ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

აღსანიშნავია, რომ იმხანად, შეჯიბრებისადმი ინტერესმა თანდათან იკლო, საკუთრივ მატჩები კი ავად ნერვიულობა და აფრიკელთა ეს სურვილი ყურად იღო, მაგრამ მისი ხორცშესხმა ვერ არ უცდია. მავანთ სწამთ, რომ „ახალი კონტინენტების“ გუნდებმა შესაძლოა „ძველებს“ სერიოზული კონკურენცია გაუწიონ. ამბობენ, „იუვენტუსის“ და „რივერ პლეიტის“ დღევანდელი ბრძოლა, ალბათ, ორგუნდიანი შეჯიბრებების ბოლო თუ არა, ერთ-ერთი ბოლო აკორდი იქნებაო. ვნახოთ, კონკრეტულად ჯერ არაფერია ცნობილი.

თვითკმაყოფილნი ნუ იქნებით

ტოკიოს ეროვნული სტადიონი „იუვენტუსს“ და „რივერ პლეიტს“ კარგად აქვთ დაცდილი. „ბებერმა ქალბატონმა“ 1985 წელს აქ „არხენტინოს ხუნიორსს“ მოუგო, „რივერ პლეიტმა“ კი ერთი წლის შემდეგ ბუქარესტის „სტიაუას“ სძლია.

— ტექნიკურ და ტაქტიკურ მხარეებს მუდმივად ვაუმჯობესებთ. ყოველ მორიგ შეხვედრაში ვრწმუნდები, რომ წინ წავასულართ, მაგრამ მენტალური და ფიზიკური მზადყოფნის მივიწყება არაფრით შეიძლება. მხოლოდ იმიტომ, რომ „იუვენტუსი“ ვართ, მეტოქე არაფერს დაგვითმობს, დაცვაში არ შეიბოჭება და არ მოვაგებინებს. სწორედ რომ პირიქით მოხდება, „იუვენტუსი“ რომ ვართ იმიტომ გაგვიმართავს საგანგებო ბრძოლას და მრავალ სირთულეს შეგვიქმნის. — გაუთავებლად უმეორებს თავის მოთამაშეებს მარჩელო ლიპი.

ლიპის საამისოდ საბაბიც აქვს. ჯერ ერთი, მართლა დიდებული გუნდი ჰყავს, რომლის ძალასაც საღად აფასებს და ხვდება, რამ შეიძლება გამოიწვიოს საეარაუდო ჩავარდნა. მეორეც, ახალ სეზონში უკვე აწვნიეს რამდენიმე უსიამოვნო შედეგი (იტალიის ჩემპიონატისა და თასის მატჩებში) და ანალიზმა აქვნა, რომ მთავარი მიზეზი თვითტკბობა იყო.

ასევე ფიქრობს „იუვეს“ ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო, თუმცა დასძენს: „ალბათ, გარკვეული „ბრალი“ ჩვენი გუნდის ახალგაზრდებსაც მიუძღვით. გასულ ზაფხულს ძალზე გამოცდილი ხალხი წავიდა და კვლავ დაგვაკლდა მცირე რეალიზმი და პრაგმატიზმი. ყველაფერი გამოსწორდება, ოღონდ ამას დრო დასჭირდება“.

გასული სეზონის შემდეგ, წამყვანი ფეხბურთელები მართლაც მოაკლდა, როგორც „იუვენტუსს“ ასევე „რივერ პლეიტს“. ტურინელებს ფაბრიციო რავანელი და ჯანლუკა ვიალი წაუვიდნენ, ბუენოს-აირესის გუნდი კი ერნან კრესპომ დატოვა.

გმადლობთ, ჟურნალისტებო!

მოსკოვს მიღწინებაში ყოფნისას სპორტეკსპრესელი მეგობარი კოლეგები მოვინახულე. გაზეთის მთავარი რედაქტორის მოადგილემ და ფეხბურთის განყოფილების შეფმა ვლადიმერ ტიტორენკომ გამომშვიდობებისას მითხრა, თუ ძალიან არ გეჩქარება, ათიოდ წუთში „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი უნდა მოვიდეს ჩვენს განყოფილებასთან შესახვედრად და შენც დაესწარი, როგორც ჩვენი თბილისელი კორესპონდენტიო. საქართველოში მწვრთნელისა და ჟურნალისტების დამოკიდებულება უმრავლეს შემთხვევაში რეგორია, ყველამ კარგად ვიცით. უფრო ზუსტად თუ ვიტყვი, უმრავლეს შემთხვევაში კი არა, კრიტიკის შემთხვევაში. საკმარისია, მწვრთნელის საქმიანობა გააკრიტიკო, უმალ დაგემდურებიან, თუმცა, საბედნიეროდ, ჩვენთან გამონაკლისებიც არიან.

იარცევის მოსვლამდე მოსკოველ კოლეგებს ამ საკითხზეც გავესაუბრე.

— იარცევი გამარჯვებული მწვრთნელია, წაგებული, ანაც თქვენზე გაწყენებული მწვრთნელი თუ მოგიწვევიათ ოდესმე?

— რა თქმა უნდა. კრიტიკის გამო ბევრი მწვრთნელი დაგვემდურა, ზოგმა ფეხბურთელებს ინტერვიუს მიცემაც კი აუკრძალა, მაგრამ ჩვენ ეს ამბავი უმალ ავაგორეთ და თავად მწვრთნელებსვე მოუწიათ ბოდიშის მოხდა და რედაქციაში მოსვლა.

— მაგალითებს ხომ ვერ დაასახელებთ?

— ყველაზე საინტერესო „კამაზის“ მწვრთნელის ჩეტვერიკის შემთხვევა იყო. ერთმა ჩვენმა კოლეგამ „კამაზის“ ერთი ფეხბურთელის უმსგავს საქციელზე დაწერა. ამ სტატიის შემდეგ რუსეთის პროფესიული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და იმ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცა. ჩეტვერიკი აღშფოთდა და დაგვემდურა, მაგრამ ორიოდ კვირაში ისეთი კრიტიკა დავატეხეთ თავს, თვითონვე შეგვირიგდა. ვალენტინ ივანოვი და ვალერი გაზაევიც გვემდუროდნენ, მაგრამ თავადვე მოძებნეს ჩვენთან შერიგების გზები.

— შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში ყველა მწვრთნელმა შეიგნო პრესისა და ჯახსაღი კრიტიკის როლი?

— შეიძლება ითქვას, რომ ასეა. ამ მხრივ დასავლეთს ბევრით არაფრით ჩამოვრჩებით.

...ამასობაში იარცევიც მოვიდა. ყველას ხელი ჩამოგვართვა და, თქვენს განკარგულებაში ვარო, გვითხრა. იარცევის ინტერვიუ სრულად ქართველი მკითხველისთვის საინტერესო არ იქნება, თანაც „სპორტ-ეკსპრესმა“ უკვე დაბეჭდა. მე ჩვენთვის საინტერესო მომენტებზე გავამახვილებ ყურადღებას:

— „სპორტ-ეკსპრესს“ პატივისცემის გამო ესტუმრეთ? სხვა გაზეთს რომ მიეწვიეთ, იგივეს იზამდით?

— მოგეხსენებათ, საკმაოდ ახლო ურთიერთობა მაქვს ჟურნალისტიკასთან, საფეხბურთო სატელევიზიო რეპორტაჟებს ვგულისხმობ. მე ვიცი ჟურნალისტის შრომის ფასი, ვიცი, როგორ წვალობენ ისინი. ახლა უამრავი გაზეთი გამოდის და უამრავი ჟურნალისტი წერს, მაგრამ მე ყველას ვერ დავარქმევ გაზეთსა და ჟურნალისტს. ფაქტია, რომ გაზთებში ყველაზე ვესაუბრეთ, ნახევარი საათიც ფოტოგადაღებებმა წაიღო. იარცევმა მთელი რედაქცია მოიარა, ხან სად დასვამდნენ, ხან — სად. მართლაც მომქანცველი აღმოჩნდა მისთვის რედაქციაში სტუმრობა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. ბოლოს მეგობრული ფოტოც გადაიღო ჩვენთან ერთად, ძალზე დაიღალა, შეეტყვა მაგრამ მაინც ყოჩაღად ეჭირა თავი.

მე კი ჩემი რუსი კოლეგების მშურდა...

რუსეთის ახალი ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი გიორგი იარცევი

მამუკა კვარაცხელია
მოსკოვი — თბილისი

სარბიელი

სპორტული ლატარია

“CROCO”

საკონტინენტთაშორისო თასი

26 ნოემბერი. ტოკიო.

იუვენტუსი (ტურინი, იტალია) — რივერ პლეიტი (ბუენოს აირესი, არგენტინა)

ძირითადი დრო	1,65	2,8	3,5
თასის აღება	1,35—2,5		

ესპანეთის თასისა და ინგლისის ლიგის თასის შეხვედრათა კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით.

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

ფირმების რეგისტრაცია

აუდიტი

ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შ.პ.ს., ინდივიდუალური საწარმო, ს.ს.)

რუსთაველის 19.
ტელ. 93-52-34, 99-09-84;
73-89-39 (18 საათიდან)

„ვითას“ ჯერი დადგა...

ვერის ბაღი. 23 ნოემბერი. მერანი — დინამო 2 83:92, შევარდენი — კაქტუსი 71:68.

„დინამო 2“-სა და „მერანის“ შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად წარიმართა, თუმცა წინ სულ დინამოელები იყვნენ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. მათგან ყველაზე შედეგიანი 26-ქულიანი ბაბიაშვილი იყო, „მერანიდან“ — ახობაძე — 38.

„კაქტუსმა“, დღითიდღე რომ უმატებს თამაშს, ძალზე სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია „შევარდენს“. კვლავ კარგად ითამაშეს „შევარდენის“ ლიდერებმა წოწელიამ (21 ქულა) და ჩხეიძემ (19). კაქტუსელთაგან საუკეთესო იყო ლოსაბერიძე — 31 ქულა.

24 ნოემბერი.

სდასუ — აზოტი 86:76

სდასუ: აბრამიძე (29), დავითულიანი (23), ეგუტია (10), ჩუბინიძე (5), დეროუგინი (11); აბულაძე (8)

აზოტი: კიკვიძე, კოჭლამაზაშვილი (5), კვაყვაძე (8), მიქიაშვილი (20), ჯაფარიძე (33); გოგოლაძე (4), ნიკლაური (6)

ეს გუნდები შარშან მესამე ადგილისთვის სერიაში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ რუსთაველებმა ადვილად გაიმარჯვეს ორ შეხვედრაში. წელს სდასუ ძალზე გაძლიერდა. რუსთაველებმა კი თავიანთი ლიდერები გურასპაული და ბერუაშვილი მოისაკლისეს. თუმცა, გუნდში ჯაფარიძე და ბოისა მოვიდნენ და რუსთაველთა გუნდი მაინც საკმაოდ ძლიერია. საშუხაროდ, ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღო ბოისამ. ეს კი დიდი დანაკლისი იყო რუსთაველთათვის. მით უმეტეს, როცა მეტოქე გუნდში დერიუგინი გამოდის.

ანგარიში ეგუტიამ გახსნა, შემდგომი ათი წუთი კი მაშუკა აბრამიძის ბენეფისი იყო. მან ამ მონაკვეთში ყველანაირი ბურთი ჩააგდო: გარღვევით, ფარქვეშ დატრიალებით, შორიდან, ნახტომით და ა.შ. მას დავითულიანიც აჰყვა და სდასუს უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა: 13:7, 17:7, 22:12. აქ მშვენივრად ათამაშდა რუსთაველი ჯაფარიძე და ორ წუთში ანგარიში ორ ქულამდე შემცირდა, თუმცა, სდასუ წლევანდელ ჩემპიონატში ისეთ სტაბილურ გუნდად წარმოგვიდგა, რომ თამაშის სადავეებს უშნელეს ვითარებაშიც არ უშვებს ხელიდან. ახლაც დავითულიანმა და აბრამიძემ კვლავ სწრაფად გაზარდეს სხვაობა. თუმცა რუსთაველთა გუნდიც არ არის ისეთი, ადვილად გატყდეს და მეთხუთმეტე წუთისთვის კეჭაყმაძის სამქულიანის და გოგოლაძის გარღვევის შემდეგ სხვაობა კვლავ ორ ქულამდე შეამცირეს. ტაიმის ბოლო მანც სდასუს დარჩა. ბოლო წამებზე დავითულიანმა ტაბლოს მაცქერალ კიკვიძეს წაართვა ბურთი და პირველ ნახევარიც 42:34 დამთავრდა.

მეორე ტაიმში მატჩის სცენარი არ შეცვლილა. რუსთაველები დიდი მონდომების წყალობით ამცირებდნენ ანგარიშს, დაწევის საშუალებას კი უნივერსიტეტელები არ აძლევდნენ. მეორე ტაიმის მე-6 წუთზე წიკლაურის ზუსტი სროლის შემდეგ 53:55 გახდა. სდასუმ მატჩის ბედის საბოლოო გადაწყვეტაზე იზრუნა და მოახერხა კიდეც.

მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე დავითულიანის გარღვევის შემდეგ ანგარიშში სხვაობამ თხუთმეტ ქულას მიაღწია 70:55. რუსთაველებმა პრესინგი სცადეს, მაგრამ დაგვიანებული გამოდგა, მით უფრო, რომ აბრამიძის, დავითულიანის და ჩუბინიძის წინააღმდეგ პრესინგი არც თუ ადვილია.

ჯაფარიძემ და მიქიაშვილმა მატჩის ბოლომდე კი იბრძოლეს, მაგრამ სდასუ რუსთაველებს სიახლოვეზე აღარ იკარებდა. ეგუტიამ, როგორც გახსნა, ისევ „დაბურა“ ანგარიში და სანამ გამოტოვებული მატჩები გაიმართება, სდასუ ერთპიროვნული ლიდერია 11 თამაშიდან 10 ქულა. ახლა 6 დეკემბრიდან გამოტოვებული მატჩები გაიმართება: „ვითა“ ექვს მეტოქეს შეხვდება, ამის გარდა — „შევარდენი“ — „მაკაბი ინტერი“ — „კაქტუსს“.

გუნდების საბოლოო მდგომარეობაზეც პირველ წრეში მაშინ ვილაპარაკოთ.

ბოტე მგალობლიშვილი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

22 ნოემბერი

მაიამი ჰითი — საკრამენტო კინგზი 111:108, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — სან ანტონიო სფურზი 96:86, სიეტლ სუპერსონიქსი — ბოსტონ სელტიქსი 118:91, ვაშინგტონ ბულიტსი — ფილადელფია-76 88:76

23 ნოემბერი

იუტა ჯაზი — ჩიკაგო ბულზი 105:100, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — დენვერ ნაგითსი 105:65, მინესოტა ტიმბერვულვზი — ლოს ანჯელეს კლიპერზი 98:96, ვაშინგტონ ბულიტსი — მილუოკი ბაქსი 95:90, ორლანდო მეჯიქი — ინდიანა პეისერზი 76:73, ფილადელფია-76 — ნიუ იორკ ნიქსი 109:92, შარლოტ ჰორნეთსი — დეტროიტ პისტონზი 93:85, ნიუ ჯერსი ნეთსი — დალას მავერიქსი 114:91, ატლანტა ჰოქსი — ტორონტო რეპტორზი 91:88, ჰიუსტონ როკეტსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 120:115

24 ნოემბერი

კლივლენდ კავალიერზი — საკრამენტო კინგზი 103:74, ბოსტონ სელტიქსი — დალას მავერიქსი 105:91, სიეტლ სუპერსონიქსი — ნიუ იორკ ნიქსი 102:92, მაიამი ჰითი — ფინიქს სანზი 87:84, ვანკუვერ გრიზლიზი — სან ანტონიო სფურზი 96:91, ჰიუსტონ როკეტსი — ლოს ანჯელეს ლეიკერზი 90:85

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი			
ორლანდო	6	2	75,0
მაიამი	9	4	69,2
ნიუ იორკი	8	5	61,5
ვაშინგტონი	6	6	59,0
ფილადელფია	5	7	41,7
ბოსტონი	3	8	27,3
ნიუ ჯერსი	2	6	25,0

ცენტრალური დივიზიონი			
ჩიკაგო	12	1	92,3
დეტროიტი	10	2	83,3
კლივლენდი	9	3	75,0
შარლოტი	6	5	54,5
ატლანტა	7	6	53,8
მილუოკი	6	6	50,0
ინდიანა	3	8	27,3
ტორონტო	3	8	27,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი			
ჰიუსტონი	12	1	92,3
იუტა	8	2	80,0
მინესოტა	5	6	45,5
დენვერი	4	9	30,0
დალასი	3	9	25,0
სან ანტონიო	2	10	16,7
ვანკუვერი	2	11	15,4

წყნარი ოკეანის დივიზიონი			
სიეტლი	12	2	85,7
ლეიკერზი	9	5	64,3
პორტლენდი	8	5	61,5
კლიპერზი	6	6	50,0
საკრამენტო	4	9	30,8
გოლდენ სტეიტი	3	9	25,0
ფინიქსი	0	12	0,00

ჰილს კვლავ უმტყუნა მარჯვენამ

„დეტროიტ პისტონზის“ ფორვარდს გრანტ ჰილს თვის დასაწყისში ნატკენი მარჯვენა მაჯა ხეირიანად არ მოერჩინა, რომ ახალმა უბედურებამ უწია. „შარლოტთან“ მატჩის პირველ მეოთხედში გარღვევაზე წასულ ჰილს მეტოქე მეტ გეიგერმა ხელი ჰკრა და ფარქვეშ გაშხლართა. გრანტი სწორედ ნატკენ მაჯით დაეცა და ტკივილისაგან ორი წუთი იატაკიდან არ ამდგარა. ცოტა ხანში ჰილმა კვლავ გააგრძელა თამაში, მაგრამ შესვენებაზე მაჯა რენტგენით გაუშუქეს და სათადარიგოთა სკამზე გადაბარგება უბრძანეს. დარჩენილი დრო ჰილს ხელზე ყინულით სავსე პაკეტები ედო, ხოლო მატჩის შემდეგ თავისით ვერ ჩაიცვა და თანაგუნდელები მიეხმარნენ.

ადმირალ რობინსონის „შვებულება“ გრძელდება

„სან ანტონიო სფურზს“ მძიმე დღეები უდგას. ამას ერთადერთი მიზეზი აქვს: გუნდის ცენტრის და ლიდერის დევიდ რობინსონის ტრავმა. ნბა-ს 1995 წლის უძვირფასესი მოთამაშე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, სეზონის წინ შეიყვანეს დაშავებულთა სიაში წელის ტკივილის გამო. რობინსონს ლოს ანჯელესის კლინიკაში კვირას გამოკვლევა ჩაუტარეს. კონსილიუმმა დაადგინა, რომ კალათბურთელი, სულ ცოტა, დეკემბრის შუაწელამდე ვერ ითამაშებს.

იქნებ ჯონსონმა უშველოს

„სფურზზე“ უარეს დღეშია „ფინიქს სანზი“. მისი ერთი ლიდერი ჩარლზ ბარკლი „ჰიუსტონში“ გადაბარგდა, ხოლო მეორემ — კევინ ჯონსონმა 26 სექტემბერს თიაქარის ოპერაცია გაიკეთა და აქამდე არ თამაშობდა. ახლა ჯონსონი გამოკეთდა და ბოლო დღეებია გუნდთან ერთად ვარჯიშობს. საგარაუდოა, რომ დღეს ღამით ჯონსონი დენვერში ითამაშებს „ნაგითსის“ წინააღმდეგ.

ბებერი ბელადი დაიბრუნდა

„ჩიკაგო ბულზის“ ცენტრი, ნბა-ს ყველაზე მხცოვანი მოთამაშე, 43 წლის რობერტ პერიში კვირას დაშავებულთა სიაში მოათავსეს. „ბელადი“ წელკაემა შეაწუხა. მის ნაცვლად შემადგენლობაში შეიყვანეს ფორვარდი დიკი სიმფკინსი. სხვათა შორის, სიმფკინსი 11 ნოემბრიდან თავად იყო დაშავებულთა სიაში კოჭის ტრავმის გამო, მაგრამ ახლა გამოკეთდა.

მაშბურნი სიფათს გაისწორებს

„დალას მავერიქსის“ ფორვარდი ჯამალ მაშბურნი ტრავმებმა გატანჯა. ჯერ იყო და შარშანდელი სეზონის ბოლო 24 მატჩი მუხლის მძიმე ოპერაციის გამო გამოტოვა. ახლა კი, „კლიპერზთან“ მატჩისას მარჯვენა ყვრიმალი ჩაუმტვრიეს. ტესტების შემდეგ დადგინდა, რომ მაშბურნმა ოპერაცია უნდა გაიკეთოს ყვრიმალის გასასწორებლად. ამის გამო მას ოთხი კვირა გაუცდება.



შარლოტი — დეტროიტი: წამიც და, გრანტ ჰილის ამ გარღვევას მეტ გეიგერის უხეშობა მოჰყვება, რაც დეტროიტელს მაჯის ხელახალ დაშავებად დაუჯდება.
უკანა პლანზე „პორნეთსის“ მწვრთნელი დეივ კოუენსიო

ელისონს ფეხზე მაგიდა დაეცა

„ბოსტონ სელტიქსის“ პრობლემებმა შაბათს კულმინაციას მიაღწია. ცენტრ პერვის ელისონს სახლში ყოფნისას მაგიდა დაეცა და მარჯვენა ფეხის დიდი თითი მოტყდა. ელისონი სამ თვეს ვეღარ ითამაშებს. ამჟამად „სელტიკს“ სასტარტო ხუთეულის ოთხი წევრი ტრავმირებული ჰყავს — ელისონი, დევიდ ვესლი, დინო რაჯა და გრეგ მაინორი. ბოლო თამაშზე ბოსტონელებს სულ ოთხი სათადარიგო ჰყავდათ, ამათგან სამი ახალბედა იყო.

"აიეტი TV"

სატელიტური ტელევიზია „აიეტი TV“ ანყობს საშობაო ტურნირს

მინი-ფეხბურთში.

ეს კომერციული ტურნირი ჩატარდება სპორტის სასახლეში, დაიწყება 15 დეკემბერს და გასტანს 1 კვირას.

საპრიზო ფონდი — 3 000 ლარი.

მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ კლუბს, როგორც პროფესიულს, ისე მოყვარულსაც. განცხადებების შემოტანის ვადა — 1 დეკემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისთვის მოგვმართეთ რუსთაველის 46.

☎ *93-47-33; 94-14-22 98-87-15; 98-28-77*

სატელიტური ტელევიზია „აიეტი TV“ ერთადერთი ტელევიზია, რომელიც ანყობს ESPN-ის ტრანსლაციას თბილისსა და მის შემოგარენში. სპორტის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია სპორტის შესახებ 24 საათის განმავლობაში.

☎ *98-28-77; 98-87-15*

ჭიდაობენ მეკოკიშვილი, ჩოჩიშვილი, თედიაშვილი... შენ დაუკა!

ერთნელი

მაინც რა არის საჭირო, რომ სპორტის გულშემატკივარს ლამაზი, დასამახსოვრებელი საღამო მიუძღვნა? — სპორტის სახეობის მიუხედავად, პირველ რიგში, ალბათ, სპორტული ღონისძიების სრულყოფილი ორგანიზაცია, ობიექტური მსაჯობა და მონაწილეთა მაღალი კლასი და ოსტატობა. თუ ამ კრიტერიუმებით ვიმსჯელებთ, თამამად ვიტყვი, რომ საქართველოს ძიუდოს მესვეურებმა შაბათ-კვირას მართლა შესაშური საჩუქარი უძღვნეს ჭიდაობის მოყვარულებს. გიორგობას და მეორე დღეს სპორტის სასახლეში თავმოყრილი გულშემატკივრები თავად დარწმუნდნენ ძიუდოისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატის უზადო ორგანიზაციაში, ობიექტურ მსაჯობაში და რაც შეეხება სპორტსმენთა კლასსა და ოსტატობას, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

შაბათს, 11 საათზე, სპორტის სასახლეში მისვლისთანავე, ცოტა არ იყოს, უჩვეულო სურათის მომსწრე გავხდით. ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა ფედერაციის წევრებს, გუნდების მწვრთნელებს ჯერ გიორგობის დღესასწაული მიულოცა და შემდეგ იქვე ტატამთან ერთგვარი ექსპრესთათბირი გაუმართა. ორგანიზატორები დამოძღვრა, მსაჯები დაამუნათა და მწვრთნელებს იმედი ჩაუსახა, ყველაფერი რიგზე იქნებაო. მოგეხსენებათ, თეგზი თავიდან ყროლდება და თუ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატმა უნაკლოდ და უწუნოდ ჩაიარა, ამის მიზეზი, პირველ რიგში, ალბათ პრეზიდენტის ზემოხსენებული ბლიც-თათბირი იყო. შემდგომში დილარ ხაბულიანის საქმიანი განწყობა მსაჯებს, ორგანიზატორებს, ყველა მონაწილეს გადაედო და ასპარეზობის დამთავრებამდეც თან იახლეს.

ატლანტის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი სოსო ლიპარტელიანი რომ არ იჭიდავებდა, ეს ჩემპიონატის დაწყებამდე ვიცოდით ჟურნალისტებმა. სოსომ ცოლი შეირთო, („სარბიელიც" უერთდება მის სიხარულს და დაოჯახებულ ლიპარტელიანთან ინტერვიუს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ), ჰოდა, თაფლობის თვეს დაწაფებულ კაცს რომ არ ეჭიდავებოდეს, ეს რა დასაძრახისია. აი, ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონი და ატლანტაში ვერ აწონილი დავით ხახალეიშვილზე კი ამბობდნენ, შეიძლება ტატამზე გამოვიდესო, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა მას დასვენების უფლება მისცა და სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის შემოინახა. ხაბარელმა ამ გადაწყვეტილებით მძიმე წონის სხვა მოასპარეზეთა მადლი მოისხა: თუ ხახალეიშვილის მონაწილეობის შემთხვევაში მათთვის თვალშეუვლები იქნებოდა ოქროს მედალის ელვარება, ახლა ამ მედლის მოპოვების მეტ-ნაკლები შანსი ყველას მიეცა. რა თქმა უნდა, ხახალეიშვილისა და ლიპარტელიანის არმონაწილეობამ ბევრი დააკლო ტურნირს, მაგრამ გულშემატკივრებს სანუგეშო ნამდვილად ჰქონდათ. უფრო მეტიც: ამ ორ დღეში მათ იხილეს ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეების გიორგი რევაზიშვილი, გიორგი ვაზაგაშვილი, მეცხრე ლობჟანიძე, ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი პრიზიორი ალექსი დავითაშვილი, ამავე ხარისხის მედლის წლევანდელი მფლობელი რამაზ ჩოჩიშვილი, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები. ჩემპიონატის მთავარი მსაჯიც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ ხუბულური გახლდათ. ჰოდა, მეც ისღა დამრჩენია, მეზურნეებს შეეცადო: შენ დაუკა!

ჩემპიონატი 86 კილოგრამიანმა და მძიმე წონის მოჭიდავეებმა გახსნეს. პირველ ტატამზე ზაზა გუბელიანმა ვაზარით დაამარცხა საგარეჯოელი სეხნია მაისურაძე, მძიმეწონოსნებში კი რამაზ ჩოჩიშვილმა ლამაზი ილეთით სუფთად მოუგო კახა ჩუბინიძეს. გახსენებაზე, რამაზ ჩოჩიშვილი, ჩვენი სახელგანთქმული ფალავნის შოთა ჩოჩიშვილის ვაჟი გახლავთ. მოგეხსენებათ, ადრე რამაზი უკრაინის სახელით ასპარეზობდა, აღმოსავლეთ სლავთა შთამომავლებს ნაკრებში ჰყავდათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მასშიც იძალა სისხლის ყივილმა და სხვა, საბოლოოდ გაუცხოებულ ქართველ სპორტსმენთაგან განსხვავებით დაუბრუნდა სამშობლოს. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ შინაურ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება აქვს, საერთაშორისოებში არ უშვებენ.

როცა ჭიდაობას უყურებ, და ისიც ჟურნალისტის თვალით, თუ ცქერისას ხელს არავინ გიშლის, ზოგჯერ ისეთ რამეს შეამჩნევ კაცი, თავადვე გაგეცინება, ნეტა საიდან მომაგონდაო. მეც ასე დამემართა. დასაწყისისთვის ზედიზედ რამდენიმე ორთაბრძოლა იმათ მოიგეს, ვინც წითელი ქამრით ასპარეზობდა, ეს უწვეულო ტრადიცია გულბიანმა და ჩოჩიშვილმა დაიწყეს, შემდეგ ჯაფარიძემ, დავითაშვილმა (მძიმე), კურტანიძემ და ცივრიაშვილმა (86 კგ) გააგრძელეს და მოგეხსენებათ, რელიგიური დღესასწაულისას კაცს გამახვილებული გაქვს ღვთისადმი რწმენა და პატივისცემის გრძნობა და მეც იმწამსვე ვიწამე: წითელი ქამარი იღბლიანია და კვარცხლბეკზეც უეჭველად წითელსარტყელიანები ავლენ-მეთქი. ასეც მოხდა ბოლოს. 28 ჩემპიონიდან და პრიზიორიდან 21 ძიუდოისტს წითელი ქამარი ჰქონდა შემორტყმული.

როგორც ყველა ასპარეზობას, ამ ტურნირსაც თან ახლდა მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო, დასამახსოვრებელი თუ უნიათო ორთაბრძოლები. ერთ ფაქტს მოვიხმობ: თელაველმა მამუკა ბოტკოველმა ხუთ წამში ისეთ ლამაზ გდებაში სძლია ყუფარაშვილს, მაყურებელი ფეხზე რომ აუდგება ხოლმე. ამგვარი ლამაზი და უზადო ილეთებით ჩამოიცილა მამუკამ მეტოქეები და ფინალში თბილისელ ლევან ცივრიაშვილს გამოეცხადა. ცივრიაშვილმაც დაძაბული, მძიმე ორთაბრძოლების მოგებით მიაღწია ფინალს. სხვათა შორის, ორივე ფინალისტი წითელი ქამრით ასპარეზობდა, ჰოდა, ჩემი აღმოჩენის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არცერთ მოჭიდავეს არ უნდა ჰქონოდა ფორტუნის იმედი. ახლა ხელის გამოღება და ოსტატობა იყო საჭირო. ბოტკოველს „არსენალში" არ აღმოაჩნდა ცივრიაშვილის დასამარცხებელი „იარაღი", ჰოდა, ისევ ლევანმა იყოჩაღა. ჯერ ვაზარი აართვა მეტოქეს, შემდეგ იუკო, გამარჯვება შორს მაინც არ იყო, მაგრამ თბილისელმა ფალავანმა აღარ მოუცადა გონგის ხმას და უფრო მოიახლოვა იგი ლამაზი ილეთით ბეჭებზე გააკრა მეტოქე და ღირსეულად დაეუფლა ოქროს მედალს. ამ წონაში მესამე ადგილები გორელმა ლეტოქე ვინც კი შეხვდა, ულამაზესი ჭიდაობით დაამარცხა. დაამარცხა და თან მედალიც მოიპოვა, ჩემპიონატის აღმოჩენადაც იქცა და ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმაც თვალი დაადგა. ასეა, შრომა და გარჯა, სხვაგან არ ვიცი და ჭიდაობაში ნამდვილად გიფასდება.

ახლა მძიმე წონოსნებსაც მივხედოთ. წელანაც მოგახსენეთ, ამ წონაში დავით ხახალეიშვილის არმონაწილეობამ მოჭიდავეებს საღერღელი აუშალა და ყველანი ჩემპიონობაზე ოცნებობდნენ. ოღონდ ეგ არის, ზოგის ოცნება საპნის ბუშტივით გასკდა, ზოგისა კი რეალობას მიუახლოვდა. მძიმე წონაში ასპარეზობის დაწყებამდე გამფრთხილა ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ჩემმა სარბიელემა კოლეგამ მერაბ რატიშვილმა: რამაზ ჩოჩიშვილსა და ალექსი დავითაშვილს ყურადღებით ადევნე თვალი, ამ წონაში ევენი არიან ფავორიტებიო. გუმანმა არ უმტყუნა რატიშვილს. ჩოჩიშვილიც და დავითაშვილიც ფინალში წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მოგეხსენებათ, ჩემი ვალია ობიექტურად ვთქვათ, ალექსი დავითაშვილი ევრიპის ჩემპიონია. ჭარიალას უნაკლოში ბოლო წამებამდე მეტად შაბრუნა, მაგრამ ფინალამდე არაერთი ლამაზი ორთაბრძოლა მოიგო სწორედ აქტიურობის ხარჯზე.

95 კილოგრამშიც, მძიმე წონისა არ იყოს, ორი ძირითადი ფავორიტი იყო და აქაც გამართლდა სპეციალისტთა პროგნოზი: ატლანტის ოლიმპიადაზე ხელმოცარული თბილისელი მეელუდ ლობჟანიძე და დუშელი ივერი ჯიქურაული. შეხვედრას თავიდანვე ეტყობოდა, ლოგიკის მიხედვით ოქროს მედალი ჯიქურაულს უნდა დარჩენოდა, რადგან, ჯერ ერთი, ივერი მართლაც ჯიქურ უტაქტოდ მეტოქეს, მეორეც, ლობჟანიძემ პასიურობით შიდოც დაიმსახურა მსაჯისგან, შემდეგ კი ჯიქურაულმა იუკო აართვა. ჯიქურაულის საქციელი გასაგებია, მცირე უპირატესობით, მაგრამ მაინც ივედა შეხვედრას, ამიტომაც დადგა და აღარ ეჭიდავებოდა მეტოქეს, ან, ლობჟანიძის პასიურობა კი ჩემთვის გაუგებარი იყო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს არ სურდა გამარჯვება. ამიტომაც მსაჯმა თითო გაფრთხილება — ჩუი „უბოძა" ფალავნებს და შეხვედრაც დაამთაერა — ჩემპიონობა ივერი ჯიქურაულმა მოიპოვა.

ეს რაც მოგითხრეთ შაბათის, გიორგობის დღესასწაულისას მომხდარი ამბავია. ახლა კი კვირა — უქმეზეც ვესტუმროთ სპორტის სასახლეს და დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში მოასპარეზეებსაც მივხედოთ.

მჩატე, 60 კილოგრამიანებში მერაბ იოსებაშვილმა (ახმეტა) ფინალამდე თითქმის ყველა ორთაბრძოლა დამაჯერებლად მოიგო. ნიჭიერმა, ტექნიკურმა მოჭიდავემ არც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში შერცხვენა თავი და თბილისელ ნესტორ ხერგიანს სძლია. დიდი ქართველი ფალავნის არსენ მეკოკიშვილის მოგვარემ გოჩა მეკოკიშვილმა (საგარეჯო) ქუთაისელ ფირუზ ტყეშელაშვილთან ერთად ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

65 კილოგრამიან ფალავნებში არანაირი სენსაცია არ ყოფილა. ამ წონის ლიდერი და ოლიმპიადის მონაწილე ევროპის ჩემპიონი გიორგი ვაზაგაშვილი ყველას, სპეციალისტებსაც და გულშემატკივრებსაც ჩემპიონად ესახებოდათ და არც შემცდარან. გორელმა ფალავანმა ყველა მეტოქე ლამაზი ჭიდაობით დამაჯერებლად დაამარცხა და ფინალში გავიდა საგარეჯოელ მამუკა კურდღელაშვილთან ერთად. არც აქ შერცხვინ ლიდერად შერაცხულმა ძიუდოისტმა თავი და სუფთად — 10:0 გაიმარჯვა.

71 კგ წონით კატეგორიაში, წინასწარი ვარაუდით, ჩემპიონობას ძირითადად ორი ფალავანი, ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონი მცხეთელი არჩილ ჩოხელი და საგარეჯოელი, ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული გიორგი რევაზიშვილი უნდა შესცილებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ პროგნოზი რომ ყოველთვის არ მართლდება, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურეს ამ წონაში მოასპარეზეებმა. ჩოხელი, მართალია, გავიდა ფინალში, მაგრამ რევაზიშვილს რასხვად თბილისელი დავით ნადარაია მოუვლინა განგებამ. თბილისელმა ფალავანმა ლამაზად, იპონით დაამარცხა მეტოქე და თუ შაბათის აღმოჩენა აუთანდილ ზვიადაური იყო, მეორე დღის სენსაციის ავტორი 18 წლის ახალბედა და გამოუცდელი დავით ნადარაია გახლდათ. ზვიადაურისა არ იყოს, ნაკრების კანდიდატთა სიაში შოთა ხაბარელმა ნადარაიაც შეიყვანა. რაკიღა კიდევ ვახსენეთ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ახლად აღმოჩენილი კერპები, ბარემ ამ სპორტსმენებზეც მოგახსენებთ, ვინც შესაძლა


60 კგ
1. მერაბ იოსებაშვილი (ახმეტა)
2. ნესტორ ხერგიანი (თბილისი)
3. გოჩა მეკოკაშვილი (საგარეჯო)
3. ფირუზ ტყეშელაშვილი (ქუთაისი)

65 კგ
1. გიორგი ვაზაგაშვილი (გორი)
2. მამუკა კურდღელაშვილი (საგარეჯო)
3. ზურაბ სამუკაშვილი (ახმეტა)
3. ქართლოს თედიაშვილი (საგარეჯო)

71 კგ
1. არჩილ ჩოხელი (მცხეთა)
2. დავით ნადარაია (თბილისი)
3. კობა თადიაშვილი (დუშეთი)
3. გიორგი რევაზიშვილი (საგარეჯო)

78 კგ
1. ზაზა გუდიაშვილი (ქარელი)
2. ჯონდო შუბაშვილი (მცხეთა)
3. გიორგი ჭაბუკაშვილი (გორი)
3. ივანე წივილაძე (თბილისი)

86 კგ
1. ლევან ცივრიაშვილი (თბილისი)
2. შამუკა ბოტკოველი (თელავი)
3. ავთანდილ ზვიადაური (ახმეტა)
3. ლევან ბიძინაშვილი (გორი)

95 კგ
1. ივერი ჯიქურაული (დუშეთი)
2. მეელუდ ლობჟანიძე (თბილისი)
3. ლევან გაგნიძე (თბილისი)
3. იოსებ ახალბედაშვილი (გორი)

შ/კ
1. ალექსი დავითაშვილი (ახმეტა)
2. რამაზ ჩოჩიშვილი (გორი)
3. ლევან ჯაფარიძე (თელავი)
3. შალვა ბეჭვური (თბილისი)

ჩემპიონატის მედლები რაიონების მიხედვით

	ო	ვ	ბ
ახმეტა	2	-	2
თბილისი	1	3	3
გორი	1	1	3
მცხეთა	1	1	-
დუშეთი	1	-	1
ქარელი	1	-	-
საგარეჯო	-	1	3
თელავი	-	1	1
ქუთაისი	-	-	1

18 წლის ფირუზ ტყეშელაშვილმა, რამდენიმე თანატოლივით, ხაბარელის ჭურაღლება მიიპყრო

ბადრი კუთილაძემ ჩემპიონატის ფრაგმენტები აღბეჭდა. ამგვარი ლამაზი ფანდები, უმაღლესი ოსტატობით შესრულებული, მრავლად გაკეთდა სპორტის სანახაობაში

მალე ქვეყნის პირველ გუნდში ვიხილოთ. ხაბარელმა დიდსულოვნად დაგვრთო ნება პრესაში მათი გვარ-სახელის გამოქვეყნებისა. ზვიადაურისა და ნადარაიას გარდა სანაკრებო პერსპექტივა აქვთ თემურ გივიაშვილს, ფირუზ ტყეშელაშვილსა და მერაბ იოსებაშვილს. ახლა კი მთავარ საქმეს დავუბრუნდეთ. რევაზიშვილის მძლეველი ნადარაია ფინალში სწორედ არჩილ ჩოხელს შეხვდა. კაი იქნებოდა, ამ ფალავანის მორიგი სენსაციის მოწმენი გავმხდარიყავით, მაგრამ ასე არ მოხდა. გაძიუდოისტებულმა სამბისტმა ღირსეულად გაიმარჯვა. რევაზიშვილმა სანუგეშოდ დუშელ კობა თადიაშვილთან ერთად III ადგილი დაიკავა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რევაზიშვილის მარცხის მიზეზი: გიორგი, ტრადიციულად, 65 კგ-ში ასპარეზობს და იმ დღეს პირველად გამოვიდა 71-ში. ეს კი ბატონ შოთა ხაბარელის ექსპერიმენტი გახლავთ, რადგან ორი ძლიერი მოჭიდავე, რევაზიშვილი და ვაზაგაშვილი ერთ წონაში მართლაც ცოდნი არიან, რადგან ხშირად ერთმანეთს უღობავენ გზას. წონამომატებული რევაზიშვილი კი, როგორც ჩანს, ჯერ ვერ შეეგუა ზედმეტ ექვს კილოგრამს.

კიდევ ერთმა სამბისტმა ჯონდო მუზაშვილმა აჯობა ძიუდოისტებს, ოღონდ 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მცხეთელი ოსტატი ფინალამდე საუკეთესო შედეგით გავიდა — ყველა ორთაბრძოლა იპონით მოიგო. მეორე ფინალისტმა, ქარელელმა ზაზა გულიაშვილმაც ამგვარი შედეგით მიაღწია ფინალს. კაცმა რომ თქვას, ორივე ღირსი იყო ჩემპიონობისა, მაგრამ, მოგეხსენებათ, ერთი გვირგვინი ორ თავს ვერ დაამშვენებს და ტახტზე ამ შემთხვევაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ერთ-ერთი მათგანი უნდა ასულიყო. „იღბლიანი უფლისწული“ კი ზაზა გულიაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც ლამაზ ორთაბრძოლაში დაამარცხა მეტოქე. შესაძლოა, სუბიექტური ვიყო, მაგრამ მაინც ვიტყვი: ამ წონაში ყველაზე ლამაზი ორთაბრძოლები გაიმართა, პრიზიორები ჯონდო მოზაშვილი, გიორგი ჭაბუკაშვილი და ივანე წივილაძეც დიდად არ ჩამოუვარდებოდნენ ღირსეულ ჩემპიონს და ყველა მონაწილეს ჰქონდა კარგი შანსი კვარცხლბეკზე ასასვლელად. წარსულში ცნობილი ძიუდოისტის დავით ბოდაველის მოგვარემ თემურმაც ლამაზად იასპარეზა, მაგრამ შეშდეგ დმანისელმა ბესიკ მუმლაძემ შებოჭა და სუფთად დაამარცხა. თავის მხრივ, მუმლაძემ ლამაზი აქტიური ჭიდაობით ჩამოაცილა მეტოქეები, ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, იქნებ პრიზიორებშიც გვეხილა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის შარშანდელი ფინალისტი გორელი გიორგი ჭაბუკაშვილი მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა.



არბიტრმა ამირან ტოტიკაშვილმა ჰანტეთ ხამართალი გააჩინა

ბოდაველი შემთხვევით არ მიხსენებია. თემურის გარდა მეორე ბოდაველმაც იასპარეზა, ოღონდ 65 კილოგრამიანებში, ცნობილი ფალავნის დავით ბოდაველის ვაჟი დავითი, მართალია, მედალს ვერ დაეუფლა, მაგრამ ლამაზი ჭიდაობით დაამახსოვრა თავი მაყურებელს, თანაც ჯერ ახალგაზრდაა, გამოუცდელი, მომავალი წინა აქვს და იმედია, ღირსეულად გააგრძელებს მამისგან დაწყებულ ოჯახურ ტრადიციას. დიახ, ბოდაველი, ჩოჩიშვილი, მეკოკიშვილი, მათ გარდა ასპარეზობდნენ თედიაშვილი, კურტანიძე, ჰოდა, გულშემატკივრებიც სახელმოხვეჭილ ქართველ ფალავანთა მოგვარეთა თუ ნათესავთა გვარის გაგონებაზე ისე ომახიანად შემოსძახებდნენ, ძველი დრო გაგახსენდებოდა კაცს. ოღონდ ეგ არის, წარსულს არა მარტო დრო, არამედ სპორტის სასახლის ნახევრად ცარიელი ტრიბუნებიც გვაშორებდა. თუმცა ჭიდაობის ყველა ნამდვილი ტრფიალი ეწვია ცივ დარბაზს და აკი არც ინანა: ლამაზი, უშეცდომოთ ორთაბრძოლები იხილა და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

თავში მოგახსენეთ, ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ყველა სიკეთესთან ერთად, კვალიფიციური მსაჯებიც სჭირდება-მეთქი. დიახ, ეს ასეა და ამ ტურნირსაც სპორტსმენებზე არანაკლებ ტიტულოვანი არბიტრები სჯიდნენ. სეულის ოლიმპიადის პრიზიორი, მსოფლიო ჩემპიონი ამირან ტოტიკაშვილი, ევროპის ჩემპიონი ჯემალ ნათელაშვილი, არაერთი საერთაშორისო და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტურნირების გამარჯვებულები გურამ მოდებაძე, გია ხოსტარიშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, ზურაბ კახაბრიშვილი. ბევრი აღარ მიფიქრია და ამ „თანავარსკვლავედიდან“ ყველაზე ტიტულოვანი ამირან ტოტიკაშვილი ამოვირჩიე თანამოსაუბრედ.

— ამირან, თქვენი მსაჯობა, მართალი გითხრა, არ გამკვირვებია, მაგრამ მაინც გკითხავთ, რამ გადაგაწყვეტინათ მსაჯობა?

— ჯერ ერთი, რომ ძიუდოს გარეშე ცხოვრება არ შემიძლია, მეორეც, კაცმა ის საქმე უნდა აკეთოს, რაც იცის და ხელეწიფება. მსაჯობაც ამიტომ გადავწყვიტე. ჯერჯერობით დამწყები მსაჯი მქვია და საერთაშორისო ტურნირებში მსაჯობის უფლება არა მაქვს. ბელგიაში ყოველწლიურად ტარდება მსაჯთა სემინარები და მისი გავლის შემდეგ მომანიჭებენ საერთაშორისო კატეგორიას. ოღონდ ეგ არის, მანამდე შინაური ჩემპიონატების მსაჯობის ოთხწლიანი სტაჟი უნდა გქონდეს. ჰოდა, ბელგიამდე ჯერჯერობით მზოლოდ ჩვენებურებს ვემსახურები.

— ტურნირი ისე დამთავრდა, სერიოზული ინციდენტი არ მოხდარა მსაჯთა შეცდომის გამო. ეს ქართველ მსაჯთა მაღალი კვალიფიკაციის „ბრალია“ თუ შინაურები შეცდომებს უნდობენ ერთმანეთს?

— ბოლო ხანებში ჩვენი მსაჯების კვალიფიკაცია რომ ამაღლდა, ეს ფაქტია. თავადვე აღნიშნეთ, ამ ჩემპიონატზე არ ყოფილა ორთაბრძოლა, რომ მსაჯის შეცდომას გადამწყვეტი როლი ეთამაშა შედეგზე.

— ვიცი, რომ ნაკრებთანაც თანამშრომლობ...

— სწორია, ვთანამშრომლობ, შოთა ხაბარელს ვეხმარები სპორტსმენების მომზადებაში.

ნაკრების მთავარ მწვრთნელთან გასაუბრება თავიდანვე მჭირდა უზურში, და რაკი ტურნირი დამთავრებული იყო და ხაბარელმაც, როგორც იქნა, მოიცალა, წამსვე მოვიხელთეთ ჟურნალისტებმა. ნაკრების თავკაცმა ტურნირს მაღალი დონისა უწოდა და ყველა დავეთანხმეთ. „ქართველი ძიუდოისტები რომ არავის ჩამოუვარდებიან მსოფლიოში, ეს ძველი ამბავია, — გვითხრა ბატონმა შოთამ, — ნიჭით და პოტენციით ძნელად თუ ვინმე შეგვედრება, ეს ამ ტურნირმაც დაადასტურა, მაგრამ ეგ არის, უცხოელთა დარად სახსრები და მოსამზადებელი პირობები არა გვაქვს. ამ ჩემპიონატმაც მრავალი ნიჭიერი ძიუდოისტი აღმოგვაჩენინა და მათ ნაკრებში მიეწვევ“. ხაბარელის მიერ სანაკრებოდ შეგულებულ სპორტსმენებზე კი ზეგით მოგახსენეთ. ერთს დავძენ მხოლოდ, სპორტის სხვა სახეობებისგან განსხვავებით საქართველოს ძიუდოს მესვეურები შეძლებისდაგვარად იყენებენ ჩვენი ბიჭების ნიჭსა და პოტენციას, უთანასწორო პირობებში ეჭიდავებიან გაფუფუნებულ უცხოელებს და ხშირად ამარცხებენ მათ და, რაც მთავარია, შინაურ ჩემპიონატებსაც მაღალ დონეზე ატარებენ.

მოკლედ, კიდევ ერთი ჩემპიონატი გახდა ისტორიის კუთვნილება. ქართველმა ფალავნებმა კიდევ ერთხელ მოუსინჯეს ერთმანეთს მკლავის სიმაგრე და მუხლის უდრეკობა, მრავლად იყო მარცხის სიმწარეც და გამარჯვებით ვერდაკეპული აღტაცებაც, ყველაფერი იყო რაც ესოდენ უხდებოდა სპორტს, სპორტულ დღესასწაულს. ყოყმანის გარეშე შეიძლება ითქვას: ძიუდოს ფედერაციის თავკაცებმა ყველაფერი გაიღეს, რომ ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩატარებულიყო და აკი დაუფასდათ კიდეც უმნიშვნელო ექცესების გარდა არანაირ ინციდენტს არ ჰქონია ადგილი და ეს ექცესებიც აკი ყოველთვის თან ახლავს და ერთგვარ ხიბლს მატებს სპორტულ ასპარეზობას. მეც ისღა დამრჩენია შეეუერთდე სპორტის სასახლეში თავმოყრილ გულშემატკივრებს და სახალხოდ ვთქვა: გმადლობთ, ქართული ძიუდოს თავკაცებო საგიორგობოდ მოძღვნილი ლამაზი საჩუქრისთვის.

ლევან ჯავახიშვილი

გიორგი რევაზიშვილმა ბევრჯერ შეასრულა თავისი საფირმო გდება, ჩემპიონი კი მაინც ვერ გახდა

ძიგორო კანოს თასი

ტოკიო, 22-24 ნოემბერი

ოცდაათ, ოცდაც დაჭორწინდით!

ძიუდოს ფუძემდებლის, პროფესორ ძიგორო კანოს თასის ტრადიციულ გათამაშებაში, 22-24 ნოემბერს რომ გაიმართა ტოკიოში, ტრადიციულადვე მიიწვიეს ქართველი ძიუდოისტები. ესენი კი, ასევე ტრადიციული უფულობის გამო, ტრადიციულად ვერ გაემგზავრნენ. იაპონელები ჩვენ ხომ არ დაგვიცდიდნენ, ტურნირი მაინც ჩაატარეს და ჩემპიონ-პრიზიორებიც გამოავლინეს. მოვლენებს წინ გავუსწრებ და, ერთმა ჩვენებურმა მაინც მოახერხა მედლის აღება — ოღონდ, გორელმა ბიჭმა ილია ჩიმჩიურმა ეს ჯილდო უკრაინაში წაიღო.

ამ უპრესტიჟულესი ტურნირის პრიზიორების გაცნობისას, ყველაზე მეტად ჩვენი სოსო ლიპარტიანი შემეცოდა. სოსო, როგორც ატლანტის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, პერსონალურად იყო მიწვეული ტოკიოში. მისი მგზავრობის, იაპონიაში ყოფნისა და კვების ხარჯებს ტურნირის ორგანიზატორები მთლიანად იხდიდნენ. ამრიგად, ლიპარტელიანს ფინანსური პრობლემა (თანაგუნდელებისგან განსხვავებით) არ ჰქონია. მაგრამ სოსომ, ზუსტად ახლა გადაწყვეტა დაოჯახება და თავის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კაცს ახალ შექმნილ ოჯახში ყოფნა ურჩევნია სადღაც ცხრა მთას იქით საჭიდაოდ წასვლას. ამიტომაც, ლიპარტელიანი თბილისში დარჩა.

ტოკიოს ტატამზე კი 86 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაიმარჯვა კაცმა, რომელიც ლიპარტელიანმა ერთი თვის წინ, პეტერბურგში, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე, ბოდოში და ცინცილიანივით, ათრია. ჰოდა, დაერია ფრანგი კარაბეტა ბიჭებს და სულ ბდღვერი ადინა, სოსო კი ამ დროს, თბილისში იყო.

და კიდევ, ტოკიოში არ უჭიდავია მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტს პოლონელ პაველ ნასტულას. მასაც ივივე მდგომარეობა აქვს — ცოლი შეირთო, ოღონდ, თუ ლიპარტელიანი თბილისში ატარებს თაფლობის თვეს, ნასტულა ნიუ იორკში გრიალებს. ნასტულა რომ ნახავს, ვინ შეიდავა 95 კგ-ის სამეულში, დამერწმუნეთ, სიცილით ჩაბერდება, მაგრამ მასაც ცოლთან ურჩევნია ყოფნა, ვიდრე ჰანძო-კამოშინაკამურებთან ჯაჯგური.

ტექნიკური შედეგები

60 კგ: 1. **ტადაჰირო ნომურა (იაპონია), 2. კაზუჰიკო ტოკუნო (იაპონია), 3. რიუჭი ხონდა (იაპონია) და ფულჯიო მიატა (ბრაზილია)**

65 კგ: 1. **იუკიმასა ნაკამურა (იაპონია), 2. ნაოია უჩიმურა (იაპონია), 3. კრისტოფ ბრუნე (საფრანგეთი) და ენრიკე გიმარაესი (ბრაზილია)**

71 კგ: 1. **კიმ დე ჯუკი (კორეა), 2. ჯეხი ეკლიდი (საფრანგეთი), 3. ილია ჩიმჩიური (უკრაინა) და ანდრეი შტურმბაინი (უზბეკეთი)**

78 კგ: 1. **კაზუნორი კუბოტა (იაპონია), 2. დაიხუკე ოცუჯუ (იაპონია), 3. მაკოტო ტაკიმოტო (იაპონია) და აჭსელ ეგენფელნერი (ავსტრია)**

86 კგ: 1. **ვინჩენცო კარაბეტა (საფრანგეთი), 2. იასუჰირო ნაკაშიმა (იაპონია), 3. არმენ ბალდახაროვი (უზბეკეთი) და ხეიგო ხაიტო (იაპონია)**

95 კგ: 1. **იოშიო ნაკამურა (იაპონია), 2. მიშიაკი კამოში (იაპონია), 3. გისლენ ლემერი (საფრანგეთი) და მიხაილო ჰანძო (იაპონია)**

მძიმე: 1. **იოშიჰარუ მაკიში (იაპონია), 2. ფრანკ მიოლერი (გერმანია), 3. ერნესტო პერესი (ესპანეთი) და კოტა უეგუჩი (იაპონია)**

აბსოლუტური: 1. **შინიჩი შინოჰარა (იაპონია), 2. კოიჩირო მიტანი (იაპონია), 3. ერნესტო პერესი (ესპანეთი) და ნაოტო იაბუ (იაპონია)**

ზანგ „ვოლაბ“ ჯორჯ მასურევა გრეგანს შერკინებიდან გააქვს ბერთი, ზელანდიელ „ბარბაროს“ ჯონა ლომუს კი დათოვლილ ინგლისში გააქვს ლელო

როიტერს-ის ფოტო

ბერქების დუელი

ხუთი ერის პირველობის ქვეყნებში სამხრეთ-ნახევარსფეროელთა ნაღდი შესევა: ეს ავსტრალიის „ვოლაბებია“, ის ახალი ზელანდიის „ბარბაროსებია“; კიდევ მსოფლიო ჩემპიონი სამხრეთი აფრიკის „ჭურციკები“ და „ჭელი ჭურციკები“, არგენტინის „პუმები“, სამოას „მანუ სამოა“ და ავსტრალიის ქვინზლენდი („უვოლაბებოდ“!)

23. XI. დუბლინი. ლენზდაუნ როუდი

ირლანდია 12:20 ავსტრალია

(9:6). მსაჯი ბრ. ქემფსოლი (ინგლისი)

ირლანდია: სთეიფლზი (ფილდი 13); თოფინგი, ბელი, მაკქოლი, ქროთი; პ. ბერკი, მაკაივორი; ფოფლველი, გუდი (კაპიტანი), პ. ვოლისი; ფულჩერი, დევიდსონი; ჭოკრი, მაკბრაიდი, ა. ფოლი. — 4ს: ბერკი (8 25 34 52)

ავსტრალია: მ. ბერკი; ლითლი, პერკბერთი, პორანი, როფი; ნოქსი, გრეგანი; ქრაული, მ. ფოლი, ა. ბლეიდსი; ვო, ილზი (კაპიტანი) (რობინსონი 65); მანუ, ვილსონი, ბრაიალი. — ლ: ნოქსი (78); გ და 5ს (1 11 42 69 70): ბერკი

მასპინძლებმა 11 დღით ადრე სამოასთან ლელოებით 1-5 რომ წააგეს, მათმა ზელანდიელმა მწვრთნელმა მარი ჭიდმა XV-ში ექვსი კაცი დაიტოვა და ადრე დაწუნებული მოთამაშეები დაბრუნა. აღდგენილთა სიაში აღმოჩნდნენ მცველი, 10 ნომერი, კვაჭი და 8 ნომერი.

ავსტრალიამ ორი კვირის წინ შოტლანდიის 10 ქულით მძლეველ გუნდში ოთხი კაცი შეცვალა. გარეშარად ისევ არ დააყენეს 100 კგის პატრონი დევიდ ჭემფიში, ვისაც კვლავ სპეციალისტი შუამარბი — ამჯერად ჯეისონ ლეთლი ამჯობინეს.

ირლანდიაში საზარელი ყინვა დაიჭირა, რის გამოც „ვოლაბები“ შუა კვირაში ვერ ეთამაშნენ ლენსთერს — ისტორიულ კუთხეს, რომლის ცენტრიც დუბლინია. თამაშის დღესაც ძალიან ციოდა და ძლიერი ქარი ქროდა.

მასპინძლებმა ჯიგრით ითამაშეს. შესვენებამდე ზურგქარი ეხმარებოდათ და „ვოლაბები“ მათსავე 22-ში დაიმწყდიათ. დუელი გაემართათ მოგვარე დამრტყმელებს — პოლ და მეთიუ ბერქებს. ავსტრალიელს პირველ ნახევარში ერთი შეცდა და „სამყურებიც“ 3 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე ნახევარში უკვე „ვოლაბებმა“ იძალეს, თუმც კი მალე გამოაკლდათ ორმეტრიანი კაპიტანი ჯონ ილზი, ვინაც უხეშად შებოჭა მაკქოლმა და თვალი ატკინა. კაპიტნობა უკან ხაზის კოორდინატორმა თიმ ჰორანმა იტვირთა, „ვოლაბთა“ დამრტყმელმა კი ერთობ შორიდან გატანილი ორი გოლით თამაშის ბოლოსღა დააწინაურა თავისიანები.

ირლანდიას ანგარიშის გათანაბრების შანსი მიეცა, მაგრამ მათს ხნაპერს სწორედ ამ დროს მოეცარა პირველად ფეხი. ბოლოს თოფინგმა თავისი ნახევრიდან შეუტია, მაგრამ „ვოლაბებმა“ დაიჭირეს, მოლიდან გრეგანმა მოაწყო გარღვევა და ბებერმა 10 ნომერმა დევიდ ნოქსმა, ამ დღეს ოდენ მეშვიდე კეპი რომ მოიხვეჭა, თავისი პირველი ტესტ-ლელო კარსუკან გაიტანა.

თავიდან ეგონათ, ილზი მსუბუქად დაშავდა და მატჩისშემდგომ წვეულებაზეც მოკაო. მერე გაირკვა, რომ დიდ მორკინალს თვალის ბუდე გაბზარვოდა (!), რის გამოც ხუთი-ექვსი კვირა ველარ ითამაშებს.

ილზს შინ არ გააგზავნიან. 1 დეკემბრის ტესტში, უელსთან, გუნდს უკაპიტნებს პორანი, თუკი მანამდე ესეც არ დაშავდა.

ზელანდიის „ოლ ბლექსის“ მწვრთნელმა ჯონ ჰართმა ნაკრების ის წევრები შეიგროვა, რომლებიც დაძაბული სეზონის ბოლოს კიდევ არიან ბურთაობის იშტაზე და ორი მატჩის გასამართად ჩაუძღვა ინგლისს, სადაურ რაგბის კავშირსაც 125-წლოვანი იუბილე აქვს.

სტუმარი „ბარბაროსები“ კვირას თვიქნეში „ტესტს“ გაუმართავენ ინგლისს, რომელმაც შაბათს იქვე 54:21 დაამარცხა იტალია, თავად სტუმრებმა კი კვირას, ჰადერსფილდში, დათოვლილ მოედანზე 86:0 (14ლ) დაანგრიეს ჩრდ. ინგლისი.



როიტერს-ის ფოტო

ქალთა და ვაჟთა მსოფლიო პირველობები ისე დასრულდა, როგორც ჭერ იყო. ჰანგველის (გერმანია) ეურომა ჰალეში გაიმარჯვა ამერიკელმა პატ სამპრასმა, ნიუ-იორკის (აშშ) მედისონ სქვეარ გარდენში კი — გერმანელმა შტეფი გრაფმა. ვაჟმა ჩემპიონმა მილიონ 340 ათასი დოლარი მოიხვეჭა, ქალთა რჩეულს კი 500 ათასი ერგო.

ჰანგველში პარასკევს ღელობა გადაუხადეს მასპინძელთა ჯილა ბორის ბეკერს (6), ვინც წითელი ჯგუფიდან უკვე გასულიყო ნახევარფინალში. ბორისს 29 სანთლით გაწყობილი ნამცხვარი მიართვეს მას მერე, რაც შვედ თომას ენკვისტთან (9) 3:6, 6:7 (1-7) წააგო. ამავე საღამოს სამპრასმა (1) 6:4, 6:4 ძლია ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 3) და ბეკერთან წაგების გამო ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა.

კაფელნიკოვის ძლევა სამპრასის კარიერის მე-500 გამარჯვება იყო. მოქმედ ჩოგბურთელთაგან მეტი მატჩი მოუგიათ მხოლოდ მუსტერს (539), შვედ მათს ვილანდერს (571; კიდევ ცოდვილობს!) და ბეკერს (664), და კიდევ დიდ შვედ სტეფან ედბერგს, ვინც ამ უქმეებზე უკანასკნელად ითამაშებს — დევისის თასის ფინალში თავისიანებს ფრანგებთან უწინამძღოლებს.

თეთრი ჯგუფიდან შემდეგ სტადიაზე უკვე გასულიყო ზორვატი გორან ივანიშევიჩი (4), მეორე ადგილი კი ერგო ჰოლანდიელ რიზარდ კრაიჩეკს (8), რომელმაც 23 ეისი გააზერხა და თომას მუსტერს (ავსტრია, 5) 7:6 (7-4), 6:7 (5-7), 6:3 მოუგო.

შაბათის ნახევარფინალები: სამპრასი — ივანიშევიჩი 6:7 (6-8), 7:6 (7-4), 7:5 (საათსა და 55 წუთში); ბეკერი — კრაიჩეკი 6:7 (4-7), 7:6 (7-3), 6:3 (ორ საათსა და 11 წუთში)

ივანიშევიჩი დაღუპა მოწოდებაზე გადაგებამ. მან, მართალია, 35 ეისი გაზერხა და წლიური მონაგარი 1477-ს უტოლა (!!), მაგრამ 12 ორმაგი შეცდომაც მოუვიდა. ამათგან ორი კრიტიკულ მომენტში შეემთხვა: ერთი — მეორე ხელის თამაშისას, მეორეს შედეგად კი სამპრასმა მესამე ხელში ბრეიქი შეძლო. კიდევ კარგი, პიტმა დროზე იმარჯვა, თორემ ამ ტურნირში 1982 წლის შემდეგ პირველად დაინიშნებოდა მესამე თამაშის ბრეიქიც.

ბეკერმა პირველი ხელის წაგება მოხმარე ფოტოგრაფებს დააბრალა. მეორე ხელში კრაიჩეკს მატჩის მოგებამდე ორი ქულა დააკლდა, მაგრამ გერმანელმა მაინც იმარჯვა. მის ბალანსზე 15 ეისი და 12 ორმაგი შეცდომა დაგროვდა, კრაიჩეკმა კი 19 ეისი გაბერხა.

კვირის ფინალი სამი ხელის მოგებამდე იყო და ოთხ (!) საათსა და 53 წუთს გაგრძელდა. 15 ათასი თავგადაკლული ჭომაგის ჭინაზე სამპრასმა 3:6, 7:6 (7-5), 7:6 (7-4), 6:7 (11-13), 6:4 დაამარცხა ბეკერი. ბორისი მეოთხე ხელში ორ მატჩ-პოინტს დაუძვა, მაგრამ ამერიკელის ბოლო ერთ თვეში ზედიზედ მესამედ ძლევა ველარ მოახერხა.

სამპრასი შეიქნა მესამე მოთამაშე, ვისაც ატპ-ის ტურის მსოფლიო პირველობა (უოფილი „მასტერსი“) მინიმუმ სამჯერ მოუგია. მის გარდა სამგზის ჩემპიონები არიან ბეკერი და ჯონ მაკინროუ, ოთხგზის — ნასტასე, ხოლო ხუთგზისა — ლენდლი.

ნიუ-იორკი. პარასკევის მეოთხედფინალები: ივან ნოვოტნა (ჩეხეთი, 5) — არანჭა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3) 6:0, 6:3; მარტინა ჰინგისი („შვეიცარია, 7) — კიმიკო დატე (იაპონია, 10) 6:1, 6:2 (51 წუთში). დიდ სპორტთან გამოსათხვარ თამაშში დატე 25 უნებური შეცდომა მოუვიდა

ნახევარფინალი: ჰინგისი (7) — ივა მაიოლი (ხორვატია, 9) 6:2, 4:6, 6:1; შტეფი გრაფი (გერმანია, 1) — ნოვოტნა (5) 4:6, 6:4, 6:3 (საათსა და 58 წუთში). გრაფმა 30-ე შეხვედრაში 26-ედ აჯობა ჩეხს, თუმც კი მასვე წინა კვირას ფილადელფიის ტურნირის ფინალში ტრაშის გამო დანებდა

ფინალი: გრაფი — ჰინგისი 6:3, 4:6, 6:0, 4:6, 6:0. სიჭაბუკისა და გამოცდილების შეჯიბრში ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა — შტეფი ხომ 11 წლითაა მარტინაზე უფროსი. თანაც თამაში არა-ქალური — სამი ხელის მოგებამდე იყო. ამიტომ ორ საათსა და 49 წუთს გაგრძელდა და გამძლეობის გამოცდად იქცა — მეოთხე ხელში პინგისს ფეხის კუნთების კრუნჩხვა დაემართა.

შტეფიმ ტიტული მეზუთედ მოიპოვა და სეზონი მერვედ დაასრულა პირველ ჩოგნად. წელს მან მოიგო საფრანგეთის და აშშ-ის ღია პირველობები, უიმბლდონი და კიდევ ბერლინის, ინდიან-ველზისა და კიბისკეინის ტურნირები.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კპარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
ბიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — სამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



ეროვნულ ლიგაში

კვლავ გამოირჩა ვაშინგტონის ახალი წამყვანი სამეული. ნიუ-ჯერზისთან ინდიელმა საიმონმა ორჯერ გამოიყენა რიცხობრივი სიმრავლე (5), ბონდრამ კი (1+2, 7) საბოლოო წერტილი დასვა.

23. XI. ბოსტონი — ბუფალო 2:3, ედმონტონი — კალგარი 3:2, ლოს-ანჯელესი — დეტროიტი 0:6, ოტავა — ჰარტფორდი 3:3, ფინიქსი — აილენდერზი 3:3, სან-ხოსე — ანაჰაიმი 0:3, სენტ-ლუისი — ფლორიდა 1:3, ტამპა — ფილადელფია 1:2, ტორონტო — მონრეალი 3:4, ვანკუვერი — რეინჯერზი 5:3, ვაშინგტონი — ნიუ-ჯერზი 4:3

ვაშინგტონი და ნიუ-ჯერზი მეორე ღესაც შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ვაშინგტონს მოგებისთვის მეტი მონდომება და ძალისხმევა დაჭირდა: ბოლო წუთებზეღა გაიტანა ბონდრამ თავისი მეორე (9) გოლი და ერთობ გაახარა გუნდი, რომელმაც დივიზიონის მეორე ადგილიდან „შემაკები“ განდევნა. საიმონის და ნიკოლიშინის შემატების შემდეგ ვაშინგტონის პირველმა სამეულმა 7 მატჩში 13 გოლი გაიტანა.

ატლანტიკის ლიდერმა ფლორიდამ მე-14 გამარჯვება მოიპოვა. სენტ-ლუისთან შეხვედრაში მთავარი მოვლენები მეორე პერიოდის სამ წუთში მოხდა: მასპინძელთა დებიუტანტი კებელის მე-11 შაიბას ფლორიდელმა შვედმა გუსტაფსონმა და შეპარდმა (8) ორით უპასუხეს, ბოლო გოლი კი კვლავ ჰალმა გაიტანა.

ოტავაში სტუმარი ჰარტფორდის ჰოკეისტები სანდერსონის დუბლის შემდეგ (11) 3:0 იგებდნენ, მაგრამ შარშანდელმა საუკეთესო დებიუტანტმა — ოტაველმა ალფრედსონმა ორი საპასუხო შაიბა შეაგდო და მასპინძლებმა ქულა გადაარჩინეს. ეს მატჩი უნიკალური იყო: პირველ პერიოდში სტუმრებმა ორდაორჯერ შეუტიეს როუდის კარს და ორივეჯერ გაიტანეს!

ფინიქსშიც სტუმარი აილენდერზის მოთამაშეები 3:0 იგებდნენ: პალფიმ (13) და კინგმა (11) იყორაღეს, მაგრამ ბოლო პერიოდში რუსმა ტკარდოვსკიმ (1+1) ორი კომბინაცია წამოიწყო, ბოლო წუთზე კი ფინიქსის კაპიტანმა ტკაჩუკმა გაათანაბრა.

ფიოდორიჭის თავკაცობით. ლოს-ანჯელესში იოლი გამარჯვების მიუხედავად, კვლავ შენაჰანი და აიზერმანი ბრწყინავდნენ. აიზერმანმა 4 ქულა (2+2) შეიძინა და სუნდინისა და კოივუს დავაში ჩარია — 31 (9+22).

ტამპაში ყველაფერს ვეტერანები წარმართავდნენ. 34 წლის სისარელიმ (14) ანგარიში გახსნა, ფილადელფიელმა ჰაკერჩუკმა კი გამარჯვების გოლი გაიტანა.

სატურნირო ცხრილის შეზობლების — ბუფალოს და ბოსტონის შეხვედრაში ბედმა ბუფალოს გაუღიმა ჩვეი გროშეკის ოვერტაიმში შეგდებული შაიბით.

24. XI. ანაჰაიმი — დეტროიტი 3:1

და ბოლოს, მიღწევებზე. პატსბურგის კაპიტანი ლემიე 827 პასით ლიგაში მე-14 გახდა, დეტროიტელმა აიზერმანმა 526-ე გოლით მე-18 ადგილზე გადაინაცვლა, 1287 ქულით კი მე-17-ა. მას კვალში პატსბურგელი ფრენსიზი მიყვება 1280 ქულით. კოლორადოელმა ფორსბერგმა ორი წლის განმავლობაში 200 ქულა დააგროვა.

სამველ ღარიბიანი

ჩრდილო აღმოსავლეთი: ჰარტფორდი 24 ქულა (20 თამაშში), ბუფალო 21 (21) – პატსბურგი 15 (21)

ატლანტიკა: ფლორიდა 33 (22), ვაშინგტონი 25 (22), ფილადელფია 25 (23), ნიუ-ჯერზი 23 (21) – ტამპა 16 (19), აილენდერზი 16 (21)

ცენტრი: დალასი 29 (22), დეტროიტი 29 (24), ჩიკაგო 25 (24), სენტ-ლუისი 24 (23) – ფინიქსი 16 (21)

წუნარი ოკეანე: კოლორადო 34 (24), ვანკუვერი 24 (20), ედმონტონი 23 (23)– სან-ხოსე 18 (23), ანაჰაიმი 16 (23)

პიტსბურგი გარდაიქმნა. რეინჯერზი?